თბილისი, 2013

სოციალური კვლევისა და
ანალიზის ინსტიტუტი

UN WOMEN
United Nations Entity for Gender Equality
and the Empowerment of Women

იძულებით გადაადგილებულ და ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ქალთა სამართლებრივი საჭიროებების შესწავლა

კვლევის ანალიზი

სარჩევი

ძირითადი შედეგები 3

იძულებით გადაადგილებული ქალები 4

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ქალები 12

შესავალი 19

I. კვლევის მეთოდოლოგია 21

1.1. კვლევის მიზანი და ამოცანები 21

1.2. გამოყენებული მეთოდები 21

1.2.1. თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიის აღწერა 21

1.2.2. რაოდენობრივი კვლევის მეთოდოლოგიის აღწერა 23

1.3.მონაცემთა ანალიზი 25

II. სოციო-დემოგრაფიული მახასიათებლები 26

2.1. იძულებით გადაადგილებული ქალები 26

2.1.1. ოჯახის სტრუქტურა 26

2.1.2. დასაქმების მდგომარეობა და განათლება 28

2.1.3. ჯანმრთელობის მდგომარეობა და დაზღვევა 33

შეჯამება 35

2.2. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ქალები 36

2.2.1. ოჯახის სტრუქტურა 36

2.2.2. დასაქმების მდგომარეობა და განათლება 38

2.2.3. ჯანმრთელობის მდგომარეობა და დაზღვევა 43

შეჯამება 45

III. ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა 47

3.1. იძულებით გადაადგილებული ქალები 47

შეჯამება 50

3.2. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ქალები 52

შეჯამება 55

IV. ურთიერთობები ოჯახში 57

4.1. იძულებით გადაადგილებული ქალები 57

შეჯამება 62

4.2. ეროვნული უმცირესობების ქალები 63

შეჯამება 66

V. უძრავი ქონების პრივატიზაცია 67

შეჯამება 72

VI. სამართლებრივი პრობლემები 73

6.1. იძულებით გადაადგილებული ქალები 73

შეჯამება 81

6.2. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ქალები 83

შეჯამება 89

VII. სამართლებრივი პრობლემების დეტალური განხილვა 90

7.1. იძულებით გადაადგილებული ქალები 90

იურიდიული მომსახურება/კონსულტაცია 93

შეჯამება 98

7.2. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ქალები 100

იურიდიული მომსახურება/კონსულტაცია 103

შეჯამება 106

VIII. გაეროს ქალთა ორგანიზაციის იურიდიული დახმარების კლინიკების/საკონსულტაციო ცენტრების შეფასება 108

8.1. იძულებით გადაადგილებული ქალები 108

შეჯამება 111

8.2. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ქალები 113

შეჯამება 115

ძირითადი შედეგები

კვლევის მიზანია იძულებით გადაადგილებულ და ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ქალთა სამართლებრივი სიტუაციის და სოციალური, იურიდიული და ეკონომიკური საჭიროებების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და გაანალიზება.

კვლევა მოიცავს როგორც თვისებრივ, ისე რაოდენობრივ კომპონენტებს. კვლევის პირველ ეტაპზე ჩატარდა სამი ფოკუს ჯგუფი, რომელიც კვლევის მოსამზადებელ ეტაპს წარმოადგენდა. თვისებრივი კვლევის ფუნქცია რაოდენობრივი კვლევისათვის ემპირიული ინდიკატორების შემუშავება იყო. რაოდენობრივი კვლევა კი ჩატარდა გამოკითხვის, კერძოდ, პირისპირი ინტერვიუს მეთოდის გამოყენებით. კვლევის ინსტრუმენტს წარმოადგენდა კითხვარი. გამოიკითხნენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალები (18 წლის და მეტი) მარნეულში და იძულებით გადაადგილებული ქალები რუსთავში, გორში, ქუთაისში, ზუგდიდსა და თბილისში. შერჩევითი ერთობლიობის მოცულობა იყო 700 რესპონდენტი (500 იძულებით გადაადგილებული ქალი და 200 ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ქალი). გამოყენებული იქნა მრავალსაფეხურიანი სტრატიფიცირებული (კლასტერული) შერჩევა, რომელიც გამოირჩევა კვლევაში გეოგრაფიული და დემოგრაფიული მახასიათებლების რეპრეზენტატულობით.

გამოკითხვა ჩატარდა 2013 წლის ოქტომბერ – ნოემბერში გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) დაკვეთით.

სამართლებრივი პრობლემები კანონმდებლობით გაწერილი რეგულაციების იმპლემენტაციის პროცესში შექმნილი პრობლემებია. თბილისში ჩატარებული ფოკუს ჯგუფების შედეგად, რომლებიც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს წარმომადგენლებსა და შესაბამის არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან გაიმართა ამ კვლევის ფარგლებში, სამართლებრივი პრობლემა ასე განისაზღვრა: სამართლებრივი პრობლემა ჩნდება მაშინ, როდესაც ადამიანს ექმნება დაბრკოლება კანონით მინიჭებული უფლებების რეალიზაციის პროცესში; იგულისხმება როგორც ქვეყნის შიდა კანონმდებლობით, ისე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ნორმებით უზრუნველყოფილი უფლებები.

გამოკითხვის ძირითადი მიგნებებია:

იძულებით გადაადგილებული ქალები

სოციო-დემოგრაფიული მახასიათებლები

- ✓ იძულებით გადაადგილებულ ქალთა ოჯახები ძირითადად, 4–5 წევრისგან შედგება (38.4%), რაც ნიშნავს, რომ ამ სამიზნე ჯგუფს გაფართოებული ოჯახის მოდელი ახასიათებს. აღნიშნულ სამიზნე ჯგუფში ოჯახების საშუალო ზომა 3.9–ს უდრის, რომელიც აღემატება საქართველოში ოჯახის საშუალო ზომას (3.6).
- ✓ იძულებით გადაადგილებულ ქალთაგან 51.9% დაოჯახებულია, ქვრივი – 23.2%, დაუოჯახებელთა რაოდენობა კი 18.6% შეადგენს.
- ✓ გაფართოებული ოჯახი, ადრეული ქორწინება, ოჯახური მდგომარეობა მიუთითებს ოჯახის ტრადიციული მოდელის არსებობაზე.
- ✓ იძულებით გადაადგილებულ ქალებში დასაქმებულთა რაოდენობა 18.5%–ია. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ უმუშევარი მესამედზე მეტია (36.9%), ხოლო დიასახლისად საკუთარ თავს 17% მიიჩნევს.
- ✓ იძულებით გადაადგილებულ ქალებში 35.8%–ს არ აქვს პროფესია/ჯერ არ აქვს პროფესია. გამოკითხულთაგან თითქმის ყველამ დაამთავრა სკოლა, მესამედმა მიიღო უმაღლესი განათლება, ხოლო მეხუთედმა – საშუალო ტექნიკური. იძულებით გადაადგილებულ ქალებში საშუალო განათლება ვერ მიიღო გამოკითხულთაგან მხოლოდ 38–მა, რაც საერთო რაოდენობის (798) 4.7%–ია. მათი 42.4% (16 რესპონდენტი), ვინც საშუალო განათლება ვერ მიიღო, ამის მიზეზად ასახელებს ოჯახის შექმნას, ხოლო ამდენივეს უჭირს მიზეზის დასახელება. მათგან, ვისაც უმაღლესი განათლება არ მიუღია (ასეთი კი 489 ადამიანია – გამოკითხულთა 61.2%), 37,1%–მა უმაღლესი განათლების ვერ/არ მიღების მიზეზად დაასახელა ოჯახის შექმნა, ხოლო 30.9%–მა თანხის არქონა.
- ✓ იძულებით გადაადგილებული ქალებისთვის ოჯახის შექმნა და ოჯახური ფაქტორები ხშირად გამხდარა განათლების შეწყვეტის მიზეზი. აღნიშნულ სამიზნე ჯგუფში მატერიალური მდგომარეობაც ხშირად განაპირობებდა სწავლის შეწყვეტას. ეს ნიშნავს, რომ იძულებით გადაადგილებულ ქალთათვის განათლება სოციალურად სასურველია. რესურსების ნაკლებობა, შესაძლოა, გახდეს დაბრკოლება და ხელი შეუშალოს იძულებით გადაადგილებულ ქალებს უკეთესი განათლების მიღებაში.

ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა

- ✓ ოჯახების საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება და ობიექტური მდგომარეობა ერთმანეთის მსგავსია. თუ ოჯახის შემოსავალს პირობითად სამ ჯგუფად დავყოფთ, შემდეგ

სურათს მივიღებთ: იძულებით გადაადგილებული ოჯახების 51.2%–ს 300 ლარზე ნაკლები შემოსავალი აქვს, რაც ნიშნავს, რომ სულ გამოკითხული იძულებით გადაადგილებული ოჯახების ნახევარი ღარიბია, 30.2%–ს 301–500 ლარი აქვს შემოსავალი, ხოლო 18.2%–ს – 501–1000 ლარი. შესაბამისად, იძულებით გადაადგილებულ ოჯახთა ნახევარზე მეტი საკუთარ ეკონომიკურ მდგომარეობას აფასებს, როგორც ძალიან ცუდს („ძალიან გვიჭირს, თანხა კვებაზეც არ გვყოფნის“), თითქმის მესამედი (29%) – როგორც ცუდს („ჩვენი შემოსავალი საკმარისია კვებისთვის, მაგრამ ვერ ვახერხებთ ტანსაცმლის შეძენას“).

- ✓ გასათვალისწინებელია ისიც, რომ იძულებით გადაადგილებული ოჯახების შემოსავლის საშუალო მაჩვენებელი 364.34 ლარია. ასეთი დაბალი საშუალო მაჩვენებელი მოულოდნელია, რადგან იძულებით გადაადგილებულ ოჯახებს შორის გვხვდება ისეთებიც, რომელთაც მაღალი შემოსავალი აქვთ. ამ მონაცემებს, შესაძლოა, ჰქონდეთ რამდენიმე ინტერპრეტაცია:
  - იძულებით გადაადგილებული ქალებიდან მეხუთედი დასაქმებულია, თუმცა მათი უმრავლესობა ნაკლებ შემოსავლიან სამსახურში მუშაობს.
  - ამ ჯგუფისთვის დამახასიათებელია საშუალო განათლება და საშუალო სამუშაო.

  ოჯახის საშუალო შემოსავლის შესახებ მონაცემები არ იძლევა კონკრეტულ ინფორმაციას ოჯახში ეკონომიკური სიტუაციის შესახებ. უამრავი კვლევა აჩვენებს, რომ თვიური ოჯახის შემოსავალი არ იყოფა თანაბრად ოჯახის ყველა წევრს შორის. ამიტომ, საშუალო შემოსავლის მქონე ოჯახშიც კი, ქალები და ბავშვები, შესაძლოა, სიღარიბის ზღვარზე იყვნენ.

- ✓ ამ ჯგუფში, თავის მხრივ, მონაცემები ქალაქების მიხედვით განსხვავდება, კერძოდ, ყველაზე მაღალი საშუალო შემოსავალი აქვთ თბილისში (488 ლარი), ხოლო ყველაზე დაბალი – ქუთაისში (295 ლარი). ასეთი ტიპის განსხვავება სხვადასხვა ეკონომიკური სტანდარტებითაა გამოწვეული, რომელიც გვხვდება დედაქალაქში და ქვეყნის რურალურ სივრცეებში. იძულებით გადაადგილებულთა ოჯახები შედარებით პატარა ქალაქებში უფრო რთული მატერიალური მდგომარეობით გამოირჩევიან, ვიდრე დედაქალაქში, სადაც მეტი შესაძლებლობა და მაღალი ხელფასებია.

- ✓ საკუთარი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის იდენტიფიკაციაზეა დამოკიდებული სოციალურად დაუცველთა შემწეობის მიღებაც. უმწეოთა დახმარების სრული პაკეტი ამჟამად აქვს იძულებით გადაადგილებულ ოჯახთა 34.8%–ს, ხოლო ჰქონდა – 20.6%–ს. განაცხადი აღნიშნული დახმარების მისაღებად შეიტანა 13.2%–მა (თუმცა ან ვერ მიიღო, ან პასუხს ელოდება). განაცხადი დახმარების მისაღებად არ შეუტანია 29%–ს, თუმცა მათი 20.8% აპირებს განაცხადის შეტანას. აღნიშნულიდან საბოლოო ჯამში გამომდინარეობს ის, რომ მოსახლეობის 74.6% ფიქრობს, რომ მისი ოჯახი სოციალურად დაუცველი, ე.წ. უმწეოა. სოციალური დახმარება იმ იძულებით გადაადგილებულ ოჯახებს აქვთ, რომელთა თვიური

შემოსავალიც 300 ლარზე ნაკლებია (ოჯახების 51.2%) და მიიჩნევიან ღარიბებად. მონაცემები აჩვენებს, რომ მათი 34.8% სოციალური დახმარების სრულ პაკეტს იღებს. ეს ნიშნავს, რომ 15.2% დახმარების გარეშე რჩება. მონაცემები არ გვიჩვენებს, თუ რომელი ოჯახები მიიჩნევენ საკუთარ თავს უმწეოებად: ისინი, რომელთაც არ აქვთ სოციალური დახმარების სრული პაკეტი, ისინი, ვისაც უკვე აქვთ სოციალური დახმარება თუ სხვები. სოციალური დახმარების თანხა, როგორც ყველაზე თანამედროვე ევროპული სოციალური პოლიტიკის კვლევები გვიჩვენებს, არის მთავარი იარაღი სიღარიბის წინააღმდეგ ეკონომიკურად მოწყვლადი ოჯახების უმრავლესობისთვის (Ashwin 2000, Clarke 2004, Bauman 2004). საბოლოოდ, აღნიშნულ სამიზნე ჯგუფში რესპონდენტთა ნახევარს 300 ლარამდე აქვს შემოსავალი. იძულებით გადაადგილებულ პირთა ნახევარი ფიქრობს, რომ მისი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა ძალიან ცუდია, მეტიც, სრულ უმრავლესობას მიაჩნია, რომ მისი ოჯახი სოციალურად დაუცველია. მონაცემებიდან კარგად ჩანს, რომ ამ სამიზნე ჯგუფს მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა აქვს.

ურთიერთობები ოჯახში

- ✓ დაოჯახებულ ქალთა რიცხვი დიდია იძულებით გადაადგილებულ ქალებში და უტოლდება 88.6%–ს. რესპონდენტთა უმრავლესობა ოჯახდებოდა 25 წლის ასაკში. დაოჯახების ასაკი შედარებით მაღალია თბილისში, სადაც 12.1% 25 წლის ასაკში ქმნიდა ოჯახს. ამ სამიზნე ჯგუფში „ბავშვთა ქორწინების“ (გაეროს კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ) რამდენიმე შემთხვევაც დაფიქსირდა.
- ✓ ქალები საკუთარ თანაცხოვრებას მეუღლესთან/პარტნიორთან პოზიტიურად აფასებენ. სულ 45.9%–მა განაცხადა, რომ მათი თანაცხოვრება მეუღლესთან/პარტნიორთან „ძალიან კარგია“ და 3 ქალაქში 60%–ზე მეტმა აღნიშნა იგივე. მათგან მხოლოდ 1.4%–მა თქვა, რომ თანაცხოვრება „ძალიან ცუდია“. 70%–ზე მეტი იძულებით გადაადგილებული ქალი გამოთქვამდა კმაყოფილების („კარგი“ და „ძალიან კარგი“), გამონაკლისები იყვნენ მხოლოდ გორში მცხოვრები ქალები, რომელთაგან თითქმის 10% აფასებდა მას ნეგატიურად. სამ ქალაქში (თბილისი, ქუთაისი, ზუგდიდი) არცერთ ქალს უთქვამს, რომ თანაცხოვრება „ძალიან ცუდია“.
- ✓ მონაცემები ცხადყოფს, რომ ქალთა უმრავლესობა ეკონომიკურად დამოკიდებულია მეუღლეზე ან არ აქვთ სტაბილური შემოსავალი. სულ 4.5%-ია ისეთი, რომლებიც ოჯახში მთავარი შემომტანები არიან და მათი რაოდენობა მსგავსია ქალაქების მიხედვით. ოდნავ მეტია ასეთების რაოდენობა რუსთავში (8.7%). 3.8%-მა უპასუხა, რომ ისინი მეტს გამოიმუშავებენ, ვიდრე მამაკაცები.

- ✓ სულ ქალთა 25%–მა უპასუხა, რომ არცერთს არ აქვთ შემოსავალი. რაც შეეხება ქუთაისს, ზუგდიდს და გორს, ამ ქალაქებში რესპონდენტთა დაახლოებით მესამედი არ გამოიმუშავებს თანხას, რაც ნიშნავს, რომ არ აქვთ სამსახური და სტაბილური შემოსავალი.
- ✓ იძულებით გადაადგილებული ქალები ეკონომიკურად დამოკიდებულნი არიან საკუთარ მეუღლეებზე/პარტნიორებზე, განსაკუთრებით თბილისში (47.6%) და რუსთავში (41.3%). ეკონომიკური დამოუკიდებლობის შედარებით მაღალ ხარისხს ავლენენ ქუთაისში მცხოვრები იძულებით გადაადგილებული ქალები (43.8%).„ტოტალური დამოკიდებულებისა“ და „მეტ–ნაკლები დამოკიდებულების“ კატეგორიების კომბინირების შემდეგ გამოვლინდა, რომ ნახევარზე მეტი და ერთ შემთხვევაში, მესამედზე მეტი ქალი ეკონომიკურად დამოკიდებულია მეუღლეზე/პარტნიორზე
- ✓ სამიზნე ჯგუფში თითქმის ყველამ უპასუხა, რომ არ აპირებენ შეწყვიტონ მეუღლესთან/პარტნიორთან თანაცხოვრება. მხოლოდ გორში არიან ისეთი ქალები, რომელთაც უფიქრიათ თანაცხოვრების შეწყვეტის შესახებ, თუმცა გადაწყვეტილება არ მიუღიათ (6%). მხოლოდ თბილისსა და გორში იყვნენ ისეთი ქალები, რომლებიც აპირებენ შეწყვიტონ თანაცხოვრება ან განქორწინდნენ. თბილისში ასეთთა რაოდენობა 1.6%–ია, ხოლო გორში – 1.5%

უძრავი ქონების პრივატიზაცია

- ✓ კითხვარი ეხებოდა გენდერულ განაწილებას პრივატიზაციის და საკუთრების სფეროში. ერთ–ერთი საკითხი მოიცავდა იმას, იყვნენ თუ არა პრივატიზაციის პროცესში დარეგისტრირებულნი როგორც მესაკუთრეები ან თანამესაკუთრეები. მათგან უმრავლესობა, ვინც მესაკუთრე ან თანამესაკუთრეა, არიან რუსთავიდან (36.7%), ხოლო მესაკუთრეების ყველაზე ნაკლები რაოდენობა თავმოყრილია ზუგდიდში (5.5%).
- ✓ იძულებით გადაადგილებული ქალები უმცირესობას წარმოადგენენ საკუთრების საკითხებში. საერთო შერჩევიდან მეოთხედი ქალებისა ფლობენ საკუთრებას (21%) და 3% არიან თანამესაკუთრეები. ეს უკანასკნელი მონაცემი ზრდის პროცენტულ მაჩვენებელს 24%–მდე. საერთო ჯამში 37% პასუხობს, რომ არც მესაკუთრეები და არც თანამესაკუთრეები არიან უძრავი ქონების, რაც ნიშნავს, რომ ორ მესამედზე ნაკლები მესაკუთრეებისა კაცები არიან. ზუგდიდში 64.5% აღნიშნავს, რომ ქონების დაკანონება შეუძლებელია.
- ✓ კითხვარი მოიცავდა ინფორმაციას იმის შესახებ, თუ ვინ ფლობს ქონებას და პასუხები გვიჩვენებს გენდერულად უთანასწორო საზოგადოებას. ქალების იმ შემტხვევაში ფლობენ ქონებას, თუ ისინი მშობლები არიან (30%). კაცებს შორის მონაცემები გაცილებით მაღალია.

ყველაზე ხშირად ქონებას ფლობენ მეუღლეები (77%), მამაკაცი მშობლები (7.9%) და შვილები (9.2%).

- ✓ ქალებს ასევე უნდა გაეცათ პასუხი კითხვაზე, თუ რამდენად ეთანხმებოდნენ ქონების ამგვარ განაწილებას. 93.6%–მა აღნიშნა, რომ ეთანხმება, მხოლოდ 1.3% დააფიქსირა უკმაყოფილება საკუთრების განაწილების შესახებ, ხოლო 4.8%–ს გაუჭირდა პასუხის გაცემა. ასეთი ჰომოგენური პასუხების ფონზე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გორში 5.6%, ზუგდიდში 4.8%, ხოლო რუსთავში 1.2% არ ეთანხმება ქონების ამგვარ გადანაწილებას.
- ✓ კითხვარი მოიცავდა კითხვას იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად შეთანხმებულნი იყვნენ ოჯახის წევრები ქონების ამგვარ განაწილებაზე და ქალების 91.1% პოზიტიურად პასუხობს. მხოლოდ 4.8%–მა ზუგდიდში თქვა, რომ ქონების ამგვარ განაწილებას ოჯახის სხვა წევრები არ ეთანხმებიან. საერთო შერჩევისთვის 1.3%–მა უპასუხა, რომ ოჯახის წევრები არ ეთანხმებიან ქონების ამგვარ განაწილებას, 1.3%–მა უარი თქვა პასუხზე და 6.4%–ს გაუჭირდა პასუხის გაცემა.

სამართლებრივი პრობლემები

- ✓ იძულებით გადაადგილებულ პირებში სამართლებრივი პრობლემების მქონე ოჯახების ხვედრითი წილი 34.6%-ია (173 ოჯახი), ხოლო შემთხვევათა ხვედრითი წილი – 47% (234 შემთხვევა). ეს ნიშნავს, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახებიდან ყოველ მესამეს შექმნია სამართლებრივი პრობლემა. იძულებით გადაადგილებული ოჯახების სამართლებრივი პრობლემები ძირითადად უკავშირდება უძრავი ქონების სფეროს. ასეთი პრობლემებიდან ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი ბინის დაკანონებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე მოდის. ხშირია დოკუმენტების შეცვლასთან/მიღებასთან დაკავშირებული პრობლემებიც, რომელთაგან ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი საცხოვრებელი ადგილისთვის მისამართის შეცვლა/დადგენის, სტაჟის აღდგენის და სამოქალაქო რეესტრში რეგისტრაციასთან დაკავშირებულ პრობლემებზე მოდის. სხვა სამართლებრივი პრობლემებიდან (რომლებიც თავად რესპონდენტებს უნდა დაესახელებინათ) ყველაზე ხშირია იძულებით გადაადგილებული ქალებისთვის ელექტროენერგიის გადასახადის შეღავათზე უარის თქმა. შეიძლება ითქვას, რომ ეს პრობლემები სპეციფიკურად ამ სამიზნე ჯგუფს ახასიათებს, რადგან კავშირშია უშუალოდ იძულებით გადაადგილებულ პირთა სტატუსთან. აღნიშნულ პრობლემათაგან ყველა დამოკიდებულია სახელმწიფო სტრუქტურების ჩართულობასა და სახელმწიფოს როლზე. მიზეზი, შესაძლოა, იყოს ზედმეტად ბიუროკრატიული პროცედურები სახელმწიფოს მხრიდან, სახელმწიფო მოხელეები, გრძელი პროცედურები სწრაფი, მოქნილი პროცედურების ნაცვლად და ეკონომიკური მოწყვლადობა იძულებით გადაადგილებული ოჯახებისა.

- ✓ მნიშვნელოვანია ისიც, რომ მიგრაციასთან დაკავშირებული პრობლემები ამ ჯგუფში უმნიშვნელოა. მონაცემებიდან იკვეთება კიდევ ერთი საინტერესო ტენდენცია – ძალადობასთან დაკავშირებულ პრობლემებზე იძულებით გადაადგილებული ქალები იშვიათად საუბრობენ. არ განიხილავენ დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ და ოჯახურ პრობლემებსაც. მსგავსია დამოკიდებულება მემკვიდრეობის განაწილების მიმართაც. შესაძლოა, ეს საკითხები მართლაც არ დგას დღის წესრიგში, თუმცა ასევე შესაძლებელია, რომ რესპონდენტები ან არ საუბრობდნენ ამ თემებზე, ან არ განიხილავდნენ მათ სამართლებრივი პრობლემების ჭრილში. აღნიშნული მონაცემები ხაზს უსვამენ იმ ფაქტორს, რომ ძალადობა ქალების მიმართ მიიჩნევა, როგორც „ოჯახური პრობლემა“ და როგორც ინდივიდუალური საკითხი თითოეული მამაკაცისთვის, ოჯახისთვის თუ ქალისთვის. ძალადობა არ არის მიჩნეული, როგორც გენდერული უთანასწორობის, ქალების სუბორდინაციისა და ისტორიული პატრიარქატის ნაწილი (Conell, Messerschmidt 2005; Gillis, Diamond, Jebely, Orekhovsky, Ostovich, Maclsaac, Sagrati, Mandell 2006; Johnson 2008; Edwards 2011).
- ✓ ქალები ავლენენ მსგავს დამოკიდებულებას საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებითაც. ფაქტი, რომ ისინი არ არიან ოჯახური საკუთრების მესაკუთრეები, არ აღიქმება, როგორც პრობლემა და არ განიხილება, როგორც გენდერული წესრიგის ნაწილი. შესაძლოა, ეს საკითხები ნაკლებად პრობლემურია რესპონდენტებისთვის ან ისინი არ საუბრობენ ამ პრობლემებზე ან არ მიიჩნევენ მათ სამართლებრივ პრობლემებად. კიდევ ერთი მიზეზი ამისა არის ის, რომ ქალთა უმრავლესობას არ აქვთ განათლება და გენდერულ უთანასწორობას აღიქვამენ, როგორც ობიექტურ მოცემულობას.

სამართლებრივი პრობლემების დეტალური განხილვა

- ✓ ამ სამიზნე ჯგუფში გამოკითხულთა დიდ ნაწილს ჩამოთვლილი სამართლებრივი პრობლემების მოგვარება არ უცდია – არ მიუმართავს სახელმწიფო ინსტანციებისთვის, იურისტისთვის, მეგობრებისთვის, არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის და ა.შ. თუმცა იძულებით გადაადგილებული პირების ნახევარს, სამართლებრივი პრობლემების შემთხვევაში, სახელმწიფო ინსტანციებისთვის მიუმართავს.
- ✓ მათგან მეოთხედი, ვინც პრობლემის გადასაჭრელად არაფერი მოიმოქმედა, ფიქრობს, რომ მაინც არაფერი შეიცვლებოდა. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ინფორმაციის ნაკლებობის და სახელმწიფო სტრუქტურებისადმი წვდომის გარდა, რესპონდენტებს სახელმწიფო სტრუქტურებისადმი ნდობის დაბალი ხარისხი ახასიათებთ.
- ✓ იძულებით გადაადგილებული ქალები იშვიათად მიმართავენ პოლიციას, 176 ოჯახიდან, რომელთაც შეექმნათ სამართლებრივი პრობლემა, პოლიციას მხოლოდ 8%–მა

(გამოკითხულთაგან 12–მა) მიმართა. დანარჩენთაგან ნახევარი ფიქრობს, რომ პოლიციის გამოძახება არ ესაჭიროებოდათ. ისინი ხშირად აფიქსირებდნენ იმ მოსაზრებასაც, რომ სხვადასხვა დავები ადამიანებმა პოლიციის ჩარევის გარეშე უნდა გადაჭრან, რაც მიუთითებს სხვადასხვა სახელმწიფო ინსტრანციასთან თანამშრომლობის მზაობის ნაკლებობასა და პოლიციის მიმართ ნდობის დაბალ ხარისხზე.

- ✓ იძულებით გადაადგილებული ქალები იშვიათად მიმართავენ სასამართლოსაც, 176 ოჯახიდან, რომელთაც შეექმნათ სამართლებრივი პრობლემა, სასამართლოს მხოლოდ 12,5%–მა (გამოკითხულთაგან 22–მა) მიმართა. დანარჩენთაგან მესამედი ფიქრობს, რომ სასამართლოსთვის მიმართვა არ იყო საჭირო. ისინი ხშირად აფიქსირებდნენ მოსაზრებას, რომ სხვადასხვა დავები ადამიანებმა სასამართლოს ჩარევის გარეშე უნდა გადაჭრან, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ამ ჯგუფის სახელმწიფო ინსტრანციასთან თანამშრომლობის მზაობის ნაკლებობას და ნდობის დაბალ ხარისხს.
- ✓ იურისტს იძულებით გადაადგილებული ქალები უფრო ხშირად მიმართავენ, ვიდრე სასამართლოსა და პოლიციას. იძულებით გადაადგილებულ ქალთა მეოთხედს მიუმართავს იურისტისთვის/გაუვლია იურიდიული კონსულტაცია. მათგან, ვისაც აღნიშნული კონსულტაცია არ გაუვლია, უმრავლესობა აღნიშნავს, რომ არ ესაჭიროებოდათ. დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ მის პრობლემას მაინც ვერ მოაგვარებდნენ. მიზეზების ძირითადი ნაწილი მსგავსია სასამართლოსთვის და პოლიციისთვის არმიმართვიანობის მიზეზებისა და აფიქსირებს სახელმწიფო ინსტრანციასთან თანამშრომლობის მზაობის ნაკლებობას და ნდობის დაბალ ხარისხს.
- ✓ ცხადია, რომ იძულებით გადაადგილებული ქალები ხშირად ფიქრობენ, რომ დავები/პრობლემები უნდა გადაიჭრას სასამართლოს/პოლიციის/ იურისტის ჩართულობის გარეშე. მათ ახასიათებთ ინფორმაციის, ხელმისაწვდომობის და ნდობის დაბალი ხარისხი სახელმწიფო ინსტიტუციების მიმართ. ასევე, საბაზისო განათლების ნაკლებობა იმის შესახებ, თუ როგორ მიიღონ სამართლებრივი დახმარება, როგორ ჩამოაყალიბონ საჩივარი და როგორ დაუჭირონ მხარი ერთმანეთს სამოქალაქო, კოლექტიური თუ ოჯახური ადვოკატირების სისტემით.
- ✓ იძულებით გადაადგილებულმა ქალებმა იურისტს სულ 46 შემთხვევაში მიმართეს. მათგან თითქმის ნახევარს (45.7%, 21 შემთხვევა) იურიდიული კონსულტაცია გაეროს ქალთა ორგანიზაციის იურიდიული დახმარების კლინიკამ/საკონსულტაციო ცენტრმა გაუწია – ასეთი შემთხვევები ზუგდიდშია თავმოყრილი. სხვა ქალაქებში კერძო იურისტს, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს უფასო იურიდიული მომსახურების ცენტრს ან სხვა არასამთავრობო ორგანიზაციის იურისტს მიმართავდნენ. თბილისსა და რუსთავში,

ძირითადად, კერძო იურისტს მიმართავდნენ, გორში – პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს ან სხვა არასამთავრობო ორგანიზაციის იურისტს. ყველაზე ხშირად იურისტს ზუგდიდში მიმართავდნენ, ყველაზე იშვიათად – რუსთავში. ქუთაისში იურისტისთვის მიმართვის არცერთი შემთხვევა დაფიქსირდა. რესპონდენტები იურიდიული კონსულტაციის/მომსახურების მისაღებად ორგანიზაციას/პირს ორი ძირითადი ნიშნით არჩევდნენ: ხელმისაწვდომობითა და ახლობლის რეკომენდაციით.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის იურიდიული დახმარების კლინიკების/საკონსულტაციო ცენტრების შეფასება მათგან, ვისაც ამ ცენტრის დახმარება არ მიუღია

- ✓ გაეროს ქალთა ორგანიზაციის იურიდიული დახმარების კლინიკები/საკონსულტაციო ცენტრები იძულებით გადაადგილებულ ქალებს თბილისში, რუსთავში, ქუთაისში, გორსა და ზუგდიდში 2010 წლის აპრილიდან ემსახურება. მათ შესახებ რესპონდენტთა თითქმის ნახევარს, 42%–ს სმენია. მათ ინფორმაცია, ძირითადად, ტელევიზიის ან ახლობელი ადამიანებისგან აქვთ, მნიშვნელოვან ნაწილს – არასამთავრობო ორგანიზაციებიდან.
- ✓ უმრავლესობა აღნიშნავს, რომ საჭიროების შემთხვევაში მიმართავდნენ იურიდიულ კლინიკას, რაც ადასტურებს მოსახლეობის მზაობას, მიიღონ იურიდიული კონსულტაცია აღნიშნული ცენტრისგან.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის იურიდიული დახმარების კლინიკების/საკონსულტაციო ცენტრების შეფასება მათგან, ვინც ამ ცენტრის დახმარება მიიღო

- ✓ იძულებით გადაადგილებულ ქალთაგან სამართლებრივი პრობლემა სულ 234–ს შეექმნა, აქედან პრობლემის გადაჭრა მხოლოდ 176 შემთხვევაში სცადეს. აღნიშნული შემთხვევების 11.9%–ში რესპონდენტებმა გაეროს ქალთა ორგანიზაციის იურიდიული დახმარების კლინიკას/საკონსულტაციო ცენტრს მიმართეს. ამ ცენტრში იურიდიული კონსულტაცია 16–მა რესპონდენტმა (21 შემთხვევა) გაიარა. ეს რიცხვი ქალების საერთო რაოდენობის (798–ის) 2.6%, ხოლო რესპონდენტთა საერთო რაოდენობის (500) 3.2%–ია. შემთხვევათაგან ყველა თავმოყრილია ზუგდიდში, ეს ნიშნავს, რომ ზუგდიდში გამოკითხულ რესპონდენტთაგან (110 რესპონდენტი) 14.5%–ს მიუმართავს გაეროს ქალთა ორგანიზაციის იურიდიული დახმარების კლინიკისთვის/საკონსულტაციო ცენტრისთვის. გამოკითხულთაგან არცერთს მიუმართავს აღნიშნული ცენტრისთვის თბილისში, ქუთაისში, გორსა და რუსთავში.
- ✓ მათი უმრავლესობა, ვინც იურიდიული კონსულტაცია გაეროს ქალთა ორგანიზაციის იურიდიული დახმარების კლინიკაში/საკონსულტაციო ცენტრში გაიარა, აღნიშნავს, რომ

მიიღეს სასამართლო წარმომადგენლობა (76.2%), ხოლო დანარჩენი ამბობს, რომ ასეთი წარმომადგენლობა არ ესაჭიროებოდათ.

- ✓ ეს ცენტრი რესპონდენტებმა აირჩიეს ხელმისაწვდომობის გამო და იმის გამო, რომ კონსულტაცია უფასო იყო. მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ახლობლების რეკომენდაციაც. აღნიშნული მონაცემებიდან იკვეთება, რომ ამ საკონსულტაციო ცენტრისთვის ფინანსური ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანი მახასიათებელია. საყურადღებოა ინფორმაციის გავრცელების ხარისხიც, რადგან რესპონდენტთა ნაწილი საკონსულტაციო ცენტრს ახლობლების რეკომენდაციის შესაბამისად ირჩევს.
- ✓ მათგან 95.2%, ვინც აღნიშნულ იურიდიულ კლინიკაში მიიღო იურიდიული კონსულტაცია, დადებითად აფასებს მას და აღნიშნავს, რომ მიიღო სრული მომსახურება, ხოლო დახმარება იყო დროული და სწრაფი. 81%–ისთვის პრობლემა უკვე გადაიჭრა, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში პრობლემა გადაუჭრელი დარჩა. 65.4% ამბობს, რომ მათი სამართლებრივი პრობლემა სწორედ იურისტის ძალისხმევითა და დახმარებით გადაიჭრა.

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ქალები

სოციო-დემოგრაფიული მახასიათებლები

- ✓ ამ სამიზნე ჯგუფში გვხვდება გაფართოებული ოჯახები, რომლებიც, ძირითადად, 4–5 წევრისგან შედგება (45%). ამასთან, ეროვნულ უმცირესობებში თითქმის ყოველი მესამე ოჯახი 6 ან მეტ წევრიანია (29.5%). ოჯახების საშუალო ზომა 4.6–ს უდრის, რომელიც აღემატება საქართველოში ოჯახის საშუალო ზომას (3.6).
- ✓ ეროვნული უმცირესობების ქალთაგან უმრავლესობა დაოჯახებულია (68.9%), ქვრივების რაოდენობა კი თითქმის მეხუთედს შეადგენს. დაუოჯახებელთა რაოდენობა 9.9%–ია.
- ✓ ამ სამიზნე ჯგუფში გაფართოებული ოჯახი, ადრეული ქორწინება და ოჯახური მდგომარეობა მიუთითებს ოჯახის ტრადიციული მოდელის არსებობაზე. მონაცემებიდან კარგად ჩანს, რომ ეს უკანასკნელი ამ რეგიონში ძალიან მყარია.
- ✓ ეროვნულ უმცირესობებში ქალთა მხოლოდ მეათედი, 10.5%–ია დასაქმებული. უმუშევართა რაოდენობა მეოთხედს, 25.7%–ს შეადგენს. ამ მონაცემებს ხსნის დიასახლისთა რაოდენობა, რომელიც ეროვნულ უმცირესობებში 39.5%–ია. როგორც აღმოჩნდა, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ქალები არ ახდენენ საკუთარ თავის კლასიფიკაციას „უმუშევრებად“, რაც ნიშნავს, რომ არ ეძებენ სამსახურს და არ ფიქრობენ მუშაობის დაწყებაზე. ამასთან, მნიშვნელოვანი ფაქტორია ქალის ტრადიციული როლი ეროვნული უმცირესობების ქალთა შორის საქართველოში. ისინი, დანარჩენ მოსახლეობასთან

შედარებით, უფრო ხშირად არიან დატვირთულნი აუნაზღაურებელი საოჯახო საქმით (ბავშვების მოვლა, სახლის მიხედვა, სასოფლო–სამეურნეო საქმე) და ტრადიციულად, ნაკლებად არიან დასაქმებულნი ანაზღაურებულ სამუშაოზე. აუნაზღაურებელი საოჯახო საქმე დღესაც არ აღიქმება, როგორც სამუშაო, არამედ განიხილება, როგორც ქალის ბუნებრივი როლი. ამიტომაც, ეს ქალები საკუთარ თავს არ აღიქვამენ „დაუსაქმებლებად“.

- ✓ ეროვნული უმცირესობების ქალთა 74.6%–ს არ აქვს პროფესია/ჯერ არ აქვს პროფესია. გარდა ამისა, მათგან მეოთხედმა მხოლოდ 9 კლასი დაამთავრა, მესამედზე მეტმა – სკოლა. საბოლოოდ, საშუალო განათლება ვერ მიიღო 134–მა ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელმა ქალმა, რაც საერთო რაოდენობის (354) 37.8%–ია. მათი ნახევარი ამის მიზეზად ასახელებს ოჯახის შექმნას, ხოლო მეათედი – თანხის არქონას. როგორც მონაცემებიდან ჩანს, ზემოთ აღნიშნულმა ფაქტორებმა უმაღლესი განათლების ვერმიღებაც დიდწილად განაპირობა. ამასთან, თითქმის მეხუთედს შეადგენს ისეთი რესპონდენტების რაოდენობა (მათგან, ვისაც უმაღლესი განათლება არ მიუღია), რომლებიც ფიქრობენ, რომ საჭირო არ არის უმაღლესი განათლების მიღება. აღნიშნული შედეგები კიდევ ერთხელ ამოწმებს ზემოთ აღნიშნულ ანალიზს ანაზღაურებულ სამუშაოში ქალთა ჩართულობის შესახებ. არც განათლება და არც ანაზღაურებული დასაქმება არ მიიჩნევა ქალების ცხოვრების ნაწილად.
- ✓ ეროვნული უმცირესობების ქალთათვის განათლების მიღება მწვავე პრობლემაა. ისინი ყველაზე ხშირად ოჯახის შექმნისა და ოჯახური ფაქტორების გამო ვერ იღებენ განათლებას. ამ სამიზნე ჯგუფში ქალის მიერ განათლების მიღება ნაკლებ მოსალოდნელია. ქალმა, შესაძლოა, არ მიიღოს შესაბამისი განათლება რესურსების სიმცირის გამოც, თუმცა უფრო ხშირად ამის მიზეზი ის მოლოდინებია, რომლებიც ტრადიციულ გენდერულ როლებთანაა დაკავშირებული.

ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა

- ✓ ოჯახების საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება და ობიექტური მდგომარეობა ერთმანეთის მსგავსია. თუ ოჯახის შემოსავალს პირობითად სამ ჯგუფად დავყოფთ, შემდეგ სურათს მივიღებთ: ეროვნულ უმცირესობათა ოჯახების 49.5%–ს 300 ლარზე ნაკლები შემოსავალი აქვს, 19.5%–ს 301–500 ლარი აქვს შემოსავალი, ხოლო 30%–ს 501–1000 და მეტი ლარი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეროვნული უმცირესობების ქალების შემოსავლის საშუალო მაჩვენებელი 409.71 ლარია. შედარებით მაღალი საშუალო შემოსავალი შეიძლება ინტერპრეტირდეს ამგვარად:

- პირველ რიგში, მნიშვნელოვანია ოჯახის სტრუქტურა და ტრადიციული საოჯახო სოლიდარობა. ეროვნული უმცირესობების ოჯახები დიდია და შესაბამისად, უფრო ძლიერი ტრადიციული გაფართოებული ოჯახის სოლიდარობა ახასიათებთ და შესაძლოა, რომ ისეთი მამაკაცები, რომელთაც შემოსავალი აქვთ, ოჯახში რამდენიმეა.
- გარდა ამისა, ეროვნული უმცირესობების ქალებს შორის, შესაძლოა, მეტი ქალი იყოს ისეთი, რომლებიც კარგ შემოსავალს იღებენ, თუმცა, ცხადია, ძალიან ცოტა მუშაობს. ეს ნიშნავს, რომ ამ სამიზნე ჯგუფში უთანასწორობა დიდია – არსებობენ ქალები (რომლებიც უმრავლესობას წარმოადგენენ), რომლებსაც საერთოდ არ აქვთ შემოსავალი და ქალები, რომლებთაც აქვთ შემოსავალი.

✓ მიუხედავად იმისა, რომ სულ გამოკითხული ეროვნული უმცირესობების ოჯახების ნახევარი ღარიბია (აქვს 300 ლარზე ნაკლები შემოსავალი), მხოლოდ 15% აფასებს საკუთარ ეკონომიკურ მდგომარეობას, როგორც ძალიან ცუდს. 27.5% ამბობს, რომ მისი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა ცუდია, ხოლო 45% ამბობს, რომ – საშუალო. აღმოჩნდა, რომ ეროვნული უცმირესობების ქალები საკუთარი ოჯახის მდგომარეობას უფრო კარგად აფასებენ, ვიდრე ამას ობიექტური კრიტერიუმები ავლენს. ეს გამოწვეულია ისტორიული და სოციალური მიზეზებით: ეროვნული უმცირესობების ოჯახებმა გამოსცადეს მწვავე ეკონომიკური გაჭირვება და ამ პროცესებთან დაკავშირებული ეკონომიკური სტანდარტების გამო, შედარებით დაბალი მოლოდინები აქვთ. ეს ფაქტორები ახსნის მათ მიერ სიტუაციის უფრო პოზიტიურად შეფასებას, ვიდრე ამაზე ობიექტური კრიტერიუმები მიუთითებენ და ვიდრე ეს საქართველოს დანარჩენ მოსახლეობაშია.

✓ საკუთარი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის იდენტიფიკაციაზეა დამოკიდებული სოციალურად დაუცველთა შემწეობის მიღებაც. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთაგან სოციალურად დაუცველთა დახმარების სრული პაკეტი ამჟამად 2.5%–ს აქვს, ხოლო ჰქონდა 1.5%–ს. განაცხადი აღნიშნული დახმარების მისაღებად შეიტანა 3%–მა (თუმცა ან ვერ მიიღო, ან პასუხს ელოდება). განაცხადი არ შეუტანია ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა 92%–ს, თუმცა მათი 29.6% აპირებს შეიტანოს. საბოლოო ჯამში გამოდის, რომ გამოკითხული ეროვნული უმცირესობების ოჯახებიდან 34.2% ფიქრობს, რომ მისი ოჯახი სოციალურად დაუცველი, ე.წ. უმწეოა.

მონაცემები ცხადყოფს, რომ ეროვნული უმცირესობების ოჯახებიდან, ტრადიციულად, ნაკლებს შეაქვს განაცხადი სოციალური დახმარების მისაღებად. გარდა ამისა, მათი ოჯახები შედარებით უფრო მეტად ავლენენ ტენდენციას, იყვნენ დამოუკიდებელნი. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამ ფაქტორების მიზეზები კავშირშია სოციალური სამართლიანობის მიმართ ხელმისაწვდომობაზე. ამ სამიზნე ჯგუფს ახასიათებს ენობრივი ბარიერები და

განათლების დაბალი საფეხური, რაც იწვევს ინფორმაციის ნაკლებობას კეთილდღეობის შესაძლებლობების შესახებ. ამავდროულად, ისინი, შესაძლოა, განიცდიან პრობლემებს სახელმწიფო მოხელეების მხრიდან. ამიტომაც, ისინი ნაკლებად ითხოვენ სოციალურ დახმარებას. დიდია მათი რიცხვი, რომლებიც რურალურ სივრცეში ცხოვრობს და შორს არის ასეთი სერვისებისგან.

- ✓ ეროვნული უმცირესობების ქალთა თითქმის ნახევარი საკუთარ ეკონომიკურ მდგომარეობას აფასებს, როგორც საშუალოს, მიუხედავად იმისა, რომ ამ ჯგუფის ოჯახთა ნახევარს 300 ლარამდე შემოსავალი აქვს. ამ ჯგუფის მესამედს მიაჩნია, რომ მისი ოჯახი სოციალურად დაუცველია. მონაცემებიდან კარგად ჩანს, რომ ამ სამიზნე ჯგუფს მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა აქვს.

ურთიერთობები ოჯახში

- ✓ დაოჯახებულ ქალთა რიცხვი ეროვნული უმცირესობების ქალებს შორის 90.5%–ია. ამ სამიზნე ჯგუფში ქალები 16–19 წლის ასაკში ქორწინდებიან. 11% ამბობს, რომ ოჯახი შექმნა 16 წლის ასაკში.
- ✓ მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული უმცირესობების ქალები ხშირად გამოცდიან ძალადობას მეუღლის/პარტნიორის მხრიდან, ისინი თანაცხოვრებას პოზიტიურად აფასებენ. 1.7% ამბობს, რომ მათი თანაცხოვრება არის ძალიან ცუდი, ხოლო 67% ამბობს, რომ თანაცხოვრება კარგი ან ძალიან კარგია.
- ✓ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ქალებს შორის მხოლოდ გამოკითხულთა მეუღლეები გამოიმუშავებენ თანხას (55.1%). თითქმის 20% ამბობს, რომ არ აქვთ შემოსავალი, რაც ხაზს უსვამს უმუშევრობას.
- ✓ ეროვნული უმცირესობების ქალთა შორის 51.7% ეკონომიკურად დამოკიდებულია საკუთარ მეუღლეზე/პარტნიორზე, ხოლო 15.2% ამბობს, რომ სრულიად დამოუკიდებელია.
- ✓ ეროვნული უმცირესობების ქალთაგან 98.7% არ აპირებს ქორწინების შეწყვეტას.

სამართლებრივი პრობლემები

- ✓ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ქალებში გამოკითხულთა ნახევარს შექმნია სამართლებრივი პრობლემა, ხოლო ამ ოჯახებში საშუალოდ ორი შემთხვევა ფიქსირდება. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებში სამართლებრივ პრობლემათა არეალი მრავალფეროვანია. პირველ რიგში, ამ სამიზნე ჯგუფში პრობლემატურია საჯარო პირების მხრიდან არასამართლიანი მოპყრობა (33.2%, შემთხვევათა

68.4%), რომელიც გამოკითხულთა სრულ უმრავლესობას განუცდია. აქედან ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი არასწორად დარიცხულ კომუნალურ გადასახადებზე მოდის, რომელიც რესპონდენტთა ნახევარმა დაასახელა. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ქალთა სამართლებრივი პრობლემები ასევე კავშირშია მეუღლის მხრიდან მორალურ/ფსიქოლოგიურ ძალადობასთან, ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციასთან, ოჯახის შექმნის გამო საჭირო საშუალო/უმაღლესი განათლების ვერმიღებასთან, საჯარო პირების მხრიდან საჯარო ინფორმაციის დამალვასთან, პასპორტის/პირადობის მოწმობის აღების პროცესში პრობლემებთან და მეუღლის მხრიდან ფიზიკურ ძალადობასთან. მაშ, ეროვნული უმცირესობების ქალთათვის დამახასიათებელი სამართლებრივი პრობლემები კავშირშია არა მხოლოდ სახელმწიფოს პასიურ როლთან ამ რეგიონში, არამედ გენდერულ უთანასწორობასთან და კულტურულ ატიტუდებთან.

- ✓ მიგრაციასთან, დისკრიმინაციასთან დაკავშირებული და ოჯახური პრობლემები ამ ჯგუფში უმნიშვნელოა. მსგავსია დამოკიდებულება მემკვიდრეობის განაწილების მიმართაც. შესაძლოა, ეს საკითხები მართლაც არ დგას დღის წესრიგში, თუმცა ასევე შესაძლებელია, რომ რესპონდენტები ან არ საუბრობდნენ ამ თემებზე, ან არ განიხილავდნენ მათ სამართლებრივი პრობლემების ჭრილში.
- ✓ განათლების ნაკლებობა და ეკონომიკური დამოკიდებულება ქალთა გათავისუფლებას ძალადობრივი ურთიერთობისგან თითქმის შეუძლებელს ხდის. კვლევა არ ეხებოდა ბავშვთა მიმართ ძალადობას, თუმცა უამრავი ლიტერატურა, სადაც ქალთა მიმართ ძალადობაა განხილული, აღწერილია ისიც, რომ ისეთ ოჯახებში, სადაც ქალებზე ძალადობენ, ძალადობენ ბავშვებზეც. თუ მათზე არ ძალადობენ, ბავშვების ესმით, ხედავენ და არიან ძალადობის მდუმარე მსხვერპლები (Mullender 1996).

სამართლებრივი პრობლემების დეტალური განხილვა

- ✓ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ქალთა უმრავლესობას ნაწილს ჩამოთვლილი სამართლებრივი პრობლემების მოგვარება არ უცდია – არ მიუმართავს სახელმწიფო ინსტანციებისთვის, იურისტისთვის, მეგობრებისთვის, არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის და ა.შ. (77.1%). ეს ცხადყოფს, რომ ეროვნულ უმცირესობებს ნაკლები აქვთ როგორც ინფორმაცია, ასევე წვდომა სახელმწიფო სტრუქტურებისადმი. მათგან მეოთხედი, ვინც პრობლემის გადასაჭრელად არაფერი მოიმოქმედა, ფიქრობს, რომ მაინც არაფერი შეიცვლებოდა. ეს მიუთითებს იმაზე, რომ რესპონდენტებს სახელმწიფო სტრუქტურებისადმი ნდობის დაბალი ხარისხი ახასიათებთ.

- ✓ მიუხედავად ინფორმაციის ნაკლებობის, სახელმწიფო სტრუქტურებისადმი ხელმისაწვდომობისა და მათდამი ნდობის დაბალი ხარისხისა, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ქალთა 22.7% მიუმართავს პოლიციისთვის. დანარჩენთაგან ნახევარი ფიქრობს, რომ პოლიციისთვის მიმართვა არ ესაჭიროებოდა. ისინი ხშირად აღნიშნავენ იმასაც, რომ მის პრობლემას პოლიცია მაინც ვერ მოაგვარებდა. ეს მიუთითებს, რომ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ქალები აფიქსირებენ როგორც სხვადასხვა სახელმწიფო ინსტრანციასთან თანამშრომლობის მზაობას, ასევე ნდობის დაბალ ხარისხს პოლიციის მიმართ.

- ✓ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ განათლების დონე ბარიერია სამართლებრივი პროცედურების შესახებ (რომელთაც სამართლებრივი პრობლემები უნდა გადაჭრან) ადეკვატური ინფორმაციის მიღებაში. ამის გარდა, ბარიერია სახელმწიფო მოხელეებთან დაკავშირებული უარყოფითი გამოცდილება და იმ ადამიანების პასიურობა, რომლებიც ხანგრძლივი დეპრივაციის სიტუაციაში ცხოვრობენ. სამართლებრივი ინსტიტუციების ნაკლებობა, რომლებიც ხელმისაწვდომია ეროვნული უმცირესობებისთვის, სიტუაციას კიდევ უფრო ამძიმებს.

- ✓ სასამართლოს გამოკითხულთა 11.4%–მა მიმართა. დანარჩენთაგან მესამედი ფიქრობს, რომ სასამართლოსთვის მიმართვა არ იყო საჭირო. მათი ნაწილი ამბობს, რომ მის პრობლემას სასამრთლო ვერ მოაგვარებდა და რომ დაბრკოლება ფინანსური პრობლემებიც იყო. აქედან ცხადად გამოჩნდა, რომ ეროვნული უმცირესობების ქალების ქცევას სამართლებრივი პრობლემის შემთხვევაში ფინანსური პრობლემები და სახელმწიფო სტრუქტურებისადმი ნდობის დაბალი ხარისხი განაპირობებს.

- ✓ იურისტისთვის მიმართვის სიხშირე აღემატება სასამართლოსთვის და პოლიციისთვის მიმართვის სიხშირეს. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ქალთა მესამედს (34.1%) მიუმართავს იურისტისთვის/მიუღია იურიდიული კონსულტაცია. მათგან, ვისაც აღნიშნული კონსულტაცია არ გაუვლია, უმრავლესობა აღნიშნავს, რომ არ ესაჭიროებოდათ. დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ მის პრობლემას მაინც ვერ მოაგვარებდნენ. ეროვნული უმცირესობების ქალთა უმრავლესობა კერძო იურისტს მიმართავდა. ზოგჯერ მიმართავდნენ სხვა არასამთავრობო ორგანიზაციის იურისტს ან საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას. ისინი იურიდიულ კონსულტაციას ხელმწისაწვდომობით ან რეპუტაციის მიხედვით ირჩევდნენ.

- ✓ სავარაუდოა, რომ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ქალებს აქვთ ნაკლები ინფორმაცია არასამთავრობო ორგანიზაციების როლის შესახებ და უფრო მეტად ენდობიან სახელმწიფო ინსტიუციებს, მიუხედავად იმისა, რომ უარყოფითი გამოცდილება აქვთ

მათთან ურთიერთობისას. მნიშვნელოვანია ახალი თაობის განათლება საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების მნიშვნელოვან როლზე სამართლებრივი დახმარებისა და კონსულტაციის ჭრილში. გარდა ამისა, როგორც ჩანს, მათ ნაკლები ინფორმაცია აქვთ იმაზე, რომ არსებობს უფასო სერვისები.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის იურიდიული დახმარების კლინიკების/საკონსულტაციო ცენტრების შეფასება

- ✓ მარნეულში გაეროს ქალთა ორგანიზაციის იურიდიული დახმარების კლინიკა/საკონსულტაციო ცენტრი 2013 წლის სექტემბერში გაიხსნა, შესაბამისად, ველის მიმდინარეობის პროცესში, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ქალთაგან არავის ჰქონდა გავლილი ამ ცენტრის მიერ შემოთავაზებული კონსულტაცია. მეტიც, ამ კლინიკების შესახებ ინფორმაცია მხოლოდ 8%–ს ჰქონდა. მათ ინფორმაცია, ძირითადად, ტელევიზიით ან ახლობელი ადამიანებისგან მიიღეს, თუმცა მნიშვნელოვან ნაწილს ეს ინფორმაცია არასამთავრობო ორგანიზაციებმაც მიაწოდა.
- ✓ ზოგადად, სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებითაც მოსახლეობა ინფორმაციას ახლობლების მეშვეობით იღებს (დიდი ნაწილი საერთოდ არ იღებს სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებულ ინფორმაციას). აღნიშნული შედეგები ცხადყოფს, რომ მოსახლეობაში დაბალია ინფორმირებულობის დონე სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ქალთა უმრავლესობამ არ იცის, ხელმისაწვდომია თუ არა მათ მშობლიურ ენაზე საქართველოს კანონმდებლობა. განათლების დონე და ენობრივი ბარიერები დიდი პრობლემაა. ეროვნული უმცირესობების ოჯახების პერსპექტივიდან, სამართლებრივი პრობლემები არ აღიქმება როგორც ქალთა აქტიურობის სფერო და ამიტომაც, ქალები არ ერთვებიან ასეთ საქმიანობაში და არ იღებენ ინფორმაციას.
- ✓ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ქალთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ საჭიროების შემთხვევაში მიმართავდნენ იურიდიულ კლინიკას, რაც ადასტურებს მოსახლეობის მზაობას, მიიღონ იურიდიული კონსულტაცია.

შესავალი

ეს მნიშვნელოვანი კვლევაა როგორც მეთოდოლოგიური პერსპექტივის, ასევე კონტენტის გამო. მეთოდოლოგიური პერსპექტივიდან მნიშვნელოვანია, რომ ქალებს ეკითხებიან ისეთ სპეციფიკურ საკითხებზე, რომლებზეც ტრადიციულ საზოგადოებებში, როგორც წესი, არ ეკითხებიან ხოლმე (სამართლებრივი სფეროს მიმართ ხელმისაწვდომობა, საკუთრების საკითხები და ა.შ). ტრადიციული საზოგადოების ერთ–ერთი მახასიათებელი არის ის, რომ კოლექტივი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ინდივიდი და კოლექტივს სწორედ მამაკაცები წარმოადგენენ. ზოგიერთი საბაზისო უფლება მიეწერება მამაკაცს, მაგრამ არა ქალს.

საკითხი თავისთავად გენდერულია, რადგან სამართლებრივი სისტემისადმი ხელმისაწვდომობა, როგორც იურიდიული ან პოლიტიკური საკითხი, მიიჩნევა, რომ მამაკაცის სფეროა. ამიტომ, კვლევებში ქალებს იშვიათად გამოკითხავენ ასეთ თემებზე. შესაბამისად, ისინი რჩებიან „მდუმარე“ სოციალურ ჯგუფად ისეთ კვლევებში, რომლებიც დაკავშირებულია პოლიტიკურ თემებთან და რომლებიც ცდება ოჯახის ფარგლებს. მათი „მდუმარება“ გამყარებულია იმ ფაქტითაც, რომ ქალებს არ აქვთ შესაძლებლობა, უპასუხონ კითხვებს საკუთარი უფლებების შესახებ. ინტერვიუების დროს ისინი იშვიათად არიან მარტო, ბავშვების, ქმრების და მშობლების გარეშე. ბევრმა მკვლევარმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ოჯახში მამაკაცები ხშირად კითხვებს ქალების მაგივრად პასუხობენ. ქალები ხშირად არ საუბრობენ ძალადობაზე, შეზღუდულ ხელმისაწვდომობაზე თავისუფლების, სხვა უფლებებისა და რესურსების მიმართ სწორედ იმის გამო, რომ მათ ირგვლივ ოჯახის წევრები იმყოფებიან. მათ ხშირად ეშინიათ სიმართლის გამჟღავნებისა და ამის შედეგების. ამ კონტექსტში ოჯახის წევრების ფუნქცია „მეკარეობაა“, რომლებიც იგერიებენ ქალის სურვილს გაამჟღავნონ შესაბამისი ინფორმაცია.

ამავდროულად, ქალები თავად გრძნობენ ხოლმე, რომ არ აქვთ კომპეტენცია შეავსონ კითხვარი, რომლებიც ასეთ საკითხებს უკავშირდება.

გენდერისა და ეთნიკურობაზე საუბრისას აღმოსავლეთ ევროპის პოსტ–საბჭოთა ქვეყნებში, შესაძლოა, პრობლემა შეიქმნას განსხვავებულობის, მრავალფეროვნების გაგებასა და ეთნიკური და გენდერული განსხვავებების გაცნობიერებასთან დაკავშირებით. ისტორიული პერსპექტივიდან, სოციალისტური დისკურსი ახდენდა ეთნიკურობის კატეგორიზაციას კლასის ცნების ქვეშ. სოციალისტური სლოგანი „მუშათა უსაფრთხოება“ ფოკუსირდებოდა მუშებზე ეთნიკურობისა და გენდერის გარეშე. სოციალისტი მუშები მოქალაქეობის სტატუსითა და ჯანმრთელობისა და საპენსიო სისტემით გარანტირებულნი იყვნენ, თუმცა წარმომავლობა და გენდერი უგულებელყოფილი იყო (Zaviršek et al. 2007). ამის შედეგად, აღმოსავლეთ ევროპული საზოგადოებები ისევ ახდენენ ბარიერების კონსტრუირებას ეთნიკური უმცირესობის

ადამიანებისთვის და გენდერული თანასწორობისთვის. ეს სპეციფიკა, რომელიც საქართველოსთვისაცაა დამახასიათებელი, კარგად ჩანს კვლევაში „იძულებით გადაადგილებულ და ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ქალთა სამართლებრივი საჭიროებების შესწავლა“.

საქართველოში ქალებს აქვთ ფორმალური უფლებები, მაგრამ არ აქვთ უფლებები ყოველდღიურ ცხოვრებაში, რამდენადაც დიდი განსხვავებაა თანამედროვე კანონმდებლობასა და მის იმპლემენტაციას შორის. 2013 წლის 8 მარტს თბილისში მცხოვრებმა ქალებმა მსვლელობა გამართეს სლოგანით „ჩვენ გვინდა უფლებები და არა ყვავილები!“. საქართველოს აქვს კანონმდებლობა ძალადობის წინააღმდეგ. 2010 წელს გენდერული თანასწორობის კანონიც მიღებული იქნა და გენდერული თანასწორობის კომიტეტმა დაიწყო მუშაობა, თუმცა გენდერული უთანასწორობა ძლიერია. რაც უფრო მეტად ნორმატიულია ოჯახში ძალადობა, მით რთულია ქალისთვის გაუმჟღავნოს ის სახელმწიფოს ან არასამთავრობო სექტორს და უფრო რთულია, ჩაერიოს რომელიმე ინსტიტუცია, აამუშავოს კანონი და მისცეს ქალს გამარჯვების საშუალება. კოლექტივზე ორიენტირებულ საზოგადოებაში ქალს ბევრი აქვს დასაკარგი: არა მხოლოდ კაცი, რომელიც ლეგალური და სიმბოლური წარმომადგენელია ოჯახისა, არამედ ბავშვები, ნათესავები, მეზობლები და მთელი კომუნა/თემი.

I. კვლევის მეთოდოლოგია

1.1. კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანია იძულებით გადაადგილებულ და ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ქალთა სამართლებრივი სიტუაციის და სოციალური, იურიდიული და ეკონომიკური საჭიროებების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და გაანალიზება.

კვლევის ძირითადი ამოცანებია:

- ✓ იძულებით გადაადგილებულ და ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ქალთა სამართლებრივი გარემოს შეფასება;
- ✓ სამართლებრივ და სოციალურ საკითხებზე ინფორმირებულობისა და სერვისების შესახებ იძულებით გადაადგილებული და ეროვნული უმცირესობების ქალების ხელმისაწვდომობის შესწავლა;
- ✓ იძულებით გადაადგილებულ და ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ქალთა პოლიტიკის შემუშავების პროცესში ჩართულობის შეფასება.

1.2. გამოყენებული მეთოდები

აღნიშნული მიზნის რეალიზაციისათვის ჩატარდა თვისებრივი და რაოდენობრივი სოციოლოგიური გამოკვლევა. კვლევის პირველ ეტაპზე ჩატარდა სამი ფოკუს ჯგუფი, რომელიც კვლევის მოსამზადებელ ეტაპს წარმოადგენდა. თვისებრივი კვლევის ფუნქცია რაოდენობრივი კვლევისათვის ემპირიული ინდიკატორების შემუშავება იყო. რაოდენობრივი კვლევა კი ჩატარდა გამოკითხვის, კერძოდ, პირისპირი ინტერვიუს მეთოდის გამოყენებით.

1.2.1. თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიის აღწერა

თვისებრივი კვლევა განხორციელდა ფოკუს ჯგუფის (ჯგუფური დისკუსიის) მეთოდის გამოყენებით. თვისებრივი კვლევის მიზანს წარმოადგენდა რაოდენობრივი კვლევისათვის ემპირიული ინდიკატორების გამოვლენა. კვლევის ინსტრუმენტი იყო ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარი (გაიდლაინი).

ფოკუს ჯგუფის მიზანი იყო იმ ვალიდური ინდიკატორების, კრიტერიუმების იდენტიფიცირება, რომლის ბაზისზეც შეიქმნებოდა ადეკვატური კითხვარის დიზაინი, ამდენად ჯგუფურ დისკუსიებს ჰქონდა არა დამოუკიდებელი, არამედ დამხმარე ფუნქცია კითხვარის შესადგენად.

კვლევის თვისებრივი კომპონენტის ფარგლებში 7 ჯგუფური დისკუსია ჩატარდა (**იხ. ცხრილი №1**):

ცხრილი №1

ფოკუს ჯგუფების შემადგენლობა		ქალაქი
1.	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს წარმომადგენლები	თბილისი
2.	შესაბამისი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები	თბილისი
3.	იძულებით გადაადგილებული ქალები • რომელთაც უკვე მიიღეს იურიდიული კლინიკების დახმარება • რომელთაც აღნიშნული დახმარება ჯერ არ მიუღიათ.	გორი
4.	იძულებით გადაადგილებული ქალები • რომელთაც უკვე მიიღეს იურიდიული კლინიკების დახმარება • რომელთაც აღნიშნული დახმარება ჯერ არ მიუღიათ.	რუსთავი
5.	იძულებით გადაადგილებული ქალები • რომელთაც უკვე მიიღეს იურიდიული კლინიკების დახმარება • რომელთაც აღნიშნული დახმარება ჯერ არ მიუღიათ.	ქუთაისი
6.	იძულებით გადაადგილებული ქალები • რომელთაც უკვე მიიღეს იურიდიული კლინიკების დახმარება • რომელთაც აღნიშნული დახმარება ჯერ არ მიუღიათ.	ზუგდიდი
7.	ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ქალები • რომელთაც უკვე მიიღეს იურიდიული კლინიკების დახმარება • რომელთაც აღნიშნული დახმარება ჯერ არ მიუღიათ.	მარნეული

ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა შერჩევა განხორციელდა ე.წ. „თოვლის გუნდის“ მეთოდის გამოყენებით. მონაწილეთა შერჩევისათვის წინასწარ გამოიყო სოციო-დემოგრაფიული კრიტერიუმები (ასაკი და განათლება). ის ადამიანები, რომლებმაც უკვე მიიღეს იურიდიული კლინიკების დახმარება, შეირჩა მიზნობრივად.

დისკუსიის ინსტრუმენტად გამოიყენებოდა მოდერატორის გზამკვლევი, რომელიც შედგებოდა იმ 15–20 საკვანძო საკითხისგან, რომელთა განხილვაც უნდა მომხდარიყო სხვადასხვა ჯგუფთან. დისკუსიის ხანგრძლივობა ვარირებდა 1.5–2 საათს შორის. ჯგუფური დისკუსიები ჩაიწერა როგორც ვიდეო, ასე აუდიო სახით, რის შესახებაც მონაწილეებს ჰქონდათ შესაბამისი ინფორმაცია. თითოეული ჩანაწერის გაშიფრვის შემდეგ გაკეთდა დისკუსიების ტრანსკრიპტები. მონაცემების ანალიზი რამდენიმე საფეხურზე მოხდა. პირველ რიგში, ტექსტის ფორმალური ანალიზი ჩატარდა – ერთმანეთისგან მოხდა ფაქტობრივი და შეფასებითი ნაწილების გამოყოფა; მეორე საფეხურზე ფაქტობრივი მასალის სტრუქტურული ანალიზი გაკეთდა, რაც სხვადასხვა კრიტერიუმით მონაცემების სისტემატიზაციას გულისხმობს; შემდეგ საფეხურზე შეფასებითი

ნაწილის ანალიზი და ყველაზე გავრცელებული შეფასების სქემების იდენტიფიცირება მოხდა; ანალიზის საბოლოო ნაწილში ინტერპრეტაციული და ფაქტორული ნაწილების გენერალიზებული ტიპები იდენტიფიცირდა. პირველადი მასალის დეტალური გაშიფვრის (ტრანსკრიპტის შედგენის) საფუძველზე ჩასწორდა კვლევის ინსტრუმენტი - კითხვარი.

1.2.2. რაოდენობრივი კვლევის მეთოდოლოგიის აღწერა

კვლევის რაოდენობრივ ნაწილში კვლევის ინსტრუმენტად გამოიყენებოდა სტრუქტურირებული კითხვარი, რომელიც შეიქმნა ფოკუს ჯგუფების მონაცემების მიხედვით და რომელმაც მოიცვა შემდეგი ბლოკები:

I. ოჯახის სოციალურ–დემოგრაფიული მახასიათებლები

II. ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა

III. ურთიერთობები ოჯახში

IV. უძრავი ქონების პრივატიზაციის საკითხები იძულებით გადაადგილებულ ოჯახებში

V. სამართლებრივი პრობლემები

VI. სამართლებრივი პრობლემების დეტალური განხილვა

VII. იურიდიული კლინიკების შეფასება

შერჩევის აღწერა

- *კვლევის გენერალური ერთობლიობა:* იძულებით გადაადგილებული ქალები (18 წლის და მეტი) თბილისში, რუსთავში, გორში, ქუთაისსა და ზუგდიდში და ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ქალები (18 წლის და მეტი) მარნეულში.
- *კვლევის ტიპი:* რაოდენობრივი კვლევა
- *კვლევის მეთოდი:* პირისპირ ინტერვიუ
- *კვლევის ინსტრუმენტი:* კითხვარი
- *შერჩევის მოცულობა:* 700რესპონდენტი (500 იძულებით გადადგილებული და 200 ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი ქალი)

  შერჩევის დიზაინი: მრავალსაფეხურიანი სტრატიფიცირებული (კლასტერული) შერჩევა. შერჩევის ეს მოდელი გამოირჩევა კვლევაში გეოგრაფიული და დემოგრაფიული მახასიათებლების რეპრეზენტატულობით. მსგავსი დიზაინი უზრუნველყოფს შერჩევის

შემთხვევითობის მაქსიმალურ დაცვას და საბოლოო ჯამში, რეპრეზენტატული მონაცემების მიღებას.

- ✓ შერჩევის პირველადი ერთეული (PSU): ქალაქები, იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტური ჩასახლებები;
- ✓ შერჩევის მეორადი ერთეული (SSU): ოჯახები;
- ✓ შერჩევის საბოლოო ერთეული (FSU): იძულებით გადაადგილებული და ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ქალები (18 წლის და მეტი). ოჯახის წევრი ქალების შერჩევა მოხდა მათი ოჯახის ყველა სრულწლოვანი ქალის დემოგრაფიული მონაცემების და სამართლებრივი პრობლემების შესახებ ინფორმირებულობის დონის მიხედვით.

- *შერჩევის ცდომილება:* 4.2% იძულებით გადაადგილებულ პირთათვის და 6,8% ეროვნული უმცირესობისწარმომადგენელთათვის (95%-იანი საიმედოობით);
- *შერჩევის ბაზა:* საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის 2002 წლის მონაცემები.

ინტერვიუების რაოდენობა რეგიონებისა და ჯგუფების მიხედვით წარმოდგენილია ცხრილში **(იხ. ცხრილი№2)**:

ცხრილი№2

	იძულებით გადაადგილებული ქალები	**ეროვნული უმცირესობების ქალები**	**შერჩევის ცდომილება**
თბილისი	110		9.1%
ქუთაისი	100		9.1%
ზუგდიდი	110		9.2%
გორი	90		9.3%
რუსთავი	90		9.2%
მარნეული		200	6.8%
სულ	*500*	*200*	
შერჩევის ცდომილება	*4.2%*	*6.8%*	*3.6%*

შერჩევის მოდელის დიზაინის პარალელურად მოხდა კვლევის ინსტრუმენტის – კითხვარის შემუშავება. კითხვარი მოიცავდა ფორმალიზებულ, ნახევრად ფორმალიზებულ და ღია კითხვებს.

კითხვარების ჩამოყალიბების შემდეგ სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტმა ჩაატარა საპილოტე კვლევა. თავდაპირველად ჩატარდა 8 საპილოტე ინტერვიუ, რომელიც ჩაატარა სამმა ინტერვიუერმა. აღნიშნული პროცედურის ანალიზის პროცესში მოხდა კითხვარის

სტრუქტურის, ენის, სპეციფიკური კითხვების დახვეწა. სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის ანალიტიკოსის მიერ საპილოტე კვლევის შესწავლისა და რეფლექსიის შემდეგ მოხდა კითხვარის საბოლოო ვარიანტის შემუშავება.

კითხვარების შემუშავების შემდეგ მოხდა ინტერვიუერების გადამზადება და მათთვის კითხვარის სპეციფიკის გაცნობა. ველი მიმდინარეობდა 2 კვირის განმავლობაში.

1.3.მონაცემთა ანალიზი

განხორციელდა კითხვარში ჩართულ ღია შეკითხვებზე რესპონდენტთა მიერ გაცემული პასუხების დაჯგუფება და ფორმალიზება, მათთვის კოდების (რაოდენობრივი მაჩვენებლების) მინიჭების გზით. კოდირებული პასუხები შეტანილი იქნა ყოველი კონკრეტული გამოკითხვისთვის შექმნილ ცვლადების აღწერის კომპიუტერულ ბაზაში. გამოკითხვის მონაცემები დამუშავდა სოციალურ კვლევათა სტატისტიკური პროგრამის SPSS ბაზაზე. მოხდა მონაცემების გაწმენდა, შეწონვა და გასუფთავება. დამუშავებისა და ანალიზისას გამოყენებული იქნა უნივარიაციაული და ბივარიაციული ანალიზის ისეთი მეთოდები, როგორიცაა სიხშირული (ერთგანზომილებიანი) განაწილება, ცენტრალური ტენდენციის მაჩვენებლები, კორელაციური ანალიზი, კროსტაბულაცია.

II. სოციო-დემოგრაფიული მახასიათებლები

კვლევის შედეგების ნათლად წარმოდგენისთვის აუცილებელია სრულყოფილი ინფორმაცია გვქონდეს საკვლევი ჯგუფის სოციალურ–დემოგრაფიული მახასიათებლების შესახებ.სოციო–დემოგრაფიულ ბლოკში მოცემული იყო შინამეურნეობის ქალი წევრების ცხრილი (18 წლის და ზემოთ), რომელიც რესპონდენტებს უნდა შეევსოთ და შეეტანათ ოჯახში მყოფი ქალების სოციო–დემოგრაფიული მონაცემები.

2.1. იძულებით გადაადგილებული ქალები

კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 500 იძულებით გადაადგილებული ქალი თბილისში, ქუთაისში, ზუგდიდში, რუსთავსა და გორში. გამოკითხვა დევნილთა კოლექტიური ჩასახლების ცენტრებში მიმდინარეობდა. გამოკითხულთაგან 82.3% აფხაზეთიდან, ხოლო 17.4% – შიდა ქართლიდან დევნილი იყო.

2.1.1. ოჯახის სტრუქტურა

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ იძულებით გადაადგილებულ ქალთა ჯგუფისთვის დამახასიათებელია გაფართოებული ოჯახები, რომლებიც, ძირითადად, 4–5 წევრისგან შედგება და რომლებშიც რამდენიმე თაობა ერთ შინამეურნეობაში ცხოვრობს. აქ ოჯახების საშუალო ზომა, რომელიც 3.9–ს შეადგენს, აღემატება საქართველოში ოჯახის საშუალო ზომას, რომელიც 3.6–ს უდრის **(იხ. ცხრილი №3)**.

ცხრილი №3

იძულებით გადაადგილებული ქალები		**%**
ოჯახის წევრების რაოდენობა სულ	1	**7.6%**
	2	**17.8%**
	3	**18.2%**
	4–5	**38.4%**
	6 და მეტი	**18.0%**

გამოკითხულთა ოჯახების უმრავლესობაში (52.2%) 18 წლამდე ბავშვები ჰყავთ. იძულებით გადაადგილებულ ქალთაგან ნახევარზე მეტი დაოჯახებულია, ხოლო მეოთხედი – ქვრივი **(იხ. ცხრილი №4)**.

ცხრილი №4

<u>იძულებით გადაადგილებული ქალები</u>		%
ოჯახური მდგომარეობა	1. დაოჯახებული	**51.9%**
	2. არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი	**0.5%**
	3. დაუოჯახებელი	**18.6%**
	4. განქორწინებული	**4.8%**
	5. ქვრივი	**23.2%**
	6. მარტოხელა დედა	**0.9%**
	77. უარი პასუხზე	**0.1%**

გამოკითხულ იძულებით გადაადგილებულ ქალთა უმრავლესობა 25–34 წლისაა. დაახლოებით მეხუთედს შეადგენენ 45–54 წლის და 65 და მეტი წლის ქალები (**იხ. ცხრილი №5**).

ცხრილი №5

<u>იძულებით გადაადგილებული ქალები</u>		%
ასაკი	18-24 წლის	**12.1%**
	25-34 წლის	**20.4%**
	35-44 წლის	**14.9%**
	45-54 წლის	**18.3%**
	55-64 წლის	**16.0%**
	65 და მეტი წლის	**18.3%**

2.1.2. დასაქმების მდგომარეობა და განათლება

გამოკითხულთა შორის დასაქმებული მხოლოდ 18.5%–ია, ხოლო უმუშევართა რაოდენობა ნახევარზე მეტია. გამოკითხულთა შორის დიდია პენსიონერთა რაოდენობაც **(იხ.ცხრილი №6)**.

ცხრილი №6

იძულებით გადაადგილებული ქალები		%
დასაქმების მდგომარეობა	1. სახელმწიფო სექტორში დასაქმებული	**5.9%**
	2. კერძო ლიცენზირებულ ბიზნესში დასაქმებული	**9.4%**
	3. თვითდასაქმებული	**3.0%**
	4. აქვს საკუთარი ლიცენზირებული ბიზნესი	**0.1%**
	5. ფერმერი	**0.1%**
	6. პენსიონერი	**25.2%**
	7. სტუდენტი	**2.4%**
	8. უმუშევარი	**36.9%**
	9. დიასახლისი (არასაპენსიო ასაკის)	**17.0%**

იძულებით გადაადგილებულ პირთაგან 35.8%–ს არ აქვს/ჯერ არ აქვს პროფესია. მათგან, ვისაც პროფესია აქვს, უმრავლესობა პედაგოგი, სამედიცინო სფეროს წარმომადგენელი ან ეკონომისტია **(იხ. ცხრილი №7)**.

ცხრილი №7

იძულებით გადაადგილებული ქალები		%
პროფესია	1. პედაგოგი	**12.8%**
	2. ეკონომისტი	**11.4%**
	3. იურისტი	**3.5%**
	4. ხელოვანი	**0.9%**
	5. სამედიცინო სფეროს წარმომადგენელი	**12.6%**
	6. სასოფლო–სამეურნეო სფეროს წარმომადგენელი	**3.1%**
	7. ინჟინერი	**3.8%**
	8. მომსახურების სფეროს წარმომადგენელი	**6.3%**
	9. სოციალური მეცნიერებების წარმომადგენელი	**1.8%**
	10. ჰუმანიტარული მეცნიერებების წარმომადგენელი	**2.6%**
	11. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების წარმომადგენელი	**1.9%**
	12. გამოყენებითი მეცნიერებების წარმომადგენელი	**3.0%**
	77. უარი პასუხზე	**0.6%**
	88. არ აქვს პროფესია/ჯერ არ აქვს პროფესია	**35.8%**

იძულებით გადაადგილებულ ქალთა მესამედს საშუალო განათლება აქვს, მესამედს – უმაღლესი **(იხ. ცხრილი №8)**.

ცხრილი №8

იძულებით გადაადგილებული ქალები		**%**
განათლება	1. წერა–კითხვის უცოდინარი	**0.5%**
	2. დაწყებითი (4 კლასის ჩათვლით)	**1.0%**
	3. საბაზო (9 კლასის ჩათვლით)	**3.3%**
	4. საშუალო	**31.5%**
	5. პროფესიული	**6.0%**
	6. საშუალო ტექნიკური	**20.6%**
	7. არასრული უმაღლესი	**3.3%**
	8. უმაღლესი	**31.3%**
	9. სტუდენტი/აბიტურიენტი/მოსწავლე	**2.3%**
	77. უარი პასუხზე	**0.4%**

ის რესპონდენტები, რომელთაც საშუალო განათლება ვერ მიიღეს, ამის მიზეზად ასახელებენ ოჯახის შექმნას (42.4%). ნაწილი აღნიშნავს, რომ მუშაობის გამო ვერ გააგრძელეს სწავლა (6.1%). მნიშვნელოვანია ისიც, რომ მათგან თითქმის ნახევარი, ვისაც საშუალო განათლება არ მიუღია, ამის მიზეზს ვერ ასახელებს **(იხ. დიაგრამა №1)**.

დიაგრამა №1



ის მიზეზები, რომლებიც იძულებით გადაადგილებულმა პირებმა დაასახელეს, სამ ჯგუფად დაიყო – 1. ოჯახური ფაქტორების გამო საშუალო სკოლაში სწავლის შეწყვეტა (სადაც შევიდა პასუხი „შექმნა ოჯახი და ამის გამო ვერ გააგრძელა სწავლა“); 2. ფინანსური პრობლემების გამო საშუალო სკოლაში სწავლის შეწყვეტა (სადაც გაერთიანდა პასუხები „სკოლა იყო შორს და ტრანსპორტირების რესურსები არ ჰქონდათ“, „არ ჰქონდათ საშუალება ტანსაცმლისა და სკოლისთვის საჭირო ნივთების შეძენის“, „იძულებული იყო ემუშავა და სწავლისთვის დრო არ რჩებოდა“); 3. გარეშე ფაქტორების გამო საშუალო სკოლაში სწავლის შეწყვეტა (სადაც გარეთიანდა პასუხები „დასახლებაში არ იყო საშუალო სკოლა“ და „სკოლაში არსებული არადამაკმაყოფილებელი პირობების გამო“). აღნიშნული სამი ჯგუფიდან აღმოჩნდა, რომ ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი ოჯახურ ფაქტორებს აქვს (78.9%). ამ ბლოკიდან კი ყველაზე ხშირად დაფიქსირებული პასუხია ოჯახის შექმნა. ყველაზე ნაკლებად მნიშვნელოვანი კი გარეშე ფაქტორები აღმოჩნდა (5.3%) **(იხ. დიაგრამა №2).**

დიაგრამა №2



ის რესპონდენტები კი, რომელთაც უმაღლესი განათლება ვერ/არ მიიღეს, მიზეზად ასახელებენ ოჯახის შექმნას (37.1%) და შესაბამისი თანხის არქონას (30.9%). აღსანიშნავია ისიც, რომ 9.1% მიზეზს ვერ გამოყოფს **(იხ. დიაგრამა №3)**.

დიაგრამა №3



ის ფაქტორები, რომლებიც იძულებით გადაადგილებულმა ქალებმა დაასახელეს უმაღლესი განათლების ვერმიღების მიზეზებად, ოთხ ჯგუფად დაიყო: 1. საკუთარი გადაწყვეტილებით უმაღლეს განათლებაზე უარის თქმა (სადაც გაერთიანდა პასუხები „სურვილის არქონა“, „ფიქრობს, რომ არ არის საჭირო უმაღლესი განათლების მიღება“ და „სურდა დაუფლებოდა ხელობას“); 2. ოჯახური ფაქტორების გამო უმაღლეს განათლებაზე უარის თქმა (სადაც შევიდა პასუხები „შექმნა ოჯახი და ამის გამო ვერ გააგრძელა სწავლა“ და „ოჯახური მდგომარეობის გამო“); 3. ფინანსური პრობლემების გამო უმაღლეს განათლებაზე უარის თქმა (სადაც შევიდა პასუხი „თანხის არქონა“); 4. გარეშე ფაქტორების გამო უმაღლეს განათლებაზე უარის თქმა (სადაც შევიდა პასუხები „სცადა, თუმცა ვერ ჩააბარა“, „ქართული ენის არასათანადო ცოდნა“, „დროის არქონა“, „საომარი ვითარების გამო“, და „ჯანმრთელობის გამო“). აღმოჩნდა, რომ ამ ოთხი ჯგუფიდან იძულებით გადაადგილებულ ქალთათვის ოჯახური ფაქტორები (41.7%) და ფინანსური პრობლემებია (34.6%) დომინანტური. თავისთავად, ოჯახური ფაქტორების ბლოკიდან ყველაზე ხშირად დაფიქსირებული პასუხია ოჯახის შექმნა, ხოლო ფინანსური პრობლემების ბლოკიდან – თანხის არქონა **(იხ. დიაგრამა№4)**.

დიაგრამა №4



ფაქტორული ანალიზიდან გამოიკვეთა, რომ მეორე (ოჯახური პირობები) და მესამე (ფინანსური მდგომარეობა) ფაქტორები ერთ სიბრტყეზე განლაგდა, რაც ნიშნავს, რომ ეს მიზეზები უმაღლესი განათლების არქონაზე მსგავს გავლენას ახდენენ.

2.1.3. ჯანმრთელობის მდგომარეობა და დაზღვევა

იძულებით გადაადგილებულქალთა 30.5% აღნიშნავს, რომ უკანასკნელი 1 წლის განმავლობაში ჰქონდა ქრონიკული დაავადებები, 19% ამბობს, რომ იყო პრაქტიკულად ჯანმრთელი, ხოლო 27,3% მიუთითებს ჯანმრთელობის მცირე პრობლემებზე **(იხ. დიაგრამა №5)**.

დიაგრამა №5



გამოკითხულთაგან 89.7%–ს უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ შექმნია სამეციდინო მომსახურებასთან დაკავშირებული პრობლემები. მხოლოდ 2.8% აღნიშნავს სამედიცინო პერსონალის დაბალ კვალიფიკაციას, ხოლო 1.9% – უფასო სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებით სარგებლობაზე უსამართლოდ უარის თქმას.

გამოკითხულთა ძირითად ნაწილს 36.9% „სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის“ ე.წ. უმწეოთა დაზღვევა აქვს, მეოთხედს – მოსახლეობის საყოველთაო დაზღვევა (27.7%). მათი ხვედრითი წილი, ვისაც საერთოდ არ აქვს დაზღვევა, 11%–ია **(იხ. დიაგრამა №6)**.

დიაგრამა №6


რა ტიპის ჯანმრთელობის დაზღვევა (გ)აქვთ თქვენ/თქვენი ოჯახის წევრ(ებ)ს?
მოსახლეობის საყოველთაო დაზღვევა
27.7%
"სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის", ე.წ. უმწეოთა დაზღვევა
36.9%
კომპაქტურ დასახლებებში მყოფ იძულებით გადაადგილებულ პირთა სამედიცინო დაზღვევა
10.8%
ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დაფინანსებული
5.4%
საჯარო სკოლის პედაგოგთა სამედიცინო დაზღვევა
0.4%
კერძო კორპორატიული დაზღვევა, ანუ დაზღვევა სამსახურიდან
4.3%
ინდივიდუალური დაზღვევა, რომელიც ოჯახის სახსრებით არის შეძენილი
0.3%
არ აქვს დაზღვევა
11.0%
მიჭირს პ/გ
3.4%

შეჯამება

ოჯახის ზოგადი ფორმაცია, ეკონომიკური და დასაქმების მდგომარეობა, პატრიარქალური კულტურის გავლენა და ტრადიციებზე ორიენტაცია ამ ჯგუფის განმსაზღვრელია და კარგად ჩანს სოციალურ–დემოგრაფიული პროფილიდანაც.

ამ სამიზნე ჯგუფში გვხვდება გაფართოებული ოჯახები, რომლებიც, ძირითადად, 4–5 წევრისგან შედგება (38.4%). იძულებით გადაადგილებულთა ოჯახების საშუალო ზომა 3.9–ს უდრის, რაც აღემატება საქართველოში ოჯახის საშუალო ზომას (3.6).

იძულებით გადაადგილებულ ქალთაგან ნახევარი დაოჯახებულია, მეოთხედი – ქვრივი, ხოლო მეხუთედი – დაუოჯახებელი. ოჯახთა 52.2%–ში ჰყავთ 18 წლამდე ასაკის ბავშვები. თითოეულ ოჯახში, ძირითადად, ერთი ან ორი ბავშვი ჰყავთ. ბავშვების რაოდენობის საშუალო მაჩვენებელი 1.78–ს უდრის.

იძულებით გადაადგილებულ ქალებში დასაქმებულთა რაოდენობა 18.5%–ს უდრის, უმუშევართა რაოდენობა 36.9%–ია. ამასთან, იძულებით გადაადგილებულ ქალთა 35.8%–ს არ აქვს პროფესია. გამოკითხულ იძულებით გადაადგილებულ ქალთაგან თითქმის ყველამ დაამთავრა სკოლა, მესამედმა მიიღო უმაღლესი განათლებაც, ხოლო მეხუთედმა – საშუალო ტექნიკური. იძულებით გადაადგილებულ ქალებში საშუალო განათლება ვერ მიიღო გამოკითხულთაგან მხოლოდ 38–მა, რაც საერთო რაოდენობის 4.7%–ია. მათგან ნახევარი ამის მიზეზად ასახელებს ოჯახის შექმნას, ამდენივეს უჭირს მიზეზის დასახელება. მათ, ვისაც უმაღლესი განათლება არ მიუღიათ, ამის მიზეზებად დაასახელეს ოჯახის შექმნა (37,1%) და თანხის არქონა (30.9%).

როგორც მონაცემებიდან ჩანს, ოჯახის შექმნა და ოჯახური ფაქტორები მათთვის ხშირად გამხდარა განათლების შეწყვეტის მიზეზი, თუმცა ამ უკანასკნელს ხშირად განაპირობებდა მატერიალური მდგომარეობაც. ეს ნიშნავს, რომ იძულებით გადაადგილებულ ქალთათვის განათლება სოციალურად სასურველია. რესურსების ნაკლებობა, შესაძლოა, გახდეს დაბრკოლება და ხელი შეუშალოს იძულებით გადაადგილებულ ქალებს უკეთესი განათლების მიღებაში.

იძულებით გადაადგილებულ ქალებს, ძირითადად, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის ე.წ. უმწეოთა დაზღვევა აქვთ (36.9%), მეოთხედზე მეტს აქვს საყოველთაო დაზღვევა. იძულებით გადაადგილებულ პირთა დაზღვევა აქვს მხოლოდ მეათედს, ხოლო დაზღვევა საერთოდ არ აქვს 11%–ს. იძულებით გადაადგილებული პირების მესამედი აღნიშნავს, რომ აქვს ქრონიკული დაავადება, ამდენივე ამბობს, რომ პრაქტიკურად ჯანმრთელია. მეოთხედი მიუთითებს ჯანმრთელობის მცირე პრობლემებზე. ჯანმრთელობის მწვავე პრობლემები მეათედს აწუხებს.

2.2. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ქალები

კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 200 ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ქალი მარნეულში. გამოკითხულები, ძირითადად, ეთნიკური აზერბაიჯანელები არიან. ეროვნული უმცირესობების უმრავლესობას არ შეუძლია ქართულად მეტყველება, წერა, კითხვა და გაგება. ისეთი ქალების რაოდენობა, ვისაც შეუძლია ქართულად წერა–კითხვა და მეტყველება 20.9%–ა **(იხ. დიაგრამა №7).**

დიაგრამა №7



2.2.1. <u>ოჯახის სტრუქტურა</u>

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთათვის დამახასიათებელია გაფართოებული ოჯახები, რომლებიც, ძირითადად, 4–5 წევრისგან შედგება. ოჯახების თითქმის მესამედი 6 ან მეტ წევრიანი. ოჯახების საშუალო ზომა, რომელიც 4.6–ს შეადგენს, აღემატება საქართველოში ოჯახის საშუალო ზომას, რომელიც 3.6–ს უდრის **(იხ. ცხრილი №9)**. გამოკითხულთა ოჯახების უმრავლესობაში (69.5%) 18 წლამდე ბავშვები ჰყავთ.

ცხრილი N9

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ქალები		%
ოჯახის წევრების რაოდენობა სულ	1	6.5%
	2	8.0%
	3	11.0%
	4–5	45%
	6 და მეტი	29.5%

ეროვნული უმცირესობების ქალთა უმრავლესობა (68.9%) დაოჯახებულია, ხოლო მეხუთედი – ქვრივი. საკმაოდ დაბალია დაუქორწინებელთა ხვედრითი წილი (**იხ. ცხრილი №10**).

ცხრილი №10

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ქალები		%
ოჯახური მდგომარეობა	1. დაოჯახებული	68.9%
	2. არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი	0.3%
	3. დაუოჯახებელი	9.9%
	4. განქორწინებული	2.5%
	5. ქვრივი	18.1%
	6. მარტოხელა დედა	0.3%

გამოკითხულ იძულებით გადაადგილებულ ქალთა უმრავლესობა 25–34 ან 45–54 წლისაა (**იხ. ცხრილი №11**).

ცხრილი №11

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ქალები		%
ასაკი	18-24 წლის	12.1%
	25-34 წლის	20.9%
	35-44 წლის	14.7%
	45-54 წლის	20.9%
	55-64 წლის	15.3%
	65 და მეტი წლის	16.1%

2.2.2. დასაქმების მდგომარეობა და განათლება

გამოკითხულთა შორის დასაქმებული მხოლოდ 10.5%–ია, ხოლო უმუშევართა რაოდენობა 25.7%–ია. დიასახლისად საკუთარ თავს გამოკითხულთა 39.5% მიიჩნევს, ხოლო პენსიონერთა რაოდენობა გამოკითხულთა მეხუთედს უტოლდება **(იხ.ცხრილი №12)**.

ცხრილი №12

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ქალები		%
დასაქმების მდგომარეობა	1. სახელმწიფო სექტორში დასაქმებული	**5.4%**
	2. კერძო ლიცენზირებულ ბიზნესში დასაქმებული	**1.7%**
	3. თვითდასაქმებული	**3.4%**
	4. აქვს საკუთარი ლიცენზირებული ბიზნესი	**–**
	5. ფერმერი	**–**
	6. პენსიონერი	**21.2%**
	7. სტუდენტი	**3.1%**
	8. უმუშევარი	**25.7%**
	9. დიასახლისი (არასაპენსიო ასაკის)	**39.5%**

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ქალთაგან 74.6%–ს არ აქვს პროფესია/ჯერ არ აქვს პროფესია. ეს რიცხვი თითქმის ორჯერ აღემატება იძულებით გადაადგილებულ ქალთა პროფესიის მონაცემებს. ხოლო მათგან, ვისაც პროფესია აქვს, უმრავლესობა სამედიცინო სფეროს წარმომადგენელია (ექიმი, ექთანი, სტომატოლოგი, ვეტერინარი). გამოკითხულთაგან არცერთი არ არის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების წარმომადგენელი და ხელოვანი. მცირეა სასოფლო–სამეურნეო სფეროს, მომსახურების სფეროს და სოციალური მეცნიერებების წარმომადგენელთა რაოდენობაც **(იხ. ცხრილი №13)**.

ცხრილი №13

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ქალები		%
პროფესია	1. პედაგოგი	4.8%
	2. ეკონომისტი	3.4%
	3. იურისტი	1.1%
	4. ხელოვანი	–
	5. სამედიცინო სფეროს წარმომადგენელი	7.9%
	6. სასოფლო–სამეურნეო სფეროს წარმომადგენელი	0.6%
	7. ინჟინერი	1.4%
	8. მომსახურების სფეროს წარმომადგენელი	0.6%
	9. სოციალური მეცნიერებების წარმომადგენელი	0.3%
	10. ჰუმანიტარული მეცნიერებების წარმომადგენელი	1.4%
	11. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების წარმომადგენელი	–
	12. გამოყენებითი მეცნიერებების წარმომადგენელი	1.4%
	77. უარი პასუხზე	2.5%
	88. არ აქვს პროფესია/ჯერ არ აქვს პროფესია	74.6%

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ქალთა 39%–ს საშუალო განათლება აქვს, ხოლო 25.7%–ს საბაზო. მცირეა მათი რაოდენობა, ვისაც უმაღლესი განათლება აქვს (**იხ. ცხრილი №14**).

ცხრილი №14

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ქალები		%
განათლება	1. წერა–კითხვის უცოდინარი	5.4%
	2. დაწყებითი (4 კლასის ჩათვლით)	6.8%
	3. საბაზო (9 კლასის ჩათვლით)	25.7%
	4. საშუალო	39.0%
	5. პროფესიული	3.7%
	6. საშუალო ტექნიკური	5.4%
	7. არასრული უმაღლესი	0.6%
	8. უმაღლესი	11.6%
	9. სტუდენტი/აბიტურიენტი/მოსწავლე	2.0%
	77. უარი პასუხზე	–

ის რესპონდენტები, რომელთაც საშუალო განათლება ვერ მიიღეს, ამის მიზეზად ასახელებენ ოჯახის შექმნას (50.4%). ნაწილი აღნიშნავს, რომ არ ჰქონდათ საშუალება ტანსაცმლისა და სკოლისთვის საჭირო ნივთების შეძენის და ამის გამო ვერ დაამთავრეს სკოლა (10.5%).

მნიშვნელოვანია ისიც, რომ მათგან 15%–ს, ვისაც საშუალო განათლება არ მიუღია, უჭირს მიზეზის დასახელება **(იხ. დიაგრამა №8)**.

დიაგრამა №8



ის მიზეზები, რომლებიც ეროვნული უმცირესობების ქალებმა დაასახელეს, სამ ჯგუფად დაიყო – 1. ოჯახური ფაქტორების გამო საშუალო სკოლის ვერ დამთავრება (სადაც შევიდა პასუხი „შექმნა ოჯახი და ამის გამო ვერ გააგრძელა სწავლა“); 2. ფინანსური პრობლემების გამო (სადაც გაერთიანდა პასუხები „სკოლა იყო შორს და ტრანსპორტირების რესურსები არ ჰქონდათ“, „არ ჰქონდათ საშუალება ტანსაცმლისა და სკოლისთვის საჭირო ნივთების შეძენის“, „იძულებული იყო ემუშავა და სწავლისთვის დრო არ რჩებოდა“); 3. გარეშე ფაქტორების გამო (სადაც გარეთიანდა პასუხები „დასახლებაში არ იყო საშუალო სკოლა“ და „სკოლაში არსებული არადამაკმაყოფილებელი პირობების გამო“). აღნიშნული სამი ჯგუფიდან აღმოჩნდა, რომ ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი ოჯახურ ფაქტორებს აქვს (63.7%). ამ ბლოკიდან კი ყველაზე ხშირად დაფიქსირებული პასუხია ოჯახის შექმნა **(იხ. დიაგრამა №9)**.

დიაგრამა №9



ის რესპონდენტებიც, რომელთაც უმაღლესი განათლება ვერ/არ მიიღეს, მიზეზად ასახელებენ ოჯახის შექმნას (34.6%). გამოკითხულ ქალთა მეხუთედი ფიქრობს, რომ უმაღლესი განათლების მიღება არ არის საჭირო. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მათგან 15%–ს, ვისაც უმაღლესი განათლება არ მიუღია, უჭირს ამის მიზეზის დასახელება **(იხ. დიაგრამა№10)**.

დიაგრამა №10



ის ფაქტორები, რომლებიც ეროვნული უმცირესობების ქალებმა დაასახელეს უმაღლესი განათლების ვერმიღების მიზეზებად, ოთხ ჯგუფად დაიყო: 1. საკუთარი გადაწყვეტილებით უმაღლეს განათლებაზე უარის თქმა (სადაც გაერთიანდა პასუხები „სურვილის არქონა“, „ფიქრობს, რომ არ არის საჭირო უმაღლესი განათლების მიღება“ და „სურდა დაუფლებოდა ხელობას“); 2. ოჯახური ფაქტორების გამო (სადაც შევიდა პასუხები „შექმნა ოჯახი და ამის გამო ვერ გააგრძელა სწავლა“ და „ოჯახური მდგომარეობის გამო“); 3. ფინანსური პრობლემების გამო (სადაც შევიდა პასუხი „თანხის არქონა“); 4. გარეშე ფაქტორების გამო (სადაც შევიდა პასუხები „სცადა, თუმცა ვერ ჩააბარა“, „ქართული ენის არასათანადო ცოდნა“, „დროის არქონა“, „საომარი ვითარების გამო“, და „ჯანმრთელობის გამო“). აღმოჩნდა, რომ ამ ოთხი ჯგუფიდან ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ქალთათვის საკუთარი გადაწყვეტილება (45.6%) და ოჯახური ფაქტორებია (41.6%) დომინანტური. საკუთარი გადაწყვეტილებით უმაღლესი განათლების არ მიღების ბლოკიდან ყველაზე ხშირად დაფიქსირებული პასუხია „ფიქრობს, რომ არ არის საჭირო უმაღლესი განათლების მიღება“, ხოლო ოჯახურიფაქტორების ბლოკიდან – ოჯახის შექმნა. უმაღლეს განათლების არ მიღებისთვის უმნიშვნელო აღმოჩნდა გარეშე ფაქტორები და მატერიალური მდგომარეობა **(იხ. დიაგრამა №11)**.

დიაგრამა №11



ფაქტორული ანალიზიდან გამოიკვეთა, რომ მესამე (ფინანსური მდგომარეობა) და მეოთხე (გარეშე ფაქტორები) ფაქტორები ერთ სიბრტყეზე განლაგდა, რაც ნიშნავს, რომ ეს მიზეზები უმაღლესი განათლების არქონაზე მსგავს გავლენას ახდენენ.

2.2.3. ჯანმრთელობის მდგომარეობა და დაზღვევა

ეროვნული უმცირესობების ქალთა თითქმის ნახევარი აღნიშნავს, რომ უკანასკნელი 1 წლის განმავლობაში იყო პრაქტიკულად ჯანმრთელი. თითქმის მეხუთედს ჰქონდა ჯანმრთელობის მცირე პრობლემები, დაახლოებით ამდენივეს – ქრონიკული დაავადება (**იხ. დიაგრამა №12**).

დიაგრამა №12



გამოკითხულთაგან 87%–ს უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ შექმნია სამეციდინო მომსახურებასთან დაკავშირებული პრობლემები. მხოლოდ 2.3% აღნიშნავს სამედიცინო პერსონალის დაბალ კვალიფიკაციას.

გამოკითხულთა ძირითად ნაწილს (83.3%) მოსახლეობის საყოველთაო დაზღვევა აქვს. რესპონდენტთაგან სოციალურად დაუცველი მხოლოდ ერთი ოჯახია. არიან ისეთი რესპონდენტებიც, რომელთაც საჯარო სკოლის პედაგოგთა დაზღვევა აქვთ. სხვა ტიპის დაზღვევები გამოკითხულებს შორის არ დაფიქსირდა. მათი ხვედრითი წილი, ვისაც საერთოდ არ აქვს დაზღვევა, 9.9%–ია (**იხ. დიაგრამა №13**).

დიაგრამა №13


რა ტიპის ჯანმრთელობის დაზღვევა (გ)აქვთ თქვენ/თქვენი ოჯახის წევრ(ებ)ს?
მოსახლეობის საყოველთაო დაზღვევა
83.3%
"სილარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის", ე.წ. უმწეოთა დაზღვევა
0.3%
საჯარო სკოლის პედაგოგთა სამედიცინო დაზღვევა
1.1%
არ აქვს დაზღვევა
9.9%
მიჭირს პ/გ
5.4%
n2
354

შეჯამება

ოჯახის ზოგადი ფორმაცია, ეკონომიკური და დასაქმების მდგომარეობა, პატრიარქალური კულტურის გავლენა და ტრადიციებზე ორიენტაცია ამ სამიზნე ჯგუფის განმსაზღვრელია და კარგად ჩანს სოციალურ–დემოგრაფიული პროფილიდანაც.

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს შორის გვხვდება გაფართოებული ოჯახები, რომლებიც, ძირითადად, 4–5 წევრისგან შედგება (45%). ამასთან, ეროვნულ უმცირესობებში თითქმის ყოველი მესამე ოჯახი 6 ან მეტ წევრიანია (29.5%). აღნიშნულ სამიზნე ჯგუფში ოჯახების საშუალო ზომა 4.6–ს უდრის, რომელიც აღემატება საქართველოში ოჯახის საშუალო ზომას (3.6).

ეროვნული უმცირესობების ოჯახთა 69.5%–ში ჰყავთ 18 წლამდე ასაკის ბავშვები. აღსანიშნავია, რომ თითოეულ ოჯახში, ძირითადად, ერთი ან ორი ბავშვი ჰყავთ. ბავშვების რაოდენობის საშუალო მაჩვენებელი 1.91–ია. ეროვნული უმცირესობების ქალთაგან სრული უმრავლესობა დაოჯახებულია (68.9%), მეხუთედი – ქვრივი, ხოლო დაუოჯახებელი – მხოლოდ მეათედი. ეს მიანიშნებს იმაზე, რომ ეროვნული უმცირესობების ქალებს მოეთხოვებათ ოჯახის შექმნა ადრეულ ასაკში. გაფართოებული ოჯახი, ადრეული ქორწინება, ოჯახური მდგომარეობა მიუთითებს ოჯახის ტრადიციული მოდელის არსებობაზე.

მნიშვნელოვანია, რომ ეროვნული უმცირესობებების წარმომადგენელ ქალთა მხოლოდ მეათედია დასაქმებული. უმუშევართა რაოდენობა მეოთხედს შეადგენს. ამ მონაცემებს ხსნის დიასახლისთა რაოდენობა, რომელიც 39.5%–ს უდრის. როგორც აღმოჩნდა, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ქალები არ ახდენენ საკუთარ თავის კლასიფიკაციას „უმუშევრებად“, რაც ნიშნავს, რომ არ ეძებენ სამსახურს და არ ფიქრობენ მუშაობის დაწყებაზე. ამასთან, მნიშვნელოვანი ფაქტორია ქალის ტრადიციული როლი ეროვნული უმცირესობების ქალთა შორის საქართველოში. ისინი, დანარჩენ მოსახლეობასთან შედარებით, უფრო ხშირად არიან დატვირთულნი აუნაზღაურებელი საოჯახო საქმით (ბავშვების მოვლა, სახლის მიხედვა, სასოფლო–სამეურნეო საქმე) და ტრადიციულად, ნაკლებად არიან დასაქმებულნი ანაზღაურებულ სამუშაოზე. აუნაზღაურებელი საოჯახო საქმე დღესაც არ აღიქმება, როგორც სამუშაო, არამედ განიხილება, როგორც ქალის ბუნებრივი როლი. ამიტომაც, ეს ქალები საკუთარ თავს არ აღიქვამენ „დაუსაქმებლებად“.

შესაძლოა, აღნიშნული მონაცემი აიხსნას იმითაც, რომ ეროვნული უმცირესობების ქალთა 74.6%–ს არ აქვს პროფესია/ჯერ არ აქვს პროფესია. გარდა ამისა, ეროვნული უმცირესობების ქალთა მეოთხედმა მხოლოდ 9 კლასი დაამთავრა, მესამედზე მეტმა – სკოლა. საბოლოოდ, საშუალო განათლება ვერ მიიღო 134–მა ქალმა, რაც საერთო რაოდენობის (354) 37.8%–ია. მათი ნახევარი

ამის მიზეზად ასახელებს ოჯახის შექმნას, ხოლო მეათედი – თანხის არქონას. ისეთი ოჯახების რაოდენობა, რომელთაც მატერიალური მდგომარეობის გამო ვერ მიიღეს განათლება, 20.3%–ა. აღმოჩნდა, რომ ყველაზე მეტად საშუალო სკოლის ვერ დასრულება განაპირობა ოჯახის შექმნამ, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ოჯახის ადრეულ ასაკში შექმნა ეროვნულ უმცირესობებში ხშირია და ეს ხელს უშლის განათლების მიღებას. ზემოთ აღნიშნულმა ფაქტორმა უმაღლესი განათლების ვერ მიღებაც დიდწილად განაპირობა (34.6%), თუმცა თითქმის მეხუთედს შეადგენს ისეთი რესპონდენტების რაოდენობა (მათგან, ვისაც უმაღლესი განათლება არ მიუღია), რომლებიც ფიქრობენ, რომ საჭირო არ არის უმაღლესი განათლების მიღება. კვლევის შედეგები ცხადად გამოკვეთს იმას, რომ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ქალთათვის განათლების სისტემა ჩაკეტილია მრავალი მიზეზის გამო.

აღნიშნული შედეგები კიდევ ერთხელ ამოწმებს ზემოთ აღნიშნულ ანალიზს ანაზღაურებულ სამუშაოში ქალთა ჩართულობის შესახებ. არც განათლება და არც ანაზღაურებული დასაქმება არ მიიჩნევა ქალების ცხოვრების ნაწილად.

ეროვნული უმცირესობების ქალთათვის განათლების მიღება მწვავე პრობლემაა. ისინი ყველაზე ხშირად ოჯახის შექმნისა და ოჯახური ფაქტორების გამო ვერ იღებენ განათლებას. ამ სამიზნე ჯგუფში ქალის მიერ განათლების მიღება ნაკლებ მოსალოდნელია. ქალმა, შესაძლოა, არ მიიღოს შესაბამისი განათლება რესურსების სიმცირის გამოც, თუმცა უფრო ხშირად ამის მიზეზი ის მოლოდინებია, რომლებიც ტრადიციულ გენდერულ როლებთანაა დაკავშირებული.

ეროვნულ უმცირესობებში 83.3%–ს საყოველთაო დაზღვევა აქვს, სოციალურად დაუცველი მხოლოდ ერთი ოჯახია. არიან ისეთი რესპონდენტებიც, რომელთაც საჯარო სკოლის პედაგოგთა დაზღვევა აქვთ. სხვა ტიპის დაზღვევები გამოკითხულებს შორის არ დაფიქსირდა. მათი ხვედრითი წილი, ვისაც საერთოდ არ აქვს დაზღვევა, 9.9%–ია.

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ქალების ნახევარი პრაქტიკულად ჯანმრთელია, მცირე პრობლემებზე მეოთხედი მიუთითებს, დაახლოებით ამდენივე – ქრონიკულ დაავადებებზე.

III. ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა

საკვლევი ერთობლიობის სხვადასხვა ასპექტების ანალიზისას მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია როგორც ეკონომიკური მდგომარეობის ობიექტური ინდიკატორები, ასევე ამ მდგომარეობის სუბიექტური თვითშეფასება. ამ ბლოკით გაიზომა შინამეურნეობის ეკონომიკური მდგომარეობა.

3.1. იძულებით გადაადგილებული ქალები

იძულებით გადაადგილებულ ქალთა ოჯახების უმრავლესობა იღებს იძულებით გადაადგილებულ პირთა შემწეობას (70.2%), თითქმის ნახევარი შემოსავლის წყაროდ ასახელებს პენსიასაც (49.4%). ხელფასი რესპონდენტთა მხოლოდ 38.4%–ისთვისაა შემოსავლის წყარო, ხოლო სოციალური დახმარება – 27%–ისთვის[1] **(იხ. დიაგრამა №14)**.

დიაგრამა №14



შესაბამისად, იძულებით გადაადგილებულ ქალთა შემოსავალს იძულებით გადაადგილებულ პირთა შემწეობა, პენსია, ხელფასი და სოციალური დახმარება შეადგენს. ეს მიუთითებს მათ

[1] >100%

მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაზე, რადგან ისინი დამოკიდებულნი არიან სახელმწიფოზე და მის მიერ გაწეულ დახმარებაზე.

იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახების შემოსავალი, ძირითადად, 301–500 ლარია. ისეთი ოჯახების რაოდენობა, რომელთა შემოსავალიც 300 ლარზე ნაკლებია, გამოკითხულთა ზუსტად ნახევარს შეადგენს. ისეთი ოჯახების რაოდენობა კი, რომელთა შემოსავალიც 500 ლარზე მეტია, მხოლოდ 18.2%–ია. ოჯახის შემოსავლის განაწილება ასეთია **(იხ. ცხრილი №15)**:

ცხრილი №15

იძულებით გადაადგილებული ქალები	**%**
100 ლარამდე	6.0
101–200 ლარი	23.8
201–300 ლარი	21.0
301–500 ლარი	30.2
501–1000 ლარი	14.2
1001 და მეტი ლარი	4.0
ოჯახს შემოსავალი არ აქვს	0.4
უარი პასუხზე	0.2
მიჭირს პ/გ	0.2

იძულებით გადაადგილებული ოჯახების საშუალო შემოსავალი 364.23 ლარია, თუმცა ეს მონაცემები განსხვავდება ქალაქების მიხედვით. კერძოდ, თბილისში მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ ოჯახებში შემოსავლის ყველაზე მაღალი საშუალო მაჩვენებელი დაფიქსირდა (488 ლარი), ხოლო ქუთაისში მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ ოჯახებში – ყველაზე დაბალი (295 ლარი) **(იხ. ცხრილი №16)**.

ცხრილი №16

ქალაქები (იძულებით გადაადგილებული ქალები)	**საშუალო შემოსავალი**
თბილისი	488
რუსთავი	397
გორი	363
ქუთაისი	295
ზუგდიდი	310

მოსახლეობის ეკონომიკურ შეფასებაში მნიშვნელოვანია თვითშეფასება. კვლევის პროცესში საკუთარი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისას იძულებით გადაადგილებულ ქალთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ძალიან უჭირთ, თანხა კვებაზეც არ ყოფნით (57.8%). თითქმის მესამედი ამბობს, რომ მათი შემოსავალი საკმარისია კვებისთვის, თუმცა ვერ ახერხებენ ტანსაცმლის შეძენას **(იხ. დიაგრამა №15)**.

დიაგრამა №15



ეს შედეგი ლოგიკურია იმ შემთხვევაში, თუ გავითვალისწინებთ, რომ იძულებით გადაადგილებული ქალების 34.8% სოციალურად დაუცველია, 20.6% კი იყო, თუმცა აღარ არის. ამასთან, მნიშვნელოვანია ისიც, რომ განაცხადი სოციალურად დაუცველი ოჯახების სახელმწიფო დახმარების მისაღებად არ შეუტანია იგპ–ების მხოლოდ 29%–ს. დანარჩენმა ან შეიტანა განაცხადი, თუმცა არ დაუკმაყოფილეს (10.8%) ან პასუხი ჯერ არ მიუღიათ (2.4%) **(იხ. დიაგრამა №16).** მათგან 20.8%, ვისაც აღნიშნული შემწეობა მოცემულ მომენტში არ აქვს, აპირებს განაცხადის შეტანას.

დიაგრამა №16



შეჯამება

ოჯახების საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება და ობიექტური მდგომარეობა ერთმანეთის მსგავსია. თუ ოჯახის შემოსავალს პირობითად სამ ჯგუფად დავყოფთ, შემდეგ სურათს მივიღებთ: იძულებით გადაადგილებული ოჯახების 51.2%–ს 300 ლარზე ნაკლები შემოსავალი აქვს, რაც ნიშნავს, რომ სულ გამოკითხული იძულებით გადაადგილებულ ქალთა ოჯახების ნახევარი ღარიბია, 30.2%–ს 301–500 ლარი აქვს შემოსავალი, ხოლო 18.2%–ს – 501–1000 ლარი. შესაბამისად, იძულებით გადაადგილებულ ოჯახთა ნახევარზე მეტი საკუთარ ეკონომიკურ მდგომარეობას აფასებს, როგორც ძალიან ცუდს („ძალიან გვიჭირს, თანხა კვებაზეც არ გვყოფნის“), თითქმის მესამედი (29%) – როგორც ცუდს („ჩვენი შემოსავალი საკმარისია კვებისთვის, მაგრამ ვერ ვახერხებთ ტანსაცმლის შეძენას“).

იძულებით გადაადგილებული ოჯახების შემოსავლის საშუალო მაჩვენებელი 364.34 ლარია. ასეთი დაბალი საშუალო მაჩვენებელი მოულოდნელია, რადგან იძულებით გადაადგილებულ ოჯახებს შორის გვხვდება ისეთებიც, რომელთაც მაღალი შემოსავალი აქვთ. ამ მონაცემებს, შესაძლოა, ჰქონდეთ რამდენიმე ინტერპრეტაცია:

- იძულებით გადაადგილებული ქალებიდან მეხუთედი დასაქმებულია, თუმცა მათი უმრავლესობა ნაკლებ შემოსავლიან სამსახურში მუშაობს.
- ამ ჯგუფისთვის დამახასიათებელია საშუალო განათლება და საშუალო სამუშაო.

ოჯახის საშუალო შემოსავლის შესახებ მონაცემები არ იძლევა კონკრეტულ ინფორმაციას ქალთა ეკონომიკური სიტუაციის შესახებ. უამრავი კვლევა აჩვენებს, რომ თვიური ოჯახის შემოსავალი არ იყოფა თანაბრად ოჯახის ყველა წევრს შორის. ამიტომ, საშუალო შემოსავლის მქონე ოჯახშიც კი, ქალები და ბავშვები, შესაძლოა, სიღარიბის ზღვარზე იყვნენ.

ამ სამიზნე ჯგუფში, თავის მხრივ, მონაცემები ქალაქების მიხედვით განსხვავდება, კერძოდ, ყველაზე მაღალი საშუალო შემოსავალი აქვთ თბილისში (488 ლარი), ხოლო ყველაზე დაბალი – ქუთაისში (295 ლარი). ასეთი ტიპის განსხვავება სხვადასხვა ეკონომიკური სტანდარტებითაა გამოწვეული, რომელიც გვხვდება დედაქალაქში და ქვეყნის რურალურ სივრცეებში. იძულებით გადაადგილებულთა ოჯახები შედარებით პატარა ქალაქებში უფრო რთული მატერიალური მდგომარეობით გამოირჩევიან, ვიდრე დედაქალაქში, სადაც მეტი შესაძლებლობა და მაღალი ხელფასებია.

საკუთარი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის იდენტიფიკაციაზეა დამოკიდებული სოციალურად დაუცველთა შემწეობის მიღებაც. უმწეოთა დახმარების სრული პაკეტი ამჟამად აქვს იძულებით გადაადგილებულ ოჯახთა 34.8%–ს, ხოლო ჰქონდა – 20.6%–ს. განაცხადი აღნიშნული დახმარების მისაღებად შეიტანა 13.2%–მა (თუმცა ან ვერ მიიღო, ან პასუხს

ელოდება). განაცხადი დახმარების მისაღებად არ შეუტანია 29%–ს, თუმცა მათი 20.8% აპირებს განაცხადის შეტანას. აღნიშნულიდან საბოლოო ჯამში გამომდინარეობს ის, რომ მოსახლეობის 74.6% ფიქრობს, რომ მისი ოჯახი სოციალურად დაუცველი, ე.წ. უმწეოა. სოციალური დახმარება იმ იძულებით გადაადგილებულ ოჯახებს აქვთ, რომელთა თვიური შემოსავალიც 300 ლარზე ნაკლებია (ოჯახების 51.2%) და მიიჩნევიან ღარიბებად. მონაცემები აჩვენებს, რომ მათი 34.8% სოციალური დახმარების სრულ პაკეტს იღებს. ეს ნიშნავს, რომ 15.2% დახმარების გარეშე რჩება. მონაცემები არ გვიჩვენებს, თუ რომელი ოჯახები მიიჩნევენ საკუთარ თავს უმწეოებად: ისინი, რომელთაც არ აქვთ სოციალური დახმარების სრული პაკეტი, ისინი, ვისაც უკვე აქვთ სოციალური დახმარება თუ სხვები. სოციალური დახმარების თანხა, როგორც ყველაზე თანამედროვე ევროპული სოციალური პოლიტიკის კვლევები გვიჩვენებს, არის მთავარი იარაღი სიღარიბის წინააღმდეგ ეკონომიკურად მოწყვლადი ოჯახების უმრავლესობისთვის (Ashwin 2000, Clarke 2004, Bauman 2004).

საბოლოოდ, აღნიშნულ სამიზნე ჯგუფში რესპონდენტთა ნახევარს 300 ლარამდე აქვს შემოსავალი. იძულებით გადაადგილებულ პირთა ნახევარი ფიქრობს, რომ მისი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა ძალიან ცუდია, მეტიც, სრულ უმრავლესობას მიაჩნია, რომ მისი ოჯახი სოციალურად დაუცველია. მონაცემებიდან კარგად ჩანს, რომ ამ სამიზნე ჯგუფს მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა აქვს.

3.2. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ქალები

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ქალები შემოსავლის წყაროებად ასახელებენ ხელფასს (60%), პენსიას (45%) ან მათ მიერ მოწეულ სასოფლო–სამეურნეო პროდუქციას (14.5%)[2] **(იხ. დიაგრამა №17).**

დიაგრამა №17



ეროვნული უმცირესობების ოჯახების მესამედის საშუალო შემოსავალი თვეში 101–200 ლარია, 29.5%–ის – 501–1000 ლარი. 300 ლარზე ნაკლები შემოსავალი სულ გამოკითხულთაგან ნახევარს აქვს, ხოლო 500 ლარზე მეტი – 49%–ს. საშუალო შემოსავალი კი 409.71 ლარს უდრის. ოჯახების შემოსავლის განაწილება ასეთია **(იხ. ცხრილი №17)**:

[2] >100%

ცხრილი №17

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალები	%
100 ლარამდე	3.5
101–200 ლარი	31.0
201–300 ლარი	15.0
301–500 ლარი	19.5
501–1000 ლარი	29.5
1001 და მეტი ლარი	0.5
ოჯახს შემოსავალი არ აქვს	–
უარი პასუხზე	0.5
მიჭირს პ/გ	0.5

საკუთარი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისას რესპონდენტთა 45% აღნიშნავს, რომ შემოსავალი კვებასა და ჩაცმას უზრუნველყოფს, მაგრამ ძვირადღირებული ნივთების შესაძენად ფული არ ყოფნით; მეოთხედი ამბობს, რომ შემოსავალი საკმარისია კვებისთვის, მაგრამ ვერ ახერხებენ ტანსაცმლის შეძენას; მეათედი მიუთითებს, რომ შეუძლიათშეიძინონძვირადღირებული საქონელი უპრობლემოდ, თუმცა არ შეუძლიათ უძრავი ქონების შეძენა. ისეთი ოჯახები, რომელთაც თანხა კვებაზეც არ ყოფნით, 15%–ს შეადგენენ **(იხ. დიაგრამა №18)**.

დიაგრამა №18



ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ქალთა მხოლოდ 2.5%–ია სოციალურად დაუცველი. განაცხადი სოციალურად დაუცველი ოჯახების სახელმწიფო დახმარების მისაღებად არ შეუტანია ეროვნული უმცირესობების აბსოლუტურ უმრავლესობას – 92.5%–ს (**იხ. დიაგრამა №19**), თუმცა განაცხადის შეტანას აპირებს რესპონდენტთა 29.6%.

დიაგრამა №19



შეჯამება

ოჯახების საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება და ობიექტური მდგომარეობა ერთმანეთის მსგავსია. თუ ოჯახის შემოსავალს პირობითად სამ ჯგუფად დავყოფთ, შემდეგ სურათს მივიღებთ: ეროვნულ უმცირესობათა ოჯახების 49.5%–ს 300 ლარზე ნაკლები შემოსავალი აქვს, 19.5%–ს 301–500 ლარი აქვს შემოსავალი, ხოლო 30%–ს 501–ზე მეტი ლარი. მიუხედავად იმისა, რომ სულ გამოკითხული ეროვნული უმცირესობების ოჯახების ნახევარი ღარიბია (აქვს 300 ლარზე ნაკლები შემოსავალი), მხოლოდ 15% აფასებს საკუთარ ეკონომიკურ მდგომარეობას, როგორც ძალიან ცუდს. 27.5% ამბობს, რომ მისი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა ცუდია, ხოლო 45% ამბობს, რომ – საშუალო. აღმოჩნდა, რომ ეროვნული უცმირესობების ქალები საკუთარი ოჯახის მდგომარეობას უფრო კარგად აფასებენ, ვიდრე ამას ობიექტური კრიტერიუმები ავლენს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეროვნული უმცირესობების ქალების შემოსავლის საშუალო მაჩვენებელია 409.71 ლარი. შედარებით მაღალი საშუალო შემოსავალი შეიძლება ინტერპრეტირდეს ამგვარად:

- პირველ რიგში, მნიშვნელოვანია ოჯახის სტრუქტურა და ტრადიციული საოჯახო სოლიდარობა. ეროვნული უმცირესობების ოჯახები დიდია და შესაბამისად, უფრო ძლიერი ტრადიციული გაფართოებული ოჯახის სოლიდარობა ახასიათებთ და შესაძლოა, რომ ისეთი მამაკაცები, რომელთაც შემოსავალი აქვთ, ოჯახში რამდენიმეა.
- გარდა ამისა, ეროვნული უმცირესობების ქალებს შორის, შესაძლოა, მეტი ქალი იყოს ისეთი, რომლებიც კარგ შემოსავალს იღებენ, თუმცა, ცხადია, ძალიან ცოტა მუშაობს. ეს ნიშნავს, რომ ამ სამიზნე ჯგუფში უთანასწორობა დიდია – არსებობენ ქალები (რომლებიც უმრავლესობას წარმოადგენენ), რომლებსაც საერთოდ არ აქვთ შემოსავალი და ქალები, რომლებთაც აქვთ შემოსავალი.

მიუხედავად იმისა, რომ სულ გამოკითხული ეროვნული უმცირესობების ოჯახების ნახევარი ღარიბია (აქვს 300 ლარზე ნაკლები შემოსავალი), მხოლოდ 15% აფასებს საკუთარ ეკონომიკურ მდგომარეობას, როგორც ძალიან ცუდს. 27.5% ამბობს, რომ მისი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა ცუდია, ხოლო 45% ამბობს, რომ – საშუალო. აღმოჩნდა, რომ ეროვნული უცმირესობების ქალები საკუთარი ოჯახის მდგომარეობას უფრო კარგად აფასებენ, ვიდრე ამას ობიექტური კრიტერიუმები ავლენს. ეს გამოწვეულია ისტორიული და სოციალური მიზეზებით: ეროვნული უმცირესობების ოჯახებმა გამოსცადეს მწვავე ეკონომიკური გაჭირვება და ამ პროცესებთან დაკავშირებული ეკონომიკური სტანდარტების გამო, შედარებით დაბალი მოლოდინები აქვთ. ეს ფაქტორები ახსნის მათ მიერ სიტუაციის უფრო პოზიტიურად შეფასებას, ვიდრე ამაზე ობიექტური კრიტერიუმები მიუთითებენ და ვიდრე ეს საქართველოს დანარჩენ მოსახლეობაშია.

საკუთარი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის იდენტიფიკაციაზეა დამოკიდებული სოციალურად დაუცველთა შემწეობის მიღებაც. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთაგან სოციალურად დაუცველთა დახმარების სრული პაკეტი ამჟამად 2.5%–ს აქვს, ხოლო ჰქონდა 1.5%–ს. განაცხადი აღნიშნული დახმარების მისაღებად შეიტანა 3%–მა (თუმცა ან ვერ მიიღო, ან პასუხს ელოდება). განაცხადი არ შეუტანია ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა 92%–ს, თუმცა მათი 29.6% აპირებს შეიტანოს. საბოლოო ჯამში გამოდის, რომ გამოკითხული ეროვნული უმცირესობების ოჯახებიდან 34.2% ფიქრობს, რომ მისი ოჯახი სოციალურად დაუცველი, ე.წ. უმწეოა. მონაცემები ცხადყოფს, რომ ეროვნული უმცირესობების ოჯახებიდან, ტრადიციულად, ნაკლებს შეაქვს განაცხადი სოციალური დახმარების მისაღებად. გარდა ამისა, მათი ოჯახები შედარებით უფრო მეტად ავლენენ ტენდენციას, იყვნენ დამოუკიდებელნი. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამ ფაქტორების მიზეზები კავშირშია სოციალური სამართლიანობის მიმართ ხელმისაწვდომობაზე. ამ სამიზნე ჯგუფს ახასიათებს ენობრივი ბარიერები და განათლების დაბალი საფეხური, რაც იწვევს ინფორმაციის ნაკლებობას კეთილდღეობის შესაძლებლობების შესახებ. ამავდროულად, ისინი, შესაძლოა, განიცდიან პრობლემებს სახელმწიფო მოხელეების მხრიდან. ამიტომაც, ისინი ნაკლებად ითხოვენ სოციალურ დახმარებას. დიდია მათი რიცხვი, რომლებიც რურალურ სივრცეში ცხოვრობს და შორს არის ასეთი სერვისებისგან.

ეროვნული უმცირესობების ქალთა თითქმის ნახევარი საკუთარ ეკონომიკურ მდგომარეობას აფასებს, როგორც საშუალოს, მიუხედავად იმისა, რომ ამ ჯგუფის ოჯახთა ნახევარს 300 ლარამდე შემოსავალი აქვს. ამ ჯგუფის მესამედს მიაჩნია, რომ მისი ოჯახი სოციალურად დაუცველია. მონაცემებიდან კარგად ჩანს, რომ მათ მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა აქვთ.

IV. ურთიერთობები ოჯახში

4.1. იძულებით გადაადგილებული ქალები

ადრეული ქორწინება და ძალადობა

დაოჯახებულ ქალთა რიცხვი დიდია იძულებით გადაადგილებულ ქალებში და უტოლდება 88.6%–ს. რესპონდენტთა უმრავლესობა ოჯახდებოდა 25 წლის ასაკში. დაოჯახების ასაკი შედარებით მაღალია თბილისში, სადაც 12.1% 25 წლის ასაკში ქმნიდა ოჯახს. ამ სამიზნე ჯგუფში „ბავშვთა ქორწინების" (გაეროს კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ) რამდენიმე შემთხვევაც დაფიქსირდა. „ბავშვთა ქორწინება" განიმარტება, როგორც 18 წლამდე ასაკის და განსაკუთრებით, 16 წლამდე ასაკის ადამიანის ქორწინება. 1994 წელს საქართველომ ხელი მოაწერა და დაამტკიცა (თუმცა არ არის ცხადი, მოხდა თუ არა ამის რატიფიცირება), გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენციას 1989 წლიდან[3], რომელიც 18 წლამდე ასაკის ადამიანს ბავშვად მიიჩნევს.

იძულებით გადაადგილებულთა ჩასახლებებში, ქუთაისში, 1.1% 13 წლისა დაოჯახდა, ხოლო ზუგდიდში – 3.3%. თბილისში 1%–მა ოჯახი 14 წლის ასაკში შექმნა, 2.2%–მა ზუგდიდში. 17 წლის ასაკში კი დაოჯახებულ ქალთა ნახევარი უკვე დაოჯახებული იყო **(იხ. ცხრილი №18)**.

ცხრილი №18

დაოჯახების ასაკი	იძულებით გადაადგილებული ქალები
13	4.4%
14	3.2%
15	12.2%
16	17.5%
17	50%
18	82.1%

პარტნიორთან ან მეუღლესთან თანაცხოვრებით კმაყოფილება

ქალები საკუთარ თანაცხოვრებას მეუღლესთან/პარტნიორთან პოზიტიურად აფასებენ. სულ 45.9%–მა განაცხადა, რომ მათი თანაცხოვრება მეუღლესთან/პარტნიორთან „ძალიან კარგია" და 3 ქალაქში 60%–ზე მეტმა აღნიშნა იგივე. მათგან მხოლოდ 1.4%–მა თქვა, რომ თანაცხოვრება „ძალიან ცუდია" **(იხ. ცხრილი №19).**

[3] გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენცია, 1989; https://treaties.un.org/Pages/ViewDetails.aspx?mtdsg_no=IV-11&chapter=4&lang=en

ცხრილი №19

შეფასება	თბილისი	რუსთავი	ქუთაისი	ზუგდიდი	გორი	სულ
ძალიან ცუდი (1)	-	2.1%	-	-	4.5%	1.4%
ცუდი (2)	1.6%	2.1%	-	1.9%	4.5%	2.1%
საშუალო (3)	19.4%	16.7%	23.4%	3.8%	18.2%	16.8%
კარგი (4)	56.5%	16.7%	40.6%	28.8%	22.7%	33.9%
ძალიან კარგი (5)	22.6%	62.5%	35.9%	65.4%	50.0%	45.9%

იძულებით გადაადგილებული ქალები ხშირად აფასებდნენ მეუღლესთან/პარტნიორთან თანაცხოვრებას უარყოფითად, თუმცა მათი უმრავლესობა კმაყოფილი იყო ურთიერთობით. 70%–ზე მეტი იძულებით გადაადგილებული ქალი გამოთქვამდა კმაყოფილების („კარგი“ და „ძალიან კარგი“), გამონაკლისები იყვნენ მხოლოდ გორში მცხოვრები ქალები, რომელთაგან თითქმის 10% აფასებდა მას ნეგატიურად. სამ ქალაქში (თბილისი, ქუთაისი, ზუგდიდი) არცერთ ქალს უთქვამს, რომ თანაცხოვრება „ძალიან ცუდია“.

ოჯახის შემოსავალი

ერთ–ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იყო ის, თუ ვინ გამოიმუშავებს მეტს ოჯახში – ქალი თუ მამაკაცი. იძულებით გადაადგილებულ ქალებს შორის მამაკაცები გამოიმუშავებენ უფრო მეტს. თბილისში მამაკაცების დაახლოებით 40% ოჯახს არჩენს. ქუთაისსა და ზუგდიდში კი დაუსაქმებლობა თვალსაჩინოა, რადგან მეუღლეთაგან არცერთი გამოიმუშავებს **(იხ. ცხრილი №20).**

ცხრილი №20

ვინ უფრო მეტს გამოიმუშავებს ოჯახში?	თბილისი	რუსთავი	ქუთაისი	ზუგდიდი	გორი	სულ
დაახლოებით თანაბრად გამოვიმუშავებთ	17.5%	10.9%	4.7%	11.3%	19.7%	13%
მხოლოდ მე	3.2%	8.7%	3.1%	5.7%	3%	4.5%
მხოლოდ მეუღლე/პარტნიორი	39.7%	15.2%	26.6%	20.8%	3%	21.2%
მე მეტს გამოვიმუშავებ	6.3%	4.3%	-	3.8%	4.5%	3.8%
მეუღლე/პარტნიორი მეტს გამოიმუშავებს	14.3%	45.7%	21.9%	45.5%	48.5%	30.8%
არცერთს გვაქვს შემოსავალი	17.5%	13%	43.8%	28.3%	19.7%	25.0%
მიჭირს პასუხის გაცემა	-	2.2%	-	3.8%	1.5%	1.4%
უარი პასუხზე	1.6%	-	-	-		0.3%

მონაცემები ცხადყოფს, რომ ქალთა უმრავლესობა ეკონომიკურად დამოკიდებულია მეუღლეზე ან არ აქვთ სტაბილური შემოსავალი. სულ 4.5%-ია ისეთი, რომლებიც ოჯახში მთავარი

შემომტანები არიან და მათი რაოდენობა მსგავსია ქალაქების მიხედვით. ოდნავ მეტია ასეთების რაოდენობა რუსთავში (8.7%). 3.8%-მა უპასუხა, რომ ისინი მეტს გამოიმუშავებენ, ვიდრე მამაკაცები.

სულ 21.2%–მა უპასუხა, რომ მხოლოდ კაცი გამოიმუშავებს ოჯახის შემოსავალს. შედარებით მაღალი ეს მონაცემები თბილისშია. 30.8% პასუხობს, რომ მეტს მეუღლე/პარტნიორი გამოიმუშავებს. ეს მონაცემები მაღალია რუსთავში, ზუგდიდსა და გორში.

სულ ქალთა 25%–მა უპასუხა, რომ არცერთს არ აქვთ შემოსავალი. რაც შეეხება ქუთაისს, ზუგდიდს და გორს, ამ ქალაქებში რესპონდენტთა დაახლოებით მესამედი არ გამოიმუშავებს თანხას, რაც ნიშნავს, რომ არ აქვთ სამსახური და სტაბილური შემოსავალი. ეს გავლენას ახდენს მათ ეკონომიკურ მოწყვლადობაზე, სიღარიბის მაჩვენებელზე, სოციალურ კაპიტალზე და ტრანსგენერაციულ სიღარიბეზე, რამდენადაც ოჯახის სიღარიბე განსაზღვრავს შვილების/ბავშვების სიღარიბეს ოჯახში და მათი განათლების შესაძლებლობას.

ქალების ეკონომიკური დამოკიდებულება მათ მეუღლეებზე/პარტნიორებზე

იძულებით გადაადგილებული ქალები ეკონომიკურად დამოკიდებულნი არიან საკუთარ მეუღლეებზე/პარტნიორებზე, განსაკუთრებით თბილისში (47.6%) და რუსთავში (41.3%). ეკონომიკური დამოუკიდებლობის შედარებით მაღალ ხარისხს ავლენენ ქუთაისში მცხოვრები იძულებით გადაადგილებული ქალები (43.8%) **(იხ. ცხრილი №21).**

ცხრილი №21

ხართ თუ არა მატერიალურად დამოკიდებული თქვენს მეუღლეზე/პარტნიორზე?	**თბილისი**	**რუსთავი**	**ქუთაისი**	**ზუგდიდი**	**გორი**	**სულ**
სრულიად დამოკიდებული ვარ	47.6%	41.3%	35.9%	25.5%	30.8%	36.3%
მეტ–ნაკლებად დამოკიდებული ვარ	12.7%	30.4%	14.1%	11.8%	16.9%	16.6%
მეტ–ნაკლებად დამოუკიდებელი ვარ	4.8%	8.7%	3.1%	15.7%	3.1%	6.6%
სრულიად დამოუკიდებელი ვარ	23.8%	13%	43.8%	29.4%	16.9%	26.0%
უარი პასუხზე	6.3%	-	1.6%	9.8%	-	3.5%
მიჭირს პასუხის გაცემა	4.8%	6.5%	1.6%	7.8%	32.3%	11.1%

ქალთა უმრავლესობა ეკონომიკურად დამოკიდებულია მეუღლეზე/პარტნიორზე. სულ იძულებით გადაადგილებულ ქალთა 36.3% პროცენტი სრულიად დამოკიდებულია და 16.6% – ნაწილობრივ. ეს ნიშნავს, რომ 52.9% პროცენტი ეკონომიკურად დამოკიდებულია პარტნიორზე, ხოლო 14.6% პროცენტს პასუხი არ გაუცია კითხვაზე. 26% პროცენტმა უპასუხა, რომ სრულიად დამოუკიდებელია, ხოლო 6.6%, რომ მეტ–ნაკლებად დამოუკიდებელია, რაც ნიშნავს რომ სულ 32.6%–ია დამოუკიდებელი **(იხ. ცხრილი №22).**

ცხრილი №22

მატერიალური დამოკიდებულება	სრულიად დამოკიდე–ბული	მეტ–ნაკლებად დამოკიდე–ბული	მეტ–ნაკლებად დამოუკიდე–ბელი	სრულიად დამოუკიდე–ბელი	უარი პასუხზე	მიჭირს პ/გ
იძულებით გადაადგილებული ქალები	36.3%	16.6%	6.6%	26.0%	3.5%	11.1%
ანალიტიური დაჯგუფება	52.9%		32.6%		14.6%	

ზოგიერთ ქალაქში ქალთა დამოკიდებულება უფრო მაღალია, მაგალითად, თბილისსა და რუსთავში. „ტოტალური დამოკიდებულებისა“ და „მეტ–ნაკლები დამოკიდებულების“ კატეგორიების კომბინირების შემდეგ გამოვლინდა, რომ ნახევარზე მეტი და ერთ შემთხვევაში, მესამედზე მეტი ქალი ეკონომიკურად დამოკიდებულია მეუღლეზე/პარტნიორზე **(იხ. ცხრილი №23).**

ცხრილი №23

„სრული დამოკიდებულება“ ან „მეტ–ნაკლები დამოკიდებულება“ მეუღლეზე/პარტნიორზე	თბილისი	რუსთავი	ქუთაისი	ზუგდიდი	გორი
სულ	60.3%	71.7%	50%	37.3%	47.7%

როგორც უკვე აღინიშნა, 26%-მა ქალმა უპასუხა, რომ ეკონომიკურად დამოუკიდებლები არიან. ზოგიერთ შემთხვევაში პროცენტული მაჩვენებელი განსხვავებული იყო ზოგადი მონაცემებისგან, მაგალითად, ქუთაისში, სადაც 43.8% ეკონომიკურად დამოუკიდებელია და ზუგდიდში, სადაც მხოლოდ 29.4%–ია ეკონომიკურად დამოუკიდებელი. რუსთავში ყველაზე მეტი ქალია მეუღლეზე/პარტნიორზე ეკონომიკურად დამოკიდებული, აქ დამოუკიდებელთა რაოდენობა მხოლოდ 13%–ს შეადგენს.

ერთობლივი ცხოვრების/ქორწინების შეწყვეტა

სამიზნე ჯგუფში თითქმის ყველამ უპასუხა, რომ არ აპირებენ შეწყვიტონ მეუღლესთან/პარტნიორთან თანაცხოვრება. მხოლოდ გორში არიან ისეთი ქალები, რომელთაც უფიქრიათ თანაცხოვრების შეწყვეტის შესახებ, თუმცა გადაწყვეტილება არ მიუღიათ (6%). მხოლოდ თბილისსა და გორში იყვნენ ისეთი ქალები, რომლებიც აპირებენ შეწყვიტონ თანაცხოვრება ან განქორწინდნენ. თბილისში ასეთთა რაოდენობა 1.6%–ია, ხოლო გორში – 1.5% **(იხ. ცხრილი №24).**

ცხრილი №24

აპირებთ თუ არა ქორწინების/თანაცხოვრების შეწყვეტად უახლოეს მომავალში?	თბილისი	რუსთავი	ქუთაისი	ზუგდიდი	გორი
არა	98.4%	100%	100%	100%	92.5%
მიფიქრია, თუმცა ჯერ არ გადამიწყვეტია	-	-	-	-	6.0%
დიახ, ვაპირებ	1.6%	-	-	-	1.5%

ევროკავშირის 28 ქვეყანასთან შედარებით, სადაც განქორწინების მონაცემები იზრდება (Zaviršek 2012) ძალიან მცირე რაოდენობის ქალები ფიქრობენ ქორწინების/თანაცხოვრების შეწყვეტას, რაც აჩვენებს, რომ განქორწინება/თანაცხოვრების შეწყვეტა ქალებისთვის გამოსავალი არ არის. ისინი ფიქრობენ, რომ ეს უკანასკნელი არა მხოლოდ ქორწინებას წყვეტს, არამედ ასუსტებს სოციალურ სტატუსს, ბავშვებს, შემოსავალსა და საცხოვრებელ პირობებს.

ოჯახური ურთიერთობების საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია საზოგადოებაში, რომელსაც ახასიათებს გენდერის ნორმატიული და ტრადიციული პოლარიზაცია. ამის გადასალახად და ნორმატიული პასუხებისათვის თავის ასარიდებლად საჭიროა კვლების თვისებრივი მეთოდოლოგია.

შეჯამება

დაოჯახებულ ქალთა რიცხვი დიდია იძულებით გადაადგილებულ ქალებში და უტოლდება 88.6%–ს. რესპონდენტთა უმრავლესობა ოჯახდებოდა 25 წლის ასაკში. დაოჯახების ასაკი შედარებით მაღალია თბილისში, სადაც 12.1% 25 წლის ასაკში ქმნიდა ოჯახს. ამ სამიზნე ჯგუფში „ბავშვთა ქორწინების“ (გაეროს კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ) რამდენიმე შემთხვევაც დაფიქსირდა.

ქალები საკუთარ თანაცხოვრებას მეუღლესთან/პარტნიორთან პოზიტიურად აფასებენ. სულ 45.9%–მა განაცხადა, რომ მათი თანაცხოვრება მეუღლესთან/პარტნიორთან „ძალიან კარგია“ და 3 ქალაქში 60%–ზე მეტმა აღნიშნა იგივე. მათგან მხოლოდ 1.4%–მა თქვა, რომ თანაცხოვრება „ძალიან ცუდია“. 70%–ზე მეტი იძულებით გადაადგილებული ქალი გამოთქვამდა კმაყოფილების („კარგი“ და „ძალიან კარგი“), გამონაკლისები იყვნენ მხოლოდ გორში მცხოვრები ქალები, რომელთაგან თითქმის 10% აფასებდა მას ნეგატიურად. სამ ქალაქში (თბილისი, ქუთაისი, ზუგდიდი) არცერთ ქალს უთქვამს, რომ თანაცხოვრება „ძალიან ცუდია“.

მონაცემები ცხადყოფს, რომ ქალთა უმრავლესობა ეკონომიკურად დამოკიდებულია მეუღლეზე ან არ აქვთ სტაბილური შემოსავალი. სულ 4.5%-ია ისეთი, რომლებიც ოჯახში მთავარი შემომტანები არიან და მათი რაოდენობა მსგავსია ქალაქების მიხედვით. ოდნავ მეტია ასეთების რაოდენობა რუსთავში (8.7%). 3.8%-მა უპასუხა, რომ ისინი მეტს გამოიმუშავებენ, ვიდრე მამაკაცები. სულ ქალთა 25%–მა უპასუხა, რომ არცერთს არ აქვთ შემოსავალი. რაც შეეხება ქუთაისს, ზუგდიდს და გორს, ამ ქალაქებში რესპონდენტთა დაახლოებით მესამედი არ გამოიმუშავებს თანხას, რაც ნიშნავს, რომ არ აქვთ სამსახური და სტაბილური შემოსავალი.

იძულებით გადაადგილებული ქალები ეკონომიკურად დამოკიდებულნი არიან საკუთარ მეუღლეებზე/პარტნიორებზე, განსაკუთრებით თბილისში (47.6%) და რუსთავში (41.3%). ეკონომიკური დამოუკიდებლობის შედარებით მაღალ ხარისხს ავლენენ ქუთაისში მცხოვრები იძულებით გადაადგილებული ქალები (43.8%).„ტოტალური დამოკიდებულებისა“ და „მეტ–ნაკლები დამოკიდებულების“ კატეგორიების კომბინირების შემდეგ გამოვლინდა, რომ ნახევარზე მეტი და ერთ შემთხვევაში, მესამედზე მეტი ქალი ეკონომიკურად დამოკიდებულია მეუღლეზე/პარტნიორზე

სამიზნე ჯგუფში თითქმის ყველამ უპასუხა, რომ არ აპირებენ შეწყვიტონ მეუღლესთან/პარტნიორთან თანაცხოვრება. მხოლოდ გორში არიან ისეთი ქალები, რომელთაც უფიქრიათ თანაცხოვრების შეწყვეტის შესახებ, თუმცა გადაწყვეტილება არ მიუღიათ (6%). მხოლოდ თბილისსა და გორში იყვნენ ისეთი ქალები, რომლებიც აპირებენ შეწყვიტონ თანაცხოვრება ან განქორწინდნენ. თბილისში ასეთთა რაოდენობა 1.6%–ია, ხოლო გორში – 1.5%

4.2. ეროვნული უმცირესობების ქალები

ადრეული ქორწინება და ძალადობა

დაოჯახებულ ქალთა რიცხვი ეროვნული უმცირესობების ქალებს შორის 90.5%–ია. ამ სამიზნე ჯგუფში ქალები 16–19 წლის ასაკში ქორწინდებიან. 11% ამბობს, რომ ოჯახი შექმნა 16 წლის ასაკში (**იხ. ცხრილი №25**).

ცხრილი №25

დაქორწინების ასაკი	**ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ქალების**
13	0
14	2.2%
15	3.9%
16	11.0%
17	12.2%
18	12.2%

ძალადობა ქალების წინააღმდეგ, როგორც ჩანს, მნიშვნელოვანი პრობლემაა. მათ უნდა დაესახელებინათ ფიზიკური, ფსიქოლოგიური და ეკონომიკური ძალადობის მაგალითები. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ქალთა 38.8% ამბობს, რომ მათ განუცდიათ ძალადობა. ისინი უფრო მეტად ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ძალადობას განიცდიდნენ. ეს ძალიან დიდი რიცხვია. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს რიცხვი უფრო მაღალია, ვიდრე ქალები ასახელებენ. ეს განსაკუთრებით მართალია ტრადიციულ საზოგადოებებში, ნორმატიული გენდერული წესრიგითა და ქალთა ეკონომიკური დამოკიდებულებით მამაკაცებზე.

მეუღლესთან/პარტნიორთან თანაცხოვრებით კმაყოფილება

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული უმცირესობების ქალები ხშირად გამოცდიან ძალადობას მეუღლის/პარტნიორის მხრიდან, ისინი თანაცხოვრებას პოზიტიურად აფასებენ. 1.7% ამბობს, რომ მათი თანაცხოვრება არის ძალიან ცუდი, ხოლო 67% ამბობს, რომ თანაცხოვრება კარგი ან ძალიან კარგია (**იხ. ცხრილი №26**).

ცხრილი №26

თანაცხოვრებით კმაყოფილება	**მარნეული**
ძალიან ცუდი (1)	0.6%
ცუდი (2)	1.9%
საშუალო (3)	29.7%
კარგი (4)	28.4%
ძალიან კარგი (5)	39.4%

„თანაცხოვრება“ ზოგადი ტერმინია, რომელიც მოიცავს ურთიერთობას პარტნიოტებს შორის, ეკონომიკურ სიტუაციას, სოციალურ ცხოვრებას, ბავშვებთან ცხოვრებას და ა.შ. საინტერესო იქნებოდა გაგვეგო, თუ რას ნიშნავდა ეს ტერმინი ქალებისთვის.

ძალიან პოზიტიური პასუხები კითხვის ნიშნის ქვეშ უნდა დავაყენოთ. ხანდახან ქალები უარს ამბობენ იმაზე, რომ იყვნენ კრიტიკულები კაცის კონტროლის გამო, იმის გამო, რომ ისინი არ არიან მარტონი, როდესაც ავსებენ კითხვარს ან იმის გამო, რომ ცხვენიათ რთული სიტუაციების გამჟღავნება, მათ საკუთარი თავი დამნაშავედ მიაჩნიათ, თუ იტყვიან ამაზე. ზოგჯერ ისინი ფიქრობენ, რომ უნდა დაიცვან საკუთარი თავები და „ოჯახის სახე“ პოზიტიური პასუხებით.

შემოსავალი ოჯახში და ქალების ეკონომიკური დამოკიდებულება მეუღლეებზე/პარტნიორებზე

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ქალებს შორის მხოლოდ გამოკითხულთა მეუღლეები გამოიმუშავებენ თანხას (55.1%). თითქმის 20% ამბობს, რომ არ აქვთ შემოსავალი, რაც ხაზს უსვამს უმუშევრობას **(იხ. ცხრილი №27)**.

ცხრილი №27

ვინ მეტ თანხას გამოიმუშავებს ოჯახში?	მარნეული
დაახლოებით ერთსა და იმავე რაოდენობის თანხას გამოვიმუშავებთ	6.4%
მხოლოდ მე გამოვიმუშავებ	5.8%
მხოლოდ ის გამოიმუშავებს	55.1%
მე მეტს გამოვიმუშავებ	5.1%
ის მეტს გამოიმუშავებს	1.9%
უარი პასუხზე	0.6%
არცერთი გამოვიმუშავებთ	19.2%
მიჭირს პასუხის გაცემა	5.8%

ეროვნული უმცირესობების ქალთა შორის 51.7% ეკონომიკურად დამოკიდებულია საკუთარ მეუღლეზე/პარტნიორზე, ხოლო 15.2% ამბობს, რომ სრულიად დამოუკიდებელია **(იხ. ცხრილი №28).**

ცხრილი №28

ხართ თუ არა მატერიალურად დამოკიდებული თქვენს მეუღლეზე/პარტნიორზე?	
სრულიად დამოკიდებული ვარ	51.7%
მეტ–ნაკლებად დამოკიდებული ვარ	9%
მეტ–ნაკლებად დამოუკიდებელი ვარ	10.3%
სრულიად დამოუკიდებელი ვარ	15.2%
უარი პასუხზე	3.4%
მიჭირს პასუხის გაცემა	10.3%

ეროვნული უმცირესობების ქალთაგან 98.7% არ აპირებს ქორწინების შეწყვეტას **(იხ. ცხრილი №29).**

ცხრილი №29

აპირებთ თუ არა თქვენი ერთობლივი ცხოვრების/ქორწინების შეწყვეტას უახლოეს მომავალში?	
არა	98.7%
ვფიქრობდი ამაზე, მაგრამ კონკრეტული გადაწყვეტილება არ მიმიღია	0.6%
დიახ, მსურს ერთობლივი ცხოვრების შეწყვეტა	–
მიჭირს პასუხის გაცემა	0.6%

ევროკავშირის 28 ქვეყანასთან შედარებით, სადაც განქორწინების მონაცემები იზრდება (Zaviršek 2012) ძალიან მცირე რაოდენობის ქალები ფიქრობენ ქორწინების/თანაცხოვრების შეწყვეტას, რაც აჩვენებს, რომ განქორწინება/თანაცხოვრების შეწყვეტა ქალებისთვის გამოსავალი არ არის. ისინი ფიქრობენ, რომ ეს უკანასკნელი არა მხოლოდ ქორწინებას წყვეტს, არამედ ასუსტებს სოციალურ სტატუსს, ბავშვებს, შემოსავალსა და საცხოვრებელ პირობებს.

ოჯახური ურთიერთობების საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია საზოგადოებაში, რომელსაც ახასიათებს გენდერის ნორმატიული და ტრადიციული პოლარიზაცია. ამის გადასალახად და ნორმატიული პასუხებისათვის თავის ასარიდებლად საჭიროა კვლების თვისებრივი მეთოდოლოგია.

შეჯამება

დაოჯახებულ ქალთა რიცხვი ეროვნული უმცირესობების ქალებს შორის 90.5%–ია. ამ სამიზნე ჯგუფში ქალები 16–19 წლის ასაკში ქორწინდებიან. 11% ამბობს, რომ ოჯახი შექმნა 16 წლის ასაკში.

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული უმცირესობების ქალები ხშირად გამოცდიან ძალადობას მეუღლის/პარტნიორის მხრიდან, ისინი თანაცხოვრებას პოზიტიურად აფასებენ. 1.7% ამბობს, რომ მათი თანაცხოვრება არის ძალიან ცუდი, ხოლო 67% ამბობს, რომ თანაცხოვრება კარგი ან ძალიან კარგია.

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ქალებს შორის მხოლოდ გამოკითხულთა მეუღლეები გამოიმუშავებენ თანხას (55.1%). თითქმის 20% ამბობს, რომ არ აქვთ შემოსავალი, რაც ხაზს უსვამს უმუშევრობას.

ეროვნული უმცირესობების ქალთა შორის 51.7% ეკონომიკურად დამოკიდებულია საკუთარ მეუღლეზე/პარტნიორზე, ხოლო 15.2% ამბობს, რომ სრულიად დამოუკიდებელია.

ეროვნული უმცირესობების ქალთაგან 98.7% არ აპირებს ქორწინების შეწყვეტას.

V. უძრავი ქონების პრივატიზაცია

პრივატიზაციის საკითხები მხოლოდ იძულებით გადაადგილებული ქალთათვის იყო გათვალისწინებული, რომელთაგან 500 რესპონდენტი გამოიკითხა 5 ქალაქში – თბილისში, ქუთაისში, ზუგდიდში, გორსა და რუსთავში. იძულებით გადაადგილებულ პირებს ხშირად არ შეუძლიათ იმ უძრავი ქონების დასაკუთრება, რომელშიც ისინი ცხოვრობენ.

კითხვარი ეხებოდა გენდერულ განაწილებას პრივატიზაციის და საკუთრების სფეროში. ერთ–ერთი საკითხი მოიცავდა იმას, იყვნენ თუ არა პრივატიზაციის პროცესში დარეგისტრირებულნი როგორც მესაკუთრეები ან თანამესაკუთრეები. მათგან უმრავლესობა, ვინც მესაკუთრე ან თანამესაკუთრეა, არიან რუსთავიდან (36.7%), ხოლო მესაკუთრეების ყველაზე ნაკლები რაოდენობა თავმოყრილია ზუგდიდში (5.5%) **(იხ. ცხრილი №30).**

ცხრილი №30

ბინების პრივატიზაციის პროცესში ხართ თუ არა დარეგისტრირებული, როგორც თანამესაკუთრე ან მესაკუთრე?	თბილისი	რუსთავი	ქუთაისი	ზუგდიდი	გორი	სულ
დიახ, ვარ მესაკუთრე	24.5%	36.7%	22%	5.5%	18.9%	21%
დიახ, ვარ თანამესაკუთრე	1.8%	8.9%	1%	3.6%	-	3%
არ ვარ არც მესაკუთრე, არც თანამესაკუთრე	48.2%	40%	33%	9.1%	58.9%	37%
არ მიმიმართავს პრივაციზაციის მოთხოვნით სახელმწიფოსთვის	-	-	1%	2.7%	2.2%	1.2%
ჩვენს დასახლებაში ბინებს არ ამტკიცებენ	18.2%	1.1%	35%	64.5%	-	25.4%
პრივატიზაციის საკითხი ჯერ არ გადაწყვეტილა	2.7%	1.1%	-	0.9%	-	1%
ჯერ არ მომხდარა პრივატიზაცია	1.8%	6.7%	8%	-	20%	6.8%
არ ცხოვრობს საკუთარ ბინაში/ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს	0.9%	4.4%	-	12.8%	-	3.8%
უარი პასუხზე	1.8%	-	-	0.9%	-	0.6%
მიჭირს პასუხის გაცემა	-	1.1%	-	-	-	0.2%

იძულებით გადაადგილებული ქალები უმცირესობას წარმოადგენენ საკუთრების საკითხებში. საერთო შერჩევიდან მეოთხედი ქალებისა ფლობენ საკუთრებას (21%) და 3% არიან თანამესაკუთრეები. ეს უკანასკნელი მონაცემი ზრდის პროცენტულ მაჩვენებელს 24%–მდე. საერთო ჯამში 37% პასუხობს, რომ არც მესაკუთრეები და არც თანამესაკუთრეები არიან უძრავი

ქონების, რაც ნიშნავს, რომ ორ მესამედზე ნაკლები მესაკუთრეებისა კაცები არიან **(იხ. ცხრილი №31).**

ცხრილი №31

	მე ვარ მესაკუთრე	მე ვარ თანამესაკუთრე	არც მესაკუთრე ვარ და არც თანამესაკუთრე
იძულებით გადაადგილებული ქალები	21%	3%	37%
ანალიტიკური დაჯგუფება	24%		37%

ოთხ ქალაქში იძულებით გადაადგილებული ქალები შედარებით ხშირად არიან საკუთრების მფლობელები. ასეთი ქალაქებია რუსთავი (45.6%), თბილისი (26.3%), ქუთაისი (23%) და გორი (18.9%) **(იხ. ცხრილი №32).**

ცხრილი №32

	მე ვარ მესაკუთრე ან თანამესაკუთრე	არც მესაკუთრე ვარ და არც თანამესაკუთრე
რუსთავი	45.6%	45.1%
თბილისი	26.3%	48.2%
ქუთაისი	23%	33%
გორი	18.9%	58.9%
ზუგდიდი	9.1%	9.1%

საინტერესოა, რომ შედარებით დაბალი პროცენტული მაჩვენებელი იკვეთება ზუგდიდში (9.1%) და გორში (18.9), რომლებიც ავლენენ, რომ ქალი მესაკუთრეები/თანამესაკუთრეები აქ გამონაკლისები არიან. თუმცა ამ ორ ქალაქში განსხვავებულია კაცების მიერ საკუთრების ფლობა. გორში 58.9% ქალებისა პასუხობს, რომ არ არიან მესაკუთრეები, რაც ნიშნავს, რომ კაცები არიან მესაკუთრეები, ხოლო ზუგდიდში იძულებით გადაადგილებულ პირებს არ აქვთ ქონების დასაკუთრების უფლება და ამიტომ გვაქვს 9.1% იმ ქალებისა, ვინც ქონების მესაკუთრე/თანამესაკუთრეა. ზუგდიდში 64.5% აღნიშნავს, რომ ქონების დაკანონება შეუძლებელია.

ზოგიერთ დასახლებაში კი ქონების დასაკუთერება შეუძლებელია, ან პრივატიზაცია ჯერ გადაწყვეტილი არ არის, ან ქონება ჯერ დაუსაკუთრებელია. ცხრილი №33 გვიჩვენებს, რომ ქუთაისსა და ზუგდიდს ამ მხრივ ყველაზე მეტი პრობლემები აქვთ. გორში კი რესპონდენტები პრივატიზაციას ჯერ კიდევ ელოდებიან (20%) **(იხ. ცხრილი №33).**

ცხრილი №33

	დასახლებაში ბინებს არ ამტკიცებენ	ეს საკითხი არ გადაწყვეტილა	ჯერ არ მომხდარა
თბილისი	18.2%	2.7%	1.8%
რუსთავი	1.1%	1.1%	6.7%
ქუთაისი	35%	-	8%
ზუგდიდი	64.5%	0.9%	-
გორი	-	-	20%

კითხვარი მოიცავდა ინფორმაციას იმის შესახებ, თუ ვინ ფლობს ქონებას და პასუხები გვიჩვენებს გენდერულად უთანასწორო საზოგადოებას. ქალების იმ შემთხვევაში ფლობენ ქონებას, თუ ისინი მშობლები არიან **(იხ. ცხრილი №34).**

ცხრილი №34

ოჯახის რომელი წევრია ქონების მესაკუთრე? (მდედრობითი სქესის წარმომადგენელი)	თბილისი	რუსთავი	ქუთაისი	ზუგდიდი	გორი
მშობელი	37.5%	30%	16,7%	-	-
შვილი	12.5%	40%	50%	-	33.3%
დედმამიშვილი	12.5%	10%	-	-	-
შვილიშვილი	-	-	-	-	33.3%
ჯერ არ არის პრივატიზებული	-	10%	-	-	-
ბებია	-	-	16,7%	-	-
დედამთილი	-	10%	-	-	-
დეიდა	12.5%	-	-	-	-
უარი პასუხზე	12.5%	-	-	66.7%	-
მიჭირს პასუხის გაცემა	12.5%	-	-	33.3%	33.3%

ქალ მფლობელებს შორის ყველაზე მეტნი იყვნენ მშობლები (30%), შვილები (27.3%) და დედმამიშვილები (6.1%) და მათი რიცხვი გაცილებით ნაკლებია კაცების მიერ ქონების საკუთრებასთან შედარებით. საინტერესოა, რომ ზუგდიდსა და გორში ადამიანები ხშირად უარს ამბობდნენ ამ კითხვაზე პასუხზე ან ამბობდნენ, რომ უჭირდათ პასუხის გაცემა. ზუგდიდში ამ შეკითხვას არავინ უპასუხა და მესამედმა აღნიშნა, რომ უჭირდათ პასუხის გაცემა (მსგავსი მონაცემებია გორშიც). ეს მონაცემები კორელაციაშია კაცის მიერ ქონების საკუთრების ხარისხთან. კაცებს შორის მონაცემები გაცილებით მაღალია. ყველაზე ხშირად ქონებას ფლობენ მეუღლეები (77%), მამაკაცი მშობლები (7.9%) და შვილები (9.2%) **(იხ. ცხრილი №35).**

ცხრილი №35

ოჯახის რომელი წევრია ქონების მესაკუთრე? (მამრობითი სქესის წარმომადგენელი)	თბილისი	რუსთავი	ქუთაისი	ზუგდიდი	გორი	სულ
მეუღლე	71.1%	73.1%	74.1%	71.4%	85.2%	77%
მშობელი	4.4%	11.5%	-	28.6%	11.1%	7.9%
შვილი	6.7%	15.4%	22.2%	-	3.7%	9.2%
დედმამიშვილი	2.2%	-	3.7%	-	-	1.3%
შვილიშვილი	2.2%	-	-	-	-	0.7%
ბაბუა	2.2%	-	-	-	-	0.7%
მამამთილი	8.9%	-	-	-	-	2.6%

ზოგიერთ ქალაქში მეუღლეების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც ქონების მესაკუთრეები არიან, უფრო მაღალია, მაგალითად, გორში. ეს პასუხები ცხადყოფს, რომ ქონების ფლობა გენდერის მიხედვით უფრო ნაკლებად თანასწორია, ვიდრე ეს ოჯახურ ურთიერთობებში ვლინდება.

იძულებით გადაადგილებულ ქალები, რომლებიც ბინის თანამესაკუთრეები არიან, საკუთრებას იყოფენ შვილებთან (45.5%), მეუღლესთან (27.3%), მშობელთან (15.2%), შვილიშვინთან (6.1%) ან დედმამიშვილთან (3%).

ქალთა უმრავლესობა უძრავი ქონების საკუთრებას იყოფს ერთ ადამიანთან (96.9%), ხოლო ზოგიერთი – ორ ადამიანთან (3.1%). თანამესაკუთრეების სქესის განაწილება თითქმის თანაბარია, თუმცა მამრობითი სქესის წარმომადგენლები ოდნავ მეტნი არიან (56.3%), ვიდრე ქალები (43.8%).

ორ მესამედზე მეტმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ოჯახის ქონება თანაბრადაა განაწილებული ქალებსა და სხვა თანამესაკუთრეებს შორის (78.9%). 21.1%–ს გაუჭირდა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. მნიშვნელოვანი იქნებოდა გაგვეგო, თუ კონკრეტულად რა გაუჭირდათ რესპონდენტებს, მით უფრო, რომ თბილისში, მაგალითად, მხოლოდ მესამედი ფიქრობს, რომ ოჯახის ქონება თანაბრადაა განაწილებული თანამესაკუთრეებს შორის, როცა 66.7%–ს უჭირს პასუხის გაცემა **(იხ. ცხრილი №36).**

ცხრილი №36

არის თუ არა ქონება თანაბრად განაწილებული თქვენსა და სხვა თანამესაკუთრეებს შორის?	**თბილისი**	**რუსთავი**	**ქუთაისი**	**ზუგდიდი**	**გორი**	**სულ**
დიახ, თანაბრადაა განაწილებული	33.3%	77.8%	100%	100%	100%	78.9%
მიღირს პასუხის გაცემა	66.7%	22.2%	-	-	-	21.1%

ქალებს ასევე უნდა გაეცათ პასუხი კითხვაზე, თუ რამდენად ეთანხმებოდნენ ქონების ამგვარ განაწილებას. 93.6%–მა აღნიშნა, რომ ეთანხმება, მხოლოდ 1.3% დააფიქსირა უკმაყოფილება საკუთრების განაწილების შესახებ, ხოლო 4.8%–ს გაუჭირდა პასუხის გაცემა. ასეთი ჰომოგენური პასუხების ფონზე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გორში 5.6%, ზუგდიდში 4.8%, ხოლო რუსთავში 1.2% არ ეთანხმება ქონების ამგვარ გადანაწილებას. მნიშვნელოვანია ისიც, თუ რას გულისხმობენ რესპონდენტები, როდესაც ამბობენ, რომ „უჭირთ პასუხის გაცემა“, რადგან ეს შეიძლება ინტერპრეტირდეს, როგორც წინააღმდეგობის, ეჭვის ან თავისუფლების ძიების ფორმა **(იხ. ცხრილი №37).**

ცხრილი №37

იყავით თუ არა თანახმა ქონების ამგვარ განაწილებაზე?	თბილისი	რუსთავი	ქუთაისი	ზუგდიდი	გორი	სულ
დიახ, ვიყავი	92.8%	92.7%	100%	95.2%	90.1%	93.6%
არ ვიყავი	-	1.2%	-	4.8%	2.8%	1.3%
უარი პასუხზე	-	1.2%	-	-	-	0.3%
მიჭირს პასუხის გაცემა	7.2%	4.9%	-	-	7.0%	4.8%

კითხვარი მოიცავდა კითხვას იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად შეთანხმებულნი იყვნენ ოჯახის წევრები ქონების ამგვარ განაწილებაზე და ქალების 91.1% პოზიტიურად პასუხობს. მხოლოდ 4.8%–მა ზუგდიდში თქვა, რომ ქონების ამგვარ განაწილებას ოჯახის სხვა წევრები არ ეთანხმებიან. საერთო შერჩევისთვის 1.3%–მა უპასუხა, რომ ოჯახის წევრები არ ეთანხმებიან ქონების ამგვარ განაწილებას, 1.3%–მა უარი თქვა პასუხზე და 6.4%–ს გაუჭირდა პასუხის გაცემა **(იხ. ცხრილი №38).**

ცხრილი №38

იყვნენ თუ არა ოჯახის სხვა წევრები თანახმანი ქონების ამგვარ განაწილებაზე?	თბილისი	რუსთავი	ქუთაისი	ზუგდიდი	გორი	სულ
დიახ, იყვნენ	90.4%	85.4%	100%	95.2%	90.1%	91.1%
არ ყოფილან	1.2%	1.2%	-	4.8%	1.4%	1.3%
უარი პასუხზე	1.2%	3.7%	-	-	-	1.3%
მიჭირს პასუხის გაცემა	7.2%	9.8%	-	-	8.5%	6.4%

ყველა კითხვას, რომელიც უძრავ ქონებასა და საკუთრებას ეხებოდა, ქუთასში მცხოვრებმა ქალებმა 100% ნორმატიულად პოზიტიური პასუხები გასცეს. ეს შეიძლება იყოს ქალთა ინდივიდუალური სიტუაციის ბრალი. მათ შეიძლება ჰქონდეთ პრივატულობის ნაკლებობა, სხვაგვარი პასუხების გაცემის შიში, დანაშაულის, სირცხვილის გრძნობა ან განიცდიდნენ ძალადობას.

შეჯამება

კითხვარი ეხებოდა გენდერულ განაწილებას პრივატიზაციის და საკუთრების სფეროში. ერთ–ერთი საკითხი მოიცავდა იმას, იყვნენ თუ არა პრივატიზაციის პროცესში დარეგისტრირებულნი როგორც მესაკუთრეები ან თანამესაკუთრეები. მათგან უმრავლესობა, ვინც მესაკუთრე ან თანამესაკუთრეა, არიან რუსთავიდან (36.7%), ხოლო მესაკუთრეების ყველაზე ნაკლები რაოდენობა თავმოყრილია ზუგდიდში (5.5%).

იძულებით გადაადგილებული ქალები უმცირესობას წარმოადგენენ საკუთრების საკითხებში. საერთო შერჩევიდან მეოთხედი ქალებისა ფლობენ საკუთრებას (21%) და 3% არიან თანამესაკუთრეები. ეს უკანასკნელი მონაცემი ზრდის პროცენტულ მაჩვენებელს 24%–მდე. საერთო ჯამში 37% პასუხობს, რომ არც მესაკუთრეები და არც თანამესაკუთრეები არიან უძრავი ქონების, რაც ნიშნავს, რომ ორ მესამედზე ნაკლები მესაკუთრეებისა კაცები არიან. ზუგდიდში 64.5% აღნიშნავს, რომ ქონების დაკანონება შეუძლებელია.

კითხვარი მოიცავდა ინფორმაციას იმის შესახებ, თუ ვინ ფლობს ქონებას და პასუხები გვიჩვენებს გენდერულად უთანასწორო საზოგადოებას. ქალების იმ შემტხვევაში ფლობენ ქონებას, თუ ისინი მშობლები არიან (30%). კაცებს შორის მონაცემები გაცილებით მაღალია. ყველაზე ხშირად ქონებას ფლობენ მეუღლეები (77%), მამაკაცი მშობლები (7.9%) და შვილები (9.2%).

ქალებს ასევე უნდა გაეცათ პასუხი კითხვაზე, თუ რამდენად ეთანხმებოდნენ ქონების ამგვარ განაწილებას. 93.6%–მა აღნიშნა, რომ ეთანხმება, მხოლოდ 1.3% დააფიქსირა უკმაყოფილება საკუთრების განაწილების შესახებ, ხოლო 4.8%–ს გაუჭირდა პასუხის გაცემა. ასეთი ჰომოგენური პასუხების ფონზე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გორში 5.6%, ზუგდიდში 4.8%, ხოლო რუსთავში 1.2% არ ეთანხმება ქონების ამგვარ გადანაწილებას.

კითხვარი მოიცავდა კითხვას იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად შეთანხმებულნი იყვნენ ოჯახის წევრები ქონების ამგვარ განაწილებაზე და ქალების 91.1% პოზიტიურად პასუხობს. მხოლოდ 4.8%–მა ზუგდიდში თქვა, რომ ქონების ამგვარ განაწილებას ოჯახის სხვა წევრები არ ეთანხმებიან. საერთო შერჩევისთვის 1.3%–მა უპასუხა, რომ ოჯახის წევრები არ ეთანხმებიან ქონების ამგვარ განაწილებას, 1.3%–მა უარი თქვა პასუხზე და 6.4%–ს გაუჭირდა პასუხის გაცემა.

VI. სამართლებრივი პრობლემები

ფოკუს ჯგუფების შედეგად სამართლებრივი პრობლემა ასე განისაზღვრა: სამართლებრივი პრობლემა ჩნდება მაშინ, როდესაც ადამიანს ექმნება დაბრკოლება კანონით მინიჭებული უფლებების რეალიზაციის პროცესში; იგულისხმება როგორც ქვეყნის შიდა კანონმდებლობით, ისე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ნორმებით უზრუნველყოფილი უფლებები.

6.1. იძულებით გადაადგილებული ქალები

ამ სამიზნე ჯგუფში სამართლებრივი პრობლემების მქონე ოჯახების ხვედრითი წილი 34.6%-ია (173 ოჯახი), ხოლო შემთხვევათა ხვედრითი წილი – 47% (234 შემთხვევა). ეს ნიშნავს, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახებიდან ყოველ მესამეს შექმნია სამართლებრივი პრობლემა.

იძულებით გადაადგილებული ოჯახების სამართლებრივი პრობლემები, ძირითადად, უკავშირდება უძრავი ქონების სფეროს (47.8%. შემთხვევათა 63.6%). ხშირია დოკუმენტების შეცვლასთან/მიღებასთან (10.4%, შემთხვევათა 13.9%), დანაშაულთან (7%, შემთხვევათა 9.2%), განათლებასთან (7%, შემთხვევათა 9.2%) დაკავშირებული და სხვა იურიდიული/სამართლებრივი (9.1%, შემთხვევათა 12.1%) პრობლემებიც **(იხ. დიაგრამა №20)**.

დიაგრამა №20



როგორც აღმოჩნდა, ყველაზე ნაკლები პრობლემა იძულებით გადაადგილებულ ოჯახებში მიგრაციაა. იშვიათად დასახელდა ოჯახთან და ძალადობასთან დაკავშირებული პრობლემებიც. უფრო კონკრეტულად, „რეიტინგულ“ სამართლებრივ პრობლემათა ჩამონათვალი ასეთია **(იხ. ცხრილი №39)**:

ცხრილი №39

სფერო	იძულებით გადაადგილებული პირები
უძრავი ქონებასთან დაკავშირებული	შემთხვევების წილი: **63.6%** • ბინის დაკანონებასთან დაკავშირებული პრობლემები (48.6%)
დოკუმენტების შეცვლასთან დაკავშირებული	შემთხვევების წილი: **13.9%** • პრობლემა საცხოვრებელი ადგილისთვის მისამართის შეცვლა/დადგენის პროცესში (2.9%) • პრობლემა სტაჟის აღდგენის პროცესში (2.9%) • სამოქალაქო რეესტრში რეგისტრაციასთან დაკავშირებით (2.9%)
სხვა სამართლებრივი პრობლემები	შემთხვევების წილი: **12.1**% • ელექტროენერგიის გადასახადის შეღავათზე უარი (2.9%) • არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარების ვერმიღება (1.7%) • სოციალური დახმარების უკანონოდ მოხსნა (1.7%) • საცხოვრებელი ფართის დროებით სარგებლობაზე უარი (1.7%) • მარტოხელა დედობის დახმარების მოხსნა (1.2%)
განათლებასთან დაკავშირებული	შემთხვევების წილი: **9.2%** • არ დაუფინანსეს განათლება (2.9%) • ოჯახის შექმნის გამო ვერ მიიღო საჭირო განათლება (2.3%)
დანაშაულთან დაკავშირებული	შემთხვევების წილი: **9.2%** • ნივთების ქურდობა ეზოში, ქუჩაში და სხვა (4.6%) • ბინის ძარცვა (2.3%)
სამსახურთან დაკავშირებული	შემთხვევების წილი: **6.9%** • სამსახურიდან უსაფუძვლოდ გათავისუფლება (4.0%)
დისკრიმინაციასთან დაკავშირებული	შემთხვევების წილი: **6.4%** • დისკრიმინაცია იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის გამო (4.6%)
საჯარო პირების მხრიდან არასამართლიან მოპყრობასთან დაკავშირებული	შემთხვევების წილი: **4%** • არასწორად დარიცხული კომუნალური გადასახადები (1.7%) • საჯარო პირ(ებ)ის მხრიდან საჯარო ინფორმაციის დამალვა (1.7%)
ძალადობასთან დაკავშირებული	შემთხვევების წილი: **3.5**% • მორალური/ფსიქოლოგიური ძალადობა მეუღლის მხრიდან (2.9%) • ძალადობა (ფიზიკური, მორალური/ ფსიქოლოგიური, სექსუალური ან ეკონომიკური) სხვათა მხრიდან (2%)
ოჯახთან დაკავშირებული	შემთხვევების წილი: **2.9**% • ბავშვ(ებ)ის ალიმენტთან დაკავშირებული პრობლემები (2.3%) • ბავშვ(ებ)ის მეურვეობასთან (ბავშვზე უფლების მოპოვებასთან) დაკავშირებული პრობლემები (0.6%)
მიგრაციასთან დაკავშირებული	შემთხვევების წილი: **1.2%** • განხორციელდა უკანონო დეპორტაცია (0.6%) • საზღვრის გადაკვეთის გამო შეუწყდა დევნილის შემწეობა (0.6%)

განვიხილოთ თითოეული სამართლებრივი პრობლემა დეტალურად. უძრავ ქონებასთან დაკავშირებული სამართლებრივიპრობლემები იძულებით გადაადგილებულ ოჯახებს ყველაზე ხშირად ექმნებათ. ასეთი პრობლემებიდან ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი კი ბინის დაკანონებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე მოდის. ეს პრობლემა რესპონდენტთა 48.6%–ს შექმნია. გამოკითხულთაგან არცერთი ასახელებს ისეთ პრობლემას, რომელიც კავშირში იქნებოდა საკუთრების უკანონოდ სხვების მიერ მითვისებასთან (**იხ. დიაგრამა №21**). უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ პრობლემებს ყველაზე მეტად 65 და მეტი წლის რესპონდენტები ასახელებენ. ოჯახური მდგომარეობის მხრივ ეს პრობლემა ყველაზე მეტად ქვრივების და მარტოხელა დედების მხრიდან სახელდება. შესაბამისად, ამ პრობლემის მქონეთა დიდი ნაწილი პენსიონერი, უმუშევარი ან დიასახლისია.

დიაგრამა №21



უძრავ ქონებასთან დაკავშირებული პრობლემების შემდეგ ყველაზე ხშირად იძულებით გადაადგილებულ ოჯახებს დოკუმენტების შეცვლასთან დაკავშირებულ პრობლემები ექმნებათ. ამ სფეროსთან დაკავშირებული პრობლემებიდან კიყველაზე მაღალი ხვედრითი წილი საცხოვრებელი ადგილისთვის მისამართის შეცვლა/დადგენის (2.9%), სტაჟის აღდგენის (2.9%) და სამოქალაქო რეესტრში რეგისტრაციასთან დაკავშირებულ (2.9%) პრობლემებზე მოდის (**იხ. დიაგრამა №22**). ასეთი პრობლემები უფრო მეტად შიდა ქართლიდან დევნილებს ექმნებათ.

ასაკის მიხედვით ამ პრობლემაზე ყველაზე ხშირად მიუთითებენ 55–64 წლის რესპონდენტები, ოჯახური მდგომარეობის მიხედვით – ქვრივები და დაუოჯახებლები.

დიაგრამა №22



შემდეგია სხვა სამართლებრივი პრობლემები, რომელთაგან ყველაზე ხშირი იძულებით გადაადგილებული ქალებისთვის ელექტროენერგიის გადასახადის შეღავათზე უარია (**იხ. დიაგრამა №23**).

დიაგრამა №23



აღნიშნული სამი სფეროს შემდეგ იძულებით გადაადგილებული ოჯახებისთვის ყველაზე ხშირი დანაშაულთან დაკავშირებულ პრობლემებია. აქედან ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი აქვს ნივთების ქურდობას (4.6%) და ბინის ძარცვას (2.3%) **(იხ. დიაგრამა №24)**.

დიაგრამა №24



შემდეგია განათლებასთან დაკავშირებულ პრობლემები, რომელთაგან ყველაზე ხშირია განათლების დაფინანსებაზე უარის თქმა (2.9%) და ოჯახის შექმნის გამო საშუალო/უმაღლესი განათლების ვერმიღება (2.3%). გამოკითხულთაგან არცერთი ასახელებს ისეთ პრობლემას, რომელიც კავშირში იქნებოდა განათლების მიღების პრობლემასთან (მაგ. განსაკუთრებული საჭიროების პირთათვის) **(იხ. დიაგრამა №25)**.

დიაგრამა №25



6.9%–ს შექმნია სამსახურთან დაკავშირებული პრობლემები. ამ სფეროდან ყველაზე ხშირია სამსახურიდან უსაფუძვლოდ გათავისუფლება (**იხ. დიაგრამა №26**).

დიაგრამა №26



დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ პრობლემათაგან ყველაზე ხშირია დისკრიმინაცია იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის გამო. იძულებით გადაადგილებულ ქალებს საერთოდ არ განუცდიათ დისკრიმინაცია სქესის ნიშნით ან ასაკობრივი ნიშნით (**იხ. დიაგრამა №27**).

დიაგრამა №27



საჯარო პირების მხრიდან არასამართლიანი მოპყრობაზე კი შემთხვევათა 4% მოდის. ამ სფეროდან ყველაზე ხშირად იძულებით გადაადგილებული ქალები ასახელებენ საჯარო პირების მხრიდან საჯარო ინფორმაციის დამალვას და არასწორად დარიცხულ კომუნალურ გადასახადებს (**იხ. დიაგრამა №28**).

დიაგრამა №28



ძალადობასთან დაკავშირებულ პრობლემებს იძულებით გადაადგილებული ქალები საკმაოდ იშვიათად ასახელებენ. ისინი მხოლოდ მეუღლის მხრიდან მორალურ/ფსიქოლოგიურ ძალადობაზე და სხვათა მხრიდან ძალადობაზე(მორალური/ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ან ფიზიკური) მიუთითებენ. დანარჩენი პასუხები საერთოდ არ ფიქსირდება ან არ კვალიფიცირდება რესპონდენტთა მიერ, როგორც ძალადობა **(იხ. დიაგრამა №29)**.

დიაგრამა №29



მსგავსი სიტუაციაა ოჯახთან დაკავშირებულ სამართლებრივ პრობლემებზეც. რესპონდენტები არ ასახელებენ არც განქორწინების მიმდინარეობასთან დაკავშირებულ ქონებრივ დავას, არც ქონებრივ პრობლემას ოჯახის სხვა წევრებთან და არც მემკვიდრეობის შემთხვევაში პრობლემებს **(იხ. დიაგრამა №30)**.

დიაგრამა №30



მიგრაციასთან დაკავშირებული პრობლემები იძულებით გადაადგილებულ პირებში თითქმის არ ფიქსირდება. გამოიკვეთა სულ რამდენიმე პრობლემა, რაც მიუთითებს, რომ ამ სამიზნე ჯგუფში აღნიშნული პრობლემა უმნიშვნელოა (**იხ. დიაგრამა №31**).

დიაგრამა №31



შეჯამება

იძულებით გადაადგილებულ პირებში სამართლებრივი პრობლემების მქონე ოჯახების ხვედრითი წილი 34.6%-ია (173 ოჯახი), ხოლო შემთხვევათა ხვედრითი წილი – 47% (234 შემთხვევა). ეს ნიშნავს, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახებიდან ყოველ მესამეს შექმნია სამართლებრივი პრობლემა. იძულებით გადაადგილებული ოჯახების სამართლებრივი პრობლემები, ძირითადად, უკავშირდება უძრავი ქონების სფეროს. ასეთი პრობლემებიდან ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი ბინის დაკანონებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე მოდის. ხშირია დოკუმენტების შეცვლასთან/მიღებასთან დაკავშირებული პრობლემებიც, რომელთაგან ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი საცხოვრებელი ადგილისთვის მისამართის შეცვლა/დადგენის, სტაჟის აღდგენის და სამოქალაქო რეესტრში რეგისტრაციასთან დაკავშირებულ პრობლემებზე მოდის. სხვა სამართლებრივი პრობლემებიდან (რომლებიც თავად რესპონდენტებს უნდა დაესახელებინათ) ყველაზე ხშირია იძულებით გადაადგილებული ქალებისთვის ელექტროენერგიის გადასახადის შეღავათზე უარის თქმა. შეიძლება ითქვას, რომ ეს პრობლემები სპეციფიკურად ამ სამიზნე ჯგუფს ახასიათებს, რადგან კავშირშია უშუალოდ იძულებით გადაადგილებულ პირთა სტატუსთან. აღნიშნულ პრობლემათაგან ყველა დამოკიდებულია სახელმწიფო სტრუქტურების ჩართულობასა და სახელმწიფოს როლზე. მიზეზი, შესაძლოა, იყოს ზედმეტად ბიუროკრატიული პროცედურები სახელმწიფოს მხრიდან, სახელმწიფო მოხელეები, გრძელი პროცედურები სწრაფი, მოქნილი პროცედურების ნაცვლად და ეკონომიკური მოწყვლადობა იძულებით გადაადგილებული ოჯახებისა.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ მიგრაციასთან დაკავშირებული პრობლემები ამ ჯგუფში უმნიშვნელოა. მონაცემებიდან იკვეთება კიდევ ერთი საინტერესო ტენდენცია – ძალადობასთან დაკავშირებულ პრობლემებზე იძულებით გადაადგილებული ქალები იშვიათად საუბრობენ. არ განიხილავენ დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ და ოჯახურ პრობლემებსაც. მსგავსია დამოკიდებულება მემკვიდრეობის განაწილების მიმართაც. შესაძლოა, ეს საკითხები მართლაც არ დგას დღის წესრიგში, თუმცა ასევე შესაძლებელია, რომ რესპონდენტები ან არ საუბრობდნენ ამ თემებზე, ან არ განიხილავდნენ მათ სამართლებრივი პრობლემების ჭრილში. აღნიშნული მონაცემები ხაზს უსვამენ იმ ფაქტორს, რომ ძალადობა ქალების მიმართ მიიჩნევა, როგორც „ოჯახური პრობლემა“ და როგორც ინდივიდუალური საკითხი თითოეული მამაკაცისთვის, ოჯახისთვის თუ ქალისთვის. ძალადობა არ არის მიჩნეული, როგორც გენდერული უთანასწორობის, ქალების სუბორდინაციისა და ისტორიული პატრიარქატის ნაწილი (Conell, Messerschmidt 2005; Gillis, Diamond, Jebely, Orekhovsky, Ostovich, Maclsaac, Sagrati, Mandell 2006; Johnson 2008; Edwards 2011).

ქალები ავლენენ მსგავს დამოკიდებულებას საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებითაც. ფაქტი, რომ ისინი არ არიან ოჯახური საკუთრების მესაკუთრეები, არ აღიქმება, როგორც პრობლემა და არ განიხილება, როგორც გენდერული წესრიგის ნაწილი. შესაძლოა, ეს საკითხები ნაკლებად პრობლემურია რესპონდენტებისთვის ან ისინი არ საუბრობენ ამ პრობლემებზე ან არ მიიჩნევენ მათ სამართლებრივ პრობლემებად. კიდევ ერთი მიზეზი ამისა არის ის, რომ ქალთა უმრავლესობას არ აქვთ განათლება და გენდერულ უთანასწორობას აღიქვამენ, როგორც ობიექტურ მოცემულობას.

6.2. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ქალები

ეროვნულ უმცირესობებში სამართლებრივი პრობლემების მქონე ოჯახების ხვედრითი წილი 49%-ია (98 ოჯახი), ხოლო შემთხვევებისა – 101% (202 შემთხვევა), ეს ნიშნავს, რომ ეროვნული უმცირესობების ოჯახებიდან ნახევარს შექმნია სამართლებრივი პრობლემა, ხოლო ამ ოჯახებში საშუალოდ ორი შემთხვევა ფიქსირდება.

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებში სამართლებრივ პრობლემათა არეალიმრავალფეროვანია და უკავშირდება საჯარო პირების მხრიდან არასამართლიან მოპყრობას (33.2%, შემთხვევათა 68.4%), ძალადობას (18.8%, შემთხვევათა 38.8%), უძრავ ქონებას (11.9%, შემთხვევათა 24.5%), დანაშაულს (8.9%, შემთხვევათა 18.4%), დიკრიმინაციას (8.4%, შემთხვევათა 17.3%), განათლებას (8.4%, შემთხვევათა 17.3%) და დოკუმენტების შეცვლას/მიღებას (7.4, შემთხვევათა 15.3%) **(იხ. დიაგრამა №32)**.

დიაგრამა №32



მიგრაციასთან დაკავშირებული და სხვა სამართლებრივი პრობლემები გამოკითხულ ეროვნული უმცირესობების ქალებს არ დაუსახელებიათ. უფრო კონკრეტულად, „რეიტინგულ“ სამართლებრივ პრობლემათა ჩამონათვალი ასეთია **(იხ. ცხრილი №19)**:

ცხრილი№40

სფერო	ეთნიკური უმცირესობები
საჯარო პირების მხრიდან არასამართლიან მოპყრობასთან დაკავშირებული	შემთხვევების წილი: **68.4%** • არასწორად დარიცხული კომუნალური გადასახადები (53.1%) • საჯარო პირ(ებ)ის მხრიდან საჯარო ინფორმაციის დამალვა (12.2%)
ძალადობასთან დაკავშირებული	შემთხვევების წილი: **38.8**% • მორალური/ფსიქოლოგიური ძალადობა მეუღლის მხრიდან (15.3%) • ფიზიკური ძალადობა მეუღლის მხრიდან (8.2%) • საგანმანათლებლო დაწესებულებაში თანატოლების მხრიდან ძალადობა (7.1%) • ეკონომიკური ძალადობა მეუღლის მხრიდან (4.1%)
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული	შემთხვევების წილი: **24.5%** • მიწის საზღვრებთან დაკავშირებული პრობლემები (6.1%) • საკუთრების უკანონოდ სხვები მიერ მითვისება (5.1%) • ბინის დაკანონებასთან დაკავშირებული პრობლემები (5.1%)
დანაშაულთან დაკავშირებული	შემთხვევების წილი: **18.4%** • ბინის ძარცვა (7.1%) • შინაური ცხოველების ქურდობა (6.1%) • ფულის ქურდობა/გამოძალვა ქუჩაში, ავტობუსში (3.1%)
განათლებასთან დაკავშირებული	შემთხვევების წილი: **17.3%** • ოჯახის შექმნის გამო ვერ მიიღო საჭირო განათლება (12.2%) • პედაგოგების მხრიდან არაადეკვატური შეფასება (4.1%)
დისკრიმინაციასთან დაკავშირებული	შემთხვევების წილი: **17.3%** • დისკრიმინაცია ეთნიკური ნიშნით (14.3%)
დოკუმენტების შეცვლასთან დაკავშირებული	შემთხვევების წილი: **15.3%** • პრობლემა პასპორტის (პირადობის მოწმობის) აღების პროცესში (9.2%) • პრობლემა საცხოვრებელ ადგილზე რეგისტრაციისას (3.1%) • პრობლემა საცხოვრებელი ადგილისათვის მისამართის შეცვლა/დადგენის პროცესში (3.1%)
სამსახურთან დაკავშირებული	შემთხვევების წილი: **5.1%** • სამსახურში ძალადობა (2.0%)
ოჯახთან დაკავშირებული	შემთხვევების წილი: **1%** • ბავშვ(ებ)ის ალიმენტთან დაკავშირებული პრობლემები (1%)
მიგრაციასთან დაკავშირებული	შემთხვევების წილი: –
სხვა სამართლებრივი პრობლემები	შემთხვევების წილი: –

განვიხილოთ თითოეული პრობლემა დეტალურად. ყველაზე ხშირად ეროვნული უმცირესობების ქალები საჯარო პირების მხრიდან არასამართლიან მოპყრობას უჩივიან. აქედან ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი არასწორად დარიცხულ კომუნალურ გადასახადებზე მოდის. ეს პრობლემა რესპონდენტთა 53.1%–ს შექმნია. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები მიუთითებენ საჯარო პირების მხრიდან საჯარო ინფორმაციის დამალვის პრობლემაზეც (12.2%).

გამოკითხულთაგან არცერთი ასახელებს ისეთ პრობლემას, როგორიცაა საჯარო პირების მხრიდან შეურაცხყოფა **(იხ. დიაგრამა №33)**.

დიაგრამა №33



სიხშირის მიხედვით მეორე ადგილი ძალადობასთან დაკავშირებულ სამართლებრივ პრობლემებს უჭირავს. ეს ნიშნავს, რომ გამოკითხულ ქალთა მესამედზე მეტი მიუთითებს ძალადობის პრობლემებზე. აქედან კი ყველაზე ხშირად დასახელდა მორალური/ფსიქოლოგიური ძალადობა მეუღლის მხრიდან (15.3%), ფიზიკური ძალადობა მეუღლის მხრიდან (8.2%) და საგანმანათლებლო დაწესებულებაში თანატოლების მხრიდან ძალადობა (7.1%) **(იხ. დიაგრამა №34)**.

დიაგრამა №34



უძრავ ქონებასთან დაკავშირებული პრობლემებიდან ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ქალები ყველაზე მეტად მიწის (ქონების) საზღვრებთან დაკავშირებულ დავებს (6.1%), საკუთრების უკანონოდ სხვების მიერ მითვისებას (5.1%), ბინის დაკანონებასთან დაკავშირებულ პრობლმებს (5.1%) და საცხოვრებელ ადგილზე რეგისტრაციაზე უარის თქმას (4.1%) ასახელებენ **(იხ. დიაგრამა №35)**.

დიაგრამა №35



შემთხვევების რაოდენობით მეოთხე ადგილზე დანაშაულთან დაკავშირებული პრობლემებია. ამათგან ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ქალებს ყველაზე ხშირად ბინის ძარცვა (7.1%) და შინაური ცხოველების ქურდობა (6.1%) აწუხებთ **(იხ. დიაგრამა №36)**.

დიაგრამა №36



დისკრიმინაციის პრობლემათაგან ყველაზე ხშირად მათ ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია განუცდიათ. იძულებით გადაადგილებულ ქალთა მსგავსად, ისინი არ ასახელებენ სქესის მიხედვით დისკრიმინაციას, როგორც სამართლებრივ პრობლემას **(იხ. დიაგრამა №37)**.

დიაგრამა №37



რესპონდენტები განათლებასთან დაკავშირებულ პრობლემებს შორის გამოყოფენ ოჯახის შექმნის გამო საჭირო საშუალო/უმაღლესი განათლების ვერმიღებას (12.2%) და პედაგოგების მხრიდან მოსწავლის/სტუდენტის არაადეკვატურ შეფასებას (4.1%) **(იხ. დიაგრამა №38)**.

დიაგრამა №38



დოკუმენტების შეცვლასთან დაკავშირებულ პრობლემებს შორის ყველაზე ხშირია პრობლემები პასპორტის (პირადობის მოწმობის) აღების პროცესში (9.2%) **(იხ. დიაგრამა №39)**.

დიაგრამა №39



სამსახურთან დაკავშირებული პრობლემების ხვედრითი წილი 5.1%–ა. აქედან ყველაზე მეტად რესპონდენტები სამსახურში ძალადობას (სიტყვიერი, ფსიქოლოგიური, ფიზიკური) განიცდიან **(იხ. დიაგრამა №40)**.

დიაგრამა №40



ოჯახთან დაკავშირებული პრობლემები გამოკითხულთა მხოლოდ 1%–ს ექმნება. ამ რაოდენობიდან ყველა შემთხვევა ბავშვების ალიმენტთან დაკავშირებულ პრობლემებს გულისხმობს. მიგრაციასთან დაკავშირებული პრობლემები ამ სამიზნე ჯგუფს არ შექმნია. ისინი არ ასახელებენ სხვა სამართლებრივ პრობლემებსაც.

შეჯამება

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ქალებში დიდი რაოდენობის სამართლებრივი პრობლემები გვხვდება. აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა ნახევარს შექმნია სამართლებრივი პრობლემა, ხოლო თითოეულ ოჯახში საშუალოდ ორი შემთხვევა ფიქსირდება (რაც მიუთითებს, რომ ასეთი პრობლემების რაოდენობა ამ სამიზნე ჯგუფში მეტია, ვიდრე იძულებით გადაადგილებულ ქალებში). გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებში სამართლებრივ პრობლემათა არეალი მრავალფეროვანია. პირველ რიგში, ამ სამიზნე ჯგუფში პრობლემატურია საჯარო პირების მხრიდან არასამართლიანი მოპყრობა (33.2%, შემთხვევათა 68.4%), რომელიც გამოკითხულთა სრულ უმრავლესობას განუცდია. აქედან ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი არასწორად დარიცხულ კომუნალურ გადასახადებზე მოდის, რომელიც რესპონდენტთა ნახევარმა დაასახელა.

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ქალთა სამართლებრივი პრობლემები, ძირითადად, დაკავშირებულია არასწორად დარიცხულ კომუნალურ გადასახადებთან, მეუღლის მხრიდან მორალურ/ფსიქოლოგიურ ძალადობასთან, ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციასთან, ოჯახის შექმნის გამო საჭირო საშუალო/უმაღლესი განათლების ვერ მიღებასთან, საჯარო პირების მხრიდან საჯარო ინფორმაციის დამალვასთან, პასპორტის/პირადობის მოწმობის აღების პროცესში პრობლემებთან და მეუღლის მხრიდან ფიზიკურ ძალადობასთან.

ეროვნული უმცირესობების ქალთათვის დამახასიათებელი სამართლებრივი პრობლემები კავშირშია არა მხოლოდ სახელმწიფოს პასიურ როლთან ამ რეგიონში (არასწორად დარიცხულ კომუნალურ გადასახადები – შექმნია რესპონდენტთა ნახევარს; საჯარო პირების მხრიდან საჯარო ინფორმაციის დამალვა – შექმნია რესპონდენტთა მეათედს; პასპორტის/პირადობის მოწმობის აღების პროცესში პრობლემები – შექმნია რესპონდენტთა თითქმის მეათედს), არამედ გენდერულ უთანასწორობასთან (მეუღლის მხრიდან მორალური/ფსიქოლოგიური ძალადობა – შექმნია რესპონდენტთა 15.3%–ს; ოჯახის შექმნის გამო საჭირო საშუალო/უმაღლესი განათლების ვერმიღება – შექმნია რესპონდენტთა მეათედზე მეტს; მეუღლის მხრიდან ფიზიკური ძალადობა – შექმნია რესპონდენტთა თითქმის მეათედს) და კულტურულ ატიტუდებთან (ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია – შექმნია რესპონდენტთა 14.3%–ს).

მონაცემებიდან იკვეთება კიდევ ერთი საინტერესო ტენდენცია – ძალადობასთან დაკავშირებულ პრობლემებზე ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები უფრო მეტად საუბრობენ, თუმცა დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ და ოჯახურ პრობლემებს ხშირად არ განიხილავენ. მსგავსია დამოკიდებულება მემკვიდრეობის განაწილების მიმართაც. შესაძლოა, ეს საკითხები მართლაც არ დგას დღის წესრიგში, თუმცა ასევე შესაძლებელია, რომ რესპონდენტები არ საუბრობენ ამ თემებზე, ან არ განიხილავენ მათ სამართლებრივი პრობლემების ჭრილში.

VII. სამართლებრივი პრობლემების დეტალური განხილვა

სამართლებრივი პრობლემების დასახელების შემდეგ რესპონდენტებს უნდა ჩამოეთვალათ, თუ რა გზებს მიმართეს პრობლემების გადასაჭრელად, მაგ. მიმართეს თუ არა პოლიციას, სასამართლოს, იურისტს და ა.შ.

7.1. იძულებით გადაადგილებული ქალები

როგორც აღმოჩნდა, სამართლებრივი პრობლემების მოგვარებას უფრო აქტიურად იძულებით გადაადგილებული ქალები ცდილობენ. მათგან, ვისაც შექმნია სამართლებრივი პრობლემა, ნახევარმა სახელმწიფო ინსტანციას მიმართა, ხოლო მეათედმა (მათგან, ვისაც სამართლებრივი პრობლემები შექმნიათ - 234 შემთხვევიდან) – პოლიციას, სასამართლოს ან იურისტს. თუმცა ისეთი რესპონდენტების რაოდენობა, ვისაც პრობლემის მოსაგვარებლად არაფერი გაუკეთებია, გამოკითხულთა თითქმის მეოთხედს შეადგენს **(იხ. დიაგრამა №42)**.

დიაგრამა №42



პრობლემის მოსაგვარებლად არაფრის გაკეთების მიზეზის დასახელება უჭირს იძულებით გადაადგილებული ქალების მეხუთედს, 27.7% კი ფიქრობს, რომ ამით არაფერი შეიცვლებოდა **(იხ. დიაგრამა №43)**. მიზეზები რამდენიმე ჯგუფად დაიყო, თუმცა ამ ჯგუფებიდანაც ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი აქვს სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი ნდობის დაბალ ხარისხს („ფიქრობს, რომ მაინც არაფერი შეიცვლებოდა“ – 27.7%).

დიაგრამა №43



ისეთი რესპონდენტების რაოდენობა, ვინც შეეცადა პრობლემა მოეგვარებინა, სულ 76.4%–ა, გამოკითხულთა დაახლოებით სამი მეოთხედი (176 რესპონდენტი). მათგან პოლიციას მიმართა 16–მა რესპონდენტმა (8%). დანარჩენები აღნიშნავენ, რომ იმის მიზეზი, რომ პოლიციისთვის არ მიუმართავთ, საჭიროების არარსებობა იყო. მესამედი ფიქრობს, რომ სხვადასხვა სახის დავები ადამიანებმა პოლიციის ჩარევის გარეშე უნდა გადაჭრან, ხოლო თითქმის მეხუთედის აზრით, მის პრობლემას პოლიცია მაინც ვერ მოაგვარებდა **(იხ. დიაგრამა №44)**.

დიაგრამა №44



დაბალია სასამართლოსთვის მიმართვიანობის მაჩვენებელიც. 176 რესპონდენტიდან სასამართლოს მხოლოდ 22–მა ადამიანმა მიმართა. ამ ადამიანების ნაწილისთვის (63.6%) სასამართლო განაჩენი ეფექტურად აღსრულდა, ხოლო ნაწილისთვის (36.4%) ის საერთოდ არ აღსრულებულა.

იძულებით გადაადგილებული ქალებიდან დიდ ნაწილს (154 ადამიანი) სასამართლოსთვის არ მიუმართავს, რადგან ამის საჭიროებას ვერ ხედავდა (39.6%). მეოთხედი ფიქრობს, რომ სხვადასხვა სახის დავები ადამიანებმა სასამართლოს ჩარევის გარეშე უნდა გადაჭრან, ხოლო თითქმის მეხუთედის აზრით, სასამართლო მათ პრობლემას მაინც ვერ მოაგვარებდა **(ob. დიაგრამა №45)**.

დიაგრამა №45



იურიდიული მომსახურება/კონსულტაცია

იურისტს იძულებით გადაადგილებულ ქალთაგან (176 შემთხვევა) მეოთხედმა მიმართა (მათგან, ვინც შეეცადა პრობლემის გადაჭრას, ანუ 176 შემთხვევიდან), ხოლო დანარჩენს (120 შემთხვევა) იურისტისთვის არ მიუმართავს. მიზეზებად სახელდება საჭიროების არარსებობა (22.7%). 16.4% ფიქრობდა, რომ მის პრობლემას იურისტი მაინც ვერ მოაგვარებდა, 14.8%–მა არ იცოდა მიმართვისთვის აუცილებელი პროცედურები, ხოლო მეათედის აზრით, პრობლემები იურისტის ჩარევის გარეშე უნდა გადაიჭრას. აღსანიშნავია ისიც, რომ მეხუთედს უჭირს მიზეზის დასახელება **(იხ. დიაგრამა №46).**

დიაგრამა №46



იძულებით გადაადგილებულ ქალთაგან სამართლებრივი პრობლემა სულ 234–ს შეექმნა, აქედან პრობლემის გადაჭრა მხოლოდ 176 შემთხვევაში სცადეს. აღნიშნული შემთხვევების 11.9%–ში რესპონდენტებმა გაეროს ქალთა ორგანიზაციის იურიდიული დახმარების კლინიკას/საკონსულტაციო ცენტრს მიმართეს. ამ ცენტრში იურიდიული კონსულტაცია 16–მა რესპონდენტმა (21 შემთხვევა) გაიარა. ეს რიცხვი ქალების საერთო რაოდენობის (798–ის) 2.6%, ხოლო რესპონდენტთა საერთო რაოდენობის (500) 3.2%–ია. შემთხვევათაგან ყველა თავმოყრილია ზუგდიდში, ეს ნიშნავს, რომ ზუგდიდში გამოკითხულ რესპონდენტთაგან (110

რესპონდენტი) 14.5%–ს მიუმართავს გაეროს ქალთა ორგანიზაციის იურიდიული დახმარების კლინიკისთვის/საკონსულტაციო ცენტრისთვის. გამოკითხულთაგან არცერთს მიუმართავს აღნიშნული ცენტრისთვის თბილისში, ქუთაისში, გორსა და რუსთავში.

დანარჩენებმა კი კონსულტაცია კერძო იურისტებთან, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროში ან სხვა არასამთავრობო ორგანიზაციის იურისტებთან გაიარეს. **დიაგრამა №47**-ზე მოცემულია იმ რესპონდენტების პროცენტული განაწილება, რომელთაც გაიარეს იურიდიული კონსულტაცია. ეს მონაცემები დათვლილია 46 შემთხვევიდან - იმ შემთხვევებიდან, როცა რესპონდენტებმა გაიარეს იურიდიული კონსულტაცია.

დიაგრამა №47



აღნიშნულმა რესპონდენტებმა (46 შემთხვევა) ესა თუ ის პირი/ორგანიზაცია იურიდიული კონსულტაციის მისაღებად აირჩიეს, ძირითადად იმის გამო, რომ შესაბამისი მომსახურება უფასო ან ხელმისაწვდომი იყო **(იხ. დიაგრამა №48)**.

დიაგრამა №48



მათგან უმრავლესობამ სრული მომსახურება მიიღო. არასრულ მომსახურებაზე მხოლოდ 12 შემთხვევაში მიუთითებენ **(იხ. დიაგრამა №49)**. აღნიშნული რესპონდენტების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მიღებული იურიდიული კონსულტაცია იყო დროული და სწრაფი.

დიაგრამა №49



რესპონდენტები იურისტის მხრიდან მიღებულ მომსახურებას, ძირითადად, დადებითად აფასებენ, მცირეა უარყოფითად შემფასებელთა რიცხვი (**იხ. დიაგრამა №51**).

დიაგრამა №51



მათგან, ვინც იურიდიული კონსულტაცია გაიარა, ნახევარი ფიქრობს, რომ პრობლემა იურისტის დახმარებით გადაიჭრა (**იხ. დიაგრამა №52**).

დიაგრამა №52



მათი უმრავლესობა, ვინც იურიდიული კონსულტაცია გაეროს ქალთა ორგანიზაციის იურიდიული დახმარების კლინიკაში/საკონსულტაციო ცენტრში გაიარა, აღნიშნავს, რომ მიიღეს სასამართლო წარმომადგენლობა (76.2%), ხოლო დანარჩენი ამბობს, რომ ასეთი წარმომადგენლობა არ ესაჭიროებოდათ.

ეს ცენტრი რესპონდენტებმა აირჩიეს ხელმისაწვდომობის გამო და იმის გამო, რომ კონსულტაცია უფასო იყო. მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ახლობლების რეკომენდაციაც. აღნიშნული მონაცემებიდან იკვეთება, რომ ამ საკონსულტაციო ცენტრისთვის ფინანსური ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანი მახასიათებელია. საყურადღებოა ინფორმაციის გავრცელების ხარისხიც, რადგან რესპონდენტთა ნაწილი საკონსულტაციო ცენტრს ახლობლების რეკომენდაციის შესაბამისად ირჩევს.

მათგან 95.2%, ვინც აღნიშნულ იურიდიულ კლინიკაში მიიღო იურიდიული კონსულტაცია, დადებითად აფასებს მას და აღნიშნავს, რომ მიიღო სრული მომსახურება, ხოლო დახმარება იყო დროული და სწრაფი. 81%–ისთვის პრობლემა უკვე გადაიჭრა, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში პრობლემა გადაუჭრელი დარჩა. 65.4% ამბობს, რომ მათი სამართლებრივი პრობლემა სწორედ იურისტის ძალისხმევითა და დახმარებით გადაიჭრა.

შეჯამება

მონაცემებიდან ჩანს, რომ აღნიშნულ სამიზნე ჯგუფში გამოკითხულთა დიდ ნაწილს სამართლებრივი პრობლემების მოგვარება არ უცდია – არ მიუმართავს სახელმწიფო ინსტანციებისთვის, იურისტისთვის, მეგობრებისთვის, არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის და ა.შ. თუმცა იძულებით გადაადგილებული პირების ნახევარს სახელმწიფო ინსტანციებისთვის მიუმართავს.

მათგან მეოთხედი, ვინც პრობლემის გადასაჭრელად არაფერი მოიმოქმედა, ფიქრობს, რომ მაინც არაფერი შეიცვლებოდა. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ინფორმაციის ნაკლებობის და სახელმწიფო სტრუქტურებისადმი წვდომის გარდა, რესპონდენტებს სახელმწიფო სტრუქტურებისადმი ნდობის დაბალი ხარისხი ახასიათებთ.

შესაბამისად, პოლიციისადმი არმიმართვასაც ძალიან მაღალი პროცენტული მაჩვენებელი აქვს. პოლიციას გამოკითხულთა ნახევარმა არ მიმართა, რადგან ფიქრობდნენ, რომ არ ესაჭიროებოდათ. იძულებით გადაადგილებული პირები ხშირად აფიქსირებენ მოსაზრებას, რომ სხვადასხვა დავები ადამიანებმა პოლიციის ჩარევის გარეშე უნდა გადაჭრან.

ისინი იშვიათად მიმართავენ სასამართლოსაც. იძულებით გადაადგილებული ქალებისთვის მესამედ შემთხვაში სასამართლოსთვის მიმართვა არ იყო საჭირო. ისინი ხშირად აფიქსირებდნენ მოსაზრებას, რომ სხვადასხვა დავები ადამიანებმა სასამართლოს ჩარევის გარეშე უნდა გადაჭრან.

იძულებით გადაადგილებულ ქალთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მათი პრობლემა არ გადაჭრილა.

გამოიკვეთა, რომ იძულებით გადაადგილებულ ქალებს უფრო ხშირად აქვთ მოსაზრება, რომ დავები/პრობლემები სასამართლოს/პოლიციის/იურისტის ჩარევის გარეშე უნდა გადაწყდეს. ეს მიუთითებს იმაზე, რომ სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობის მზაობის ხარისხი დაბალია. გამოიკვეთა სახელმწიფო სტრუქტურებისადმი მიმართვისთვის საჭირო ინფორმაციის ნაკლებობა, ხელმისაწვდომობისა და ნდობის დაბალი ხარისხიც.

<u>**იურიდიული მომსახურება/კონსულტაცია**</u>

იურისტისთვის მიმართვის სიხშირე აღემატება სასამართლოსთვის და პოლიციისთვის მიმართვის სიხშირეს. იძულებით გადაადგილებულ ქალთა მეოთხედს მიუმართავს იურისტისთვის/გაუვლია იურიდიული კონსულტაცია.

მათგან, ვისაც აღნიშნული კონსულტაცია არ გაუვლია, უმრავლესობა აღნიშნავს, რომ არ ესაჭიროებოდათ. დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ მის პრობლემას მაინც ვერ მოაგვარებდნენ.

მიზეზების ძირითადი ნაწილი მსგავსია სასამართლოსთვის და პოლიციისთვის არმიმართვის მიზეზებისა.

რაც შეეხება იურისტს, ზოგჯერ ისინი კერძო იურისტს, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს უფასო იურიდიული მომსახურების ცენტრს ან სხვა არასამთავრობო ორგანიზაციის იურისტს მიმართავდნენ. ისინი იურისტს ხელმისაწვდომობის და ახლობლების რეკომენდაციის მიხედვით ირჩევდნენ. რესპონდენტთა უმრავლესობამ სრული მომსახურება მიიღო, ამასთან, დროულად და სწრაფად. ისინი დადებითად აფასებენ იურისტის მხრიდან მიღებულ მომსახურებას.

იძულებით გადაადგილებული ქალების თითქმის ნახევარს (მათგან, ვისაც იურისტისთვის მიუმართავს) იურიდიული კონსულტაცია გაეროს ქალთა ორგანიზაციის იურიდიული დახმარების კლინიკამ/საკონსულტაციო ცენტრმა გაუწია. მათი უმრავლესობა, ვინც იურიდიული კონსულტაცია გაეროს ქალთა ორგანიზაციის იურიდიული დახმარების კლინიკაში/საკონსულტაციო ცენტრში გაიარა, აღნიშნავს, რომ მიიღეს სასამართლო წარმომადგენლობა (76.2%), ხოლო დანარჩენი ამბობს, რომ ასეთი წარმომადგენლობა არ ესაჭიროებოდათ.

ეს ცენტრი რესპონდენტებმა აირჩიეს ხელმისაწვდომობის გამო და იმის გამო, რომ კონსულტაცია უფასო იყო. მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ახლობლების რეკომენდაციაც. აღნიშნული მონაცემებიდან იკვეთება, რომ ამ საკონსულტაციო ცენტრისთვის ფინანსური ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანი მახასიათებელია. საყურადღებოა ინფორმაციის გავრცელების ხარისხიც, რადგან რესპონდენტთა ნაწილი საკონსულტაციო ცენტრს ახლობლების რეკომენდაციის შესაბამისად ირჩევს.

მათგან 95.2%, ვინც აღნიშნულ იურიდიულ კლინიკაში მიიღო იურიდიული კონსულტაცია, დადებითად აფასებს მას და აღნიშნავს, რომ მიიღო სრული მომსახურება, ხოლო დახმარება იყო დროული და სწრაფი. 81%–ისთვის პრობლემა უკვე გადაიჭრა, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში პრობლემა გადაუჭრელი დარჩა. 65.4% ამბობს, რომ მათი სამართლებრივი პრობლემა სწორედ იურისტის ძალისხმევითა და დახმარებით გადაიჭრა.

7.2. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ქალები

როგორც აღმოჩნდა, სამართლებრივი პრობლემების მოგვარებას ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ქალები ნაკლებად ცდილობენ. მათგან, ვისაც შექმნია სამართლებრივი პრობლემა (202 შემთხვევა), სრულმა უმრავლესობამ პრობლემის მოსაგვარებლად არაფერი გააკეთა/არავის მიმართა. სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურას თუ არასამთავრობო ორგანიზაციას მხოლოდ მეხუთედმა მიმართა **(იხ. დიაგრამა №53)**.

დიაგრამა №53



პრობლემის მოსაგვარებლად არაფრის გაკეთების მიზეზად ეთნიკური უმცირესობები, ძირითადად, რამდენიმე ფაქტორს ასახელებენ: მათი მეოთხედი ფიქრობს, რომ მაინც არაფერი შეიცვლებოდა; მეხუთედმა არ იცოდა, ვისთვის მიემართა, 18.2% ამბობს, რომ პრობლემის გადაჭრის პროცესი ემოციურად მძიმე იქნებოდა. ენობრივი ბარიერის დაბრკოლება იყო 3.6% შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ ამ კითხვაზე პასუხები მრავალფეროვანი და არაერთგვაროვანია **(იხ. დიაგრამა №54)**.

დიაგრამა №54



ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებმა პოლიციას მიმართეს 22.7% შემთხვევაში, რაც თითქმის სამჯერ აღემატება იძულებით გადაადგილებულ პირთა მონაცემებს. ისინი აღნიშნავენ, რომ პოლიციისთვის მიმართვის პროცესში მათთვის ენობრივი ბარიერი დამაბრკოლებელი ფაქტორი არ იყო (80%). ისინი კი, ვინც პოლიციას არ მიმართა (75%), ამის მიზეზად ასახელებენ, ერთი მხრივ, საჭიროების არარსებობას, მეორე მხრივ, დაშვებას, რომ მის პრობლემას მაინც ვერ მოაგვარებდნენ **(იხ. დიაგრამა №55)**.

დიაგრამა №55



სასამართლოს კი ეროვნული უმცირესობების ქალთა მეათედმა მიმართა (მათგან, ვინც მიმართა პრობლემის გადასაწყვეტად ვინმეს), რაც 5 შემთხვევას უდრის. სასამართლოსთვის არ მიმართვის მიზეზებიც პოლიციისთვის არმიმართვის მიზეზების მსგავსია. განსხვავება ისაა, რომ 15.4% აღნიშნავს, რომ ბარიერი ფინანსური პრობლემები იყო **(იხ. დიაგრამა №56)**.

დიაგრამა №56



იურიდიული მომსახურება/კონსულტაცია

იურისტს იძულებით გადაადგილებულ ქალთაგან (44 შემთხვევა) მესამედმა მიმართა. იურისტისთვის არმიმართვის მზეზებიც სასამართლოსთვის და პოლიციისთვის არმიმართვის მიზეზების ანალოგიურია **(იხ. დიაგრამა №57)**.

დიაგრამა №57



ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებმა იურიდიული კონსულტაცია სულ 15 შემთხვევაში გაიარეს. აქედან რესპონდენტთა 66.7%-მა კონსულტაცია კერძო იურისტთან/ადვოკატთან გაიარა **(იხ. დიაგრამა №58)**.

დიაგრამა №58



აღნიშნულ შემთხვევებში რესპონდენტთა არჩევანი, გაევლოთ კონსულტაცია ამა თუ იმ იურისთან/ადვოკატთან განაპირობა კონსულტაციის ხელმისაწვდომობამ და იურისტის/ადვოკატის კარგმა რეპუტაციამ (**იხ. დიაგრამა №59**).

დიაგრამა №59



უმრავლეს შემთხვევაში იურიდიული კონსულტაციის შემთხვევაში რესპონდენტებმა სრული მომსახურება მიიღეს, რომელიც საჭირო იყო (**იხ. დიაგრამა №60**).

დიაგრამა №60



აღნიშნული 15 შემთხვევიდან უმრავლეს შემთხვევაში მიღებული იურიდიული კონსულტაცია/მომსახურება იყო დროული და სწრაფი, შემთხვევების მეოთხედში - ზოგჯერ დროული და ზოგჯერ არა. იურისტის მხრიდან მიღებულ კონსულტაციას ისინი დადებითად აფასებენ, უარყოფითად - არცერთ შემთხვევაში **(იხ. დიაგრამა №62)**.

დიაგრამა №62



მათგან თითქმის მესამედი, ვინც გაიარა იურიდიული კონსულტაცია, მიიჩნევს, რომ პრობლემა თავისთავად გადაიჭრა. მეხუთედი ფიქრობს, რომ პრობლემა თავად გადაჭრა, ხოლო მეათედი მიუთითებს იურისტის დამსახურებაზე **(იხ. დიაგრამა №63)**.

დიაგრამა №63



შეჯამება

გამოკითხულთა დიდ ნაწილს აღნიშნული სამართლებრივი პრობლემის მოგვარება არ უცდია – არ მიუმართავს სახელმწიფო ინსტანციებისთვის, იურისტისთვის, მეგობრებისთვის, არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის და ა.შ. ასეთთა ხვედრითი წილი ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ქალებს შორის მაღალია და გამოკითხულთა უმრავლესობას შეადგენს (77.1%). ეს ცხადყოფს, რომ ეროვნულ უმცირესობებს ნაკლები აქვთ როგორც ინფორმაცია, ასევე წვდომა სახელმწიფო სტრუქტურებისადმი.

მათგან მეოთხედი, ვინც პრობლემის გადასაჭრელად არაფერი მოიმოქმედა, ფიქრობს, რომ მაინც არაფერი შეიცვლებოდა. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ინფორმაციის ნაკლებობის და სახელმწიფო სტრუქტურებისადმი წვდომის გარდა, რესპონდენტებს სახელმწიფო სტრუქტურებისადმი ნდობის დაბალი ხარისხი ახასიათებთ.

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთაგან ბევრი აღნიშნავს, რომ არ იცოდა, ვისთვის მიემართა. ამასთან, აღნიშნავენ, რომ პრობლემის გადაჭრის პროცესი მათთვის იქნებოდა ემოციურად მძიმე (ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს ინფორმაციის ნაკლებობაზე ამ ჯგუფში), ხოლო იძულებით გადაადგილებულ ქალებს გაცილებით ხშირად უჭირთ პასუხის გაცემა.

მიუხედავად ინფორმაციის ნაკლებობის, სახელმწიფო სტრუქტურებისადმი ხელმისაწვდომობისა და მათდამი ნდობის დაბალი ხარისხისა, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელმა ქალებმა საკმაოდ ხშირად მიმართეს პოლიციას, თუმცა, საერთო ჯამში, პოლიციისადმი არმიმართვას მაღალი პროცენტული მაჩვენებელი აქვს. პოლიციას ჯგუფის ნახევარმა მსგავსი მიზეზით არ მიმართა – არ ესაჭიროებოდათ. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ქალები ხშირად აღნიშნავდნენ, რომ მათ პრობლემას პოლიცია მაინც ვერ მოაგვარებდა.

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები იშვიათად მიმართავენ სასამართლოსაც. მესამედ შემთხვაში, რესპონდენტები ამბობენ, რომ სასამართლოსთვის მიმართვა არ იყო საჭირო. მათი ნაწილი ფიქრობს, რომ მის პრობლემას მაინც ვერ მოაგვარებდნენ. დიდია მათი მაჩვენებელიც, ვისთვისაც დაბრკოლება ფინანსური პრობლემები იყო. აქედან ცხადად გამოჩნდა, რომ ეროვნული უმცირესობების ქალებისთვის ფინანსური პრობლემები მნიშვნელოვანი ცვლადია.

ამ დროისთვის ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელ ქალთა ნახევრის პრობლემა სრულიად გადაჭრილია, მესამედის შემთხვევაში კი ისევ ისეთი მდგომარეობაა.

იკვეთება სახელმწიფო სტრუქტურებისადმი მიმართვისთვის საჭირო ინფორმაციის ნაკლებობა, ხელმისაწვდომობისა და ნდობის დაბალი ხარისხი, თუმცა, ამის საპირისპიროდ, სახელმწიფო

სტრუქტურებთან თანამშრომლობის მზაობაც. აღსანიშნავია ისიც, რომ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ქალების მოქმედებას (აღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში) ფინანსური მდგომარეობაც განსაზღვრავს.

<u>იურიდიული მომსახურება/კონსულტაცია</u>

იურისტისთვის მიმართვის სიხშირე აღემატება სასამართლოსთვის და პოლიციისთვის მიმართვის სიხშირეს. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ქალთა მესამედს მიუმართავს იურისტისთვის/გაუვლია იურიდიული კონსულტაცია.

მათგან, ვისაც აღნიშნული კონსულტაცია არ გაუვლია, უმრავლესობა აღნიშნავს, რომ არ ესაჭიროებოდათ. დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ მის პრობლემას მაინც ვერ მოაგვარებდნენ. მიზეზების ძირითადი ნაწილი მსგავსია სასამართლოსთვის და პოლიციისთვის არმიმართვის მიზეზებისა.

ეროვნული უმცირესობების ქალთაგან ჯერ არავის მიუმართავს გაეროს ქალთა ორგანიზაციის იურიდიული დახმარების კლინიკისთვის/საკონსულტაციო ცენტრისთვის, რომელიც 2013 წლის სექტემბრიდან ამოქმედდა ქ. მარნეულში და ჯერ დაბალია ინფორმაცია ადგილობრივ თემში კლინიკის შესახებ. მათი უმრავლესობა კერძო იურისტს მიმართავდა. ზოგჯერ მიმართავდნენ სხვა არასამთავრობო ორგანიზაციის იურისტს ან საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას. ისინი იურიდიულ კონსულტაციას ხელმწისაწვდომობით ან რეპუტაციის მიხედვით ირჩევდნენ. რესპონდენტთა უმრავლესობამ სრული მომსახურება მიიღო, ამასთან ერთად, დროულად და სწრაფად, რის შედეგადაც, დადებითად აფასებენ იურისტის მხრიდან მიღებულ მომსახურებას.

VIII. გაეროს ქალთა ორგანიზაციის იურიდიული დახმარების კლინიკების/საკონსულტაციო ცენტრების შეფასება

8.1. იძულებით გადაადგილებული ქალები

ზოგადად, სასარგებლო ინფორმაციას სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით არ იღებს გამოკითხულ იძულებით გადაადგილებულ ქალთაგან თითქმის ნახევარი. 12.6%–ს კი ამ ინფორმაციას ახლობელი ადამიანები აწვდიან **(იხ. დიაგრამა №64).**

დიაგრამა №64



<u>ისინი, ვისაც გაეროს ქალთა ორგანიზაციის იურიდიული დახმარების კლინიკების/საკონსულტაციო ცენტრების დახმარება არ მიუღია</u>

სულ გამოკითხულ იძულებით გადაადგილებულ ქალთა შორის 42%–ს სმენია გაეროს ქალთა ორგანიზაციის იურიდიული დახმარების კლინიკის/საკონსულტაციო ცენტრის შესახებ. მათგან მესამედმა, ვისაც აქვს ინფორმაცია ამ ცენტრის შესახებ, ის ახლობელი ადამიანებისგან მიიღო, მესამედმა – ტელევიზიიდან **(იხ. დიაგრამა №65)**.

დიაგრამა №65



მათგან ჯამში 79% აღნიშნავს, რომ რომელიმე სამართლებრივი პრობლემის შემთხვევაში, მიმართავდა გაეროს ქალთა ორგანიზაციის იურიდიული დახმარების კლინიკის/საკონსულტაციო ცენტრის იურისტს იურიდიული კონსულტაციისთვის. მიმართვას არ აპირებს მხოლოდ 8.1%, ხოლო ნეიტრალურადაა განწყობილი 3.3% **(იხ. დიაგრამა №66)**.

დიაგრამა №66



ისინი, ვინც მიიღო გაეროს ქალთა ორგანიზაციის იურიდიული დახმარების კლინიკების/საკონსულტაციო ცენტრების დახმარება

იძულებით გადაადგილებულ ქალთაგან სამართლებრივი პრობლემა სულ 234–ს შეექმნა, აქედან პრობლემის გადაჭრა მხოლოდ 176 შემთხვევაში სცადეს. აღნიშნული შემთხვევების 11.9%–ში რესპონდენტებმა გაეროს ქალთა ორგანიზაციის იურიდიული დახმარების კლინიკას/საკონსულტაციო ცენტრს მიმართეს. ამ ცენტრში იურიდიული კონსულტაცია 16–მა რესპონდენტმა (21 შემთხვევა) გაიარა. ეს რიცხვი ქალების საერთო რაოდენობის (798–ის) 2.6%, ხოლო რესპონდენტთა საერთო რაოდენობის (500) 3.2%–ია. შემთხვევათაგან ყველა თავმოყრილია ზუგდიდში, ეს ნიშნავს, რომ ზუგდიდში გამოკითხულ რესპონდენტთაგან (110 რესპონდენტი) 14.5%–ს მიუმართავს გაეროს ქალთა ორგანიზაციის იურიდიული დახმარების კლინიკისთვის/საკონსულტაციო ცენტრისთვის. გამოკითხულთაგან არცერთს მიუმართავს აღნიშნული ცენტრისთვის თბილისში, ქუთაისში, გორსა და რუსთავში.

მათი უმრავლესობა, ვინც იურიდიული კონსულტაცია გაეროს ქალთა ორგანიზაციის იურიდიული დახმარების კლინიკაში/საკონსულტაციო ცენტრში გაიარა, აღნიშნავს, რომ მიიღეს სასამართლო წარმომადგენლობა (76.2%), ხოლო დანარჩენი ამბობს, რომ ასეთი წარმომადგენლობა არ ესაჭიროებოდათ.

ეს ცენტრი რესპონდენტებმა აირჩიეს ხელმისაწვდომობის გამო ან იმის გამო, რომ კონსულტაცია უფასო იყო. მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ახლობლების რეკომენდაციაც. აღნიშნული მონაცემებიდან იკვეთება, რომ ამ საკონსულტაციო ცენტრისთვის ფინანსური ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანი მახასიათებელია. საყურადღებოა ინფორმაციის გავრცელების ხარისხიც, რადგან რესპონდენტთა ნაწილი საკონსულტაციო ცენტრს ახლობლების რეკომენდაციის შესაბამისად ირჩევს.

მათგან 95.2%, ვინც აღნიშნულ იურიდიულ კლინიკაში მიიღო იურიდიული კონსულტაცია, დადებითად აფასებს მას და აღნიშნავს, რომ მიიღო სრული მომსახურება, ხოლო დახმარება იყო დროული და სწრაფი. 81%–ისთვის პრობლემა უკვე გადაიჭრა, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში პრობლემა გადაუჭრელი დარჩა. 65.4% ამბობს, რომ მათი სამართლებრივი პრობლემა სწორედ იურისტის ძალისხმევითა და დახმარებით გადაიჭრა.

შეჯამება

გაეროს ქალთა ორგანიზაციის იურიდიული დახმარების კლინიკების/საკონსულტაციო ცენტრების შეფასება მათგან, ვისაც ამ ცენტრის დახმარება არ მიუღია

გაეროს ქალთა ორგანიზაციის იურიდიული დახმარების კლინიკები/საკონსულტაციო ცენტრები იძულებით გადაადგილებულ ქალებს თბილისში, რუსთავში, ქუთაისში, გორსა და ზუგდიდში 2010 წლის აპრილიდან ემსახურება. მათ შესახებ რესპონდენტთა თითქმის ნახევარს, 42%–ს სმენია. მათ ინფორმაცია, ძირითადად, ტელევიზიის ან ახლობელი ადამიანებისგან აქვთ, მნიშვნელოვან ნაწილს – არასამთავრობო ორგანიზაციებიდან.

უმრავლესობა აღნიშნავს, რომ საჭიროების შემთხვევაში მიმართავდნენ იურიდიულ კლინიკას, რაც ადასტურებს მოსახლეობის მზაობას, მიიღონ იურიდიული კონსულტაცია აღნიშნული ცენტრისგან.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის იურიდიული დახმარების კლინიკების/საკონსულტაციო ცენტრების შეფასება მათგან, ვინც ამ ცენტრის დახმარება მიიღო

იძულებით გადაადგილებულ ქალთაგან სამართლებრივი პრობლემა სულ 234–ს შეექმნა, აქედან პრობლემის გადაჭრა მხოლოდ 176 შემთხვევაში სცადეს. აღნიშნული შემთხვევების 11.9%–ში რესპონდენტებმა გაეროს ქალთა ორგანიზაციის იურიდიული დახმარების კლინიკას/საკონსულტაციო ცენტრს მიმართეს. ამ ცენტრში იურიდიული კონსულტაცია 16–მა რესპონდენტმა (21 შემთხვევა) გაიარა. ეს რიცხვი ქალების საერთო რაოდენობის (798–ის) 2.6%, ხოლო რესპონდენტთა საერთო რაოდენობის (500) 3.2%–ია. შემთხვევათაგან ყველა თავმოყრილია ზუგდიდში, ეს ნიშნავს, რომ ზუგდიდში გამოკითხულ რესპონდენტთაგან (110 რესპონდენტი) 14.5%–ს მიუმართავს გაეროს ქალთა ორგანიზაციის იურიდიული დახმარების კლინიკისთვის/საკონსულტაციო ცენტრისთვის. გამოკითხულთაგან არცერთს მიუმართავს აღნიშნული ცენტრისთვის თბილისში, ქუთაისში, გორსა და რუსთავში.

მათი უმრავლესობა, ვინც იურიდიული კონსულტაცია გაეროს ქალთა ორგანიზაციის იურიდიული დახმარების კლინიკაში/საკონსულტაციო ცენტრში გაიარა, აღნიშნავს, რომ მიიღეს სასამართლო წარმომადგენლობა (76.2%), ხოლო დანარჩენი ამბობს, რომ ასეთი წარმომადგენლობა არ ესაჭიროებოდათ.

ეს ცენტრი რესპონდენტებმა აირჩიეს ხელმისაწვდომობის გამო და იმის გამო, რომ კონსულტაცია უფასო იყო. მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ახლობლების რეკომენდაციაც. აღნიშნული მონაცემებიდან იკვეთება, რომ ამ საკონსულტაციო ცენტრისთვის ფინანსური ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანი მახასიათებელია. საყურადღებოა ინფორმაციის გავრცელების ხარისხიც, რადგან

რესპონდენტთა ნაწილი საკონსულტაციო ცენტრს ახლობლების რეკომენდაციის შესაბამისად ირჩევს.

მათგან 95.2%, ვინც აღნიშნულ იურიდიულ კლინიკაში მიიღო იურიდიული კონსულტაცია, დადებითად აფასებს მას და აღნიშნავს, რომ მიიღო სრული მომსახურება, ხოლო დახმარება იყო დროული და სწრაფი. 81%–ისთვის პრობლემა უკვე გადაიჭრა, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში პრობლემა გადაუჭრელი დარჩა. 65.4% ამბობს, რომ მათი სამართლებრივი პრობლემა სწორედ იურისტის ძალისხმევითა და დახმარებით გადაიჭრა.

8.2. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ქალები

ზოგადად, სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებული სასარგებლო ინფორმაციას ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ქალთა მეოთხედი არ იღებს, 28.7% კი იღებს ახლობელი ადამიანებისგან (**იხ. დიაგრამა №67**).

დიაგრამა №67



სამართლებრივ ინფორმაციას გამოკითხულ ეროვნული უმცირესობების ქალთა მეოთხედი არ იღებს, მეტიც, 69.5%–მა არ იცის, ხელმისაწვდომია თუ არა მათ მშობლიურ ენაზე საქართველოს კანონმდებლობა (**იხ. დიაგრამა №68**).

დიაგრამა №68



ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ქალთაგან იურიდიული კონსულტაცია გაეროს ქალთა ორგანიზაციის იურიდიული დახმარების კლინიკაში/საკონსულტაციო ცენტრში არცერთ რესპონდენტს გაუვლია (მონაცემები შეგროვდა ოქტომბერ-ნოემბერში). მეტიც, ამ ცენტრის შესახებ მხოლოდ 8%–ს სმენია, მათ ნახევარს – ტელევიზიიდან, მეხუთედს – ახლობელი ადამიანებისგან **(იხ. დიაგრამა №69)**.

დიაგრამა №69



ამ 8%–დან სრული უმრავლესობა აღნიშნავს, რომ სამართლებრივი პრობლემის შემთხვევაში მიმართავდა გაეროს ქალთა ორგანიზაციის იურიდიული დახმარების კლინიკის/საკონსულტაციო ცენტრის იურისტს იურიდიული კონსულტაციისთვის **(იხ. დიაგრამა №70)**.

დიაგრამა №70



შეჯამება

მარნეულში გაეროს ქალთა ორგანიზაციის იურიდიული დახმარების კლინიკა/საკონსულტაციო ცენტრი 2013 წლის სექტემბერში გაიხსნა, შესაბამისად, ველის მიმდინარეობის პროცესში, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ქალთაგან არავის ჰქონდა გავლილი ამ ცენტრის მიერ შემოთავაზებული კონსულტაცია. მეტიც, ამ კლინიკების შესახებ ინფორმაცია მხოლოდ 8%–ს ჰქონდა. მათ ინფორმაცია, ძირითადად, ტელევიზიით ან ახლობელი ადამიანებისგან მიიღეს, თუმცა მნიშვნელოვან ნაწილს ეს ინფორმაცია არასამთავრობო ორგანიზაციებმაც მიაწოდა.

ზოგადად, სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებითაც მოსახლეობა ინფორმაციას ახლობლების მეშვეობით იღებს (დიდი ნაწილი საერთოდ არ იღებს სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებულ ინფორმაციას). აღნიშნული შედეგები ცხადყოფს, რომ მოსახლეობაში დაბალია ინფორმირებულობის დონე სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ქალთა უმრავლესობამ არ იცის, ხელმისაწვდომია თუ არა მათ მშობლიურ ენაზე საქართველოს კანონმდებლობა. განათლების დონე და ენობრივი ბარიერები დიდი პრობლემაა. ეროვნული უმცირესობების ოჯახების პერსპექტივიდან, სამართლებრივი პრობლემები არ აღიქმება როგორც ქალთა აქტიურობის სფერო და ამიტომაც, ქალები არ ერთვებიან ასეთ საქმიანობაში და არ იღებენ ინფორმაციას.

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ქალთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ საჭიროების შემთხვევაში მიმართავდნენ იურიდიულ კლინიკას, რაც ადასტურებს მოსახლეობის მზაობას, მიიღონ იურიდიული კონსულტაცია.

ლიტერატურა

- Ashwin, S. (2000) (ed.), *Gender State and Society in Soviet and Post-Soviet Russia*. London, New York, Routledge.
- Bauman, Zygmunt (2004), Europe. An Unfinished Adventure. Polity press, Cambridge.
- Clarke, John (2004), Changing Welfare Changing Staters. New Directions in Social Policy. Sage, London, Thousand Oaks.
- Connell, R. and Messerschmidt, J. W. (2005). Hegemonic Masculinity Rethinking the Concept. *Gender & Society* 19(6): 829-859.
- Edwards, A. (2011). *Violence against Women under International Human Rights Law*. Cambridge: University Press.
- Gillis, J. R., Diamond, S. L., Jebely, P., Orekhovsky, V., Ostovich, E. M., MacIsaac, K., Sagrati, S. in Mandell, D. (2006). Systemic Obstacles to Battered Women's Participation in the Judicial System, When Will the Status Quo Change?. *Violence Against Women,* 12(12): 1150-1168.
- Johnson, M. P. (2008), *A Typology of Domestic Violence: Intimate Terrorism, Violent Resistance, and Situational Couple Violence*. Boston: Northeastern University Press.
- Mullender, A. (1996). *Rethinking Domestic Violence. The Social Work and Probation Response*. London, New York: Routledge.
- Zaviršek, D, Zorn, J., Rihter,L., Žnidarec D. S. eds., (2007), *Ethnicity in Eastern Europe. A Challenge for Social Work Education,* Faculty of Social Work, Ljubljana.